

ნაქალაქო რიკაპედი

ტერასული მიწათმოქმედება  
საქართველოში  
(ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)



გაეროციემლოგა  
„აბოტოთა აბარა“  
ბათუმი  
1976

წიგნში განხილულია ტერასული მიწათმოქმედება და მისი თავისებურებანი, მიწათმოქმედების დარგთა ორგანიზაცია და კულტურათა გაშენების ტექნოლოგია, ტერასული მიწათმოქმედების განვითარების ფაქტორები საქართველოში.

ავტორი იძლევა ზოგიერთი დებულების ახლებურ გაშუქებას.

რედაქტორი პროფ. ბ. რუბაძიძე

1  
© გამომცემლობა „საბჭოთა აპარა“, 1976

4  $\frac{10602-031}{M 621(08)76}$  32-76

## შ მ ს ა მ ა ლ ი

საქართველო განსხვავებული კლიმატური პირობებით ხაზიათდება. აქ, გარდა ტროპიკულისა, გვხვდება მაღალტენიანი სუბტროპიკული, მშრალი ველების თბილი ჰავა, მთიანი ზონის ჰავა და სხვა. კლიმატის ჰებადასხვაობა განპირობებულია, ერთი მხრივ, საქართველოს მდებარეობით სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე, მეორე მხრივ, კავკასიონის მაღალი მთების, შავი და კასპიის ზღვების გავლენით.<sup>1</sup>

განსხვავებულია აგრეთვე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური, რელიეფური, ნიადაგური პირობები. პირველი წარმოადგენს ნახევრად მშრალი ჰავის ზონას, რომლის ცალკეულ უბნებზე მიწათმოქმედების ზოგიერთი დარგი ხელოვნურ მორწყვას მოითხოვს, ხოლო მეორე, რომელიც მაღალი ტენიანობით გამოირჩევა, ტიპური პლუვიალური ზონაა. ქვეყნის მთაგორიანობა, ხშირი და ძლიერი წვიმები ამ რაიონში ქმნიდა ეროზიის წარმოშობის მეტად ხელსაყრელ პირობებს. ამას ხელს უწყობდა მიწის არასწორი ექსპლუატაცია, ტყის ხელაღებათა კაფა და სხვ. მაგრამ ადამიანის შრომითი საქმიანობა მაინც ყოველთვის ჯეგმაზომიერი და მიზანდასახული იყო. დასავლეთ საქართველოს თბილი ჰავა, რბილი, ნაყოფიერი ნიადაგები და მაღალტენიანობა იძლეოდა მიწათმოქმედებისათვის საუკეთესო პირობას. ამასთან, ამ ზონაში ჭარბი წყლით გამოწვეულ მავნე მოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვა მიწათმოქმედების განვითარების ადრეულ ეტაპზედაც მოითხოვდა ადამიანის ტექნიკურ ჩარევას.

ეთნოგრაფიულმა კვლევამ-ძიებამ, რომელიც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა, ცხადყო, რომ დასავლეთ საქართველოში სამიწათმოქმედო პრაქტიკამ ძველთაგანვე შეიმუშავა მთის ფერდობებზე ჭარბწყლანობისაგან თავის დაღწევის და ნიადაგის დარეცხვისაგან დაცვის სხვადასხვა წესი, ხოლო კოლხეთის დაბლობზე, დიდ მდინარეთა სანაპიროებზე (მდ. რიონი), დაჭობებული მიწების დასაშრობად გამოიყენებოდა ისეთი ორიგინალური ხერხი, როგორიცაა ადგილის ამაღლება მოლეკვით.<sup>2</sup>

თუ ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას ჩავუკვირდებით, ადვილად შე-

1 კ. კ ე ლ ე წ ე რ ი ძ ე, საქართველოს ტერიტორიის აგროკლიმატური პირობების თავისებურება, საქართველოს სას. სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 80-81, 1970, გვ. 103.

2 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 103.

ვამჩნევთ, რომ ნიადაგდაცვის ხალხური წესები შემუშავებულია ადგილობრივი გარემო პირობების, მულმივად მოქმედი ბუნებრივი ფაქტორებისა და სამეურნეო პრაქტიკის კარგი ცოდნით. ეს წესები, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა სახის საშუალებანი, დაწყებული უმარტივესი აგროტექნიკური ღონისძიებებიდან საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის რთულ ნაგებობამდე, საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა. ამ კომპლექსური სისტემის შესანიშნავი ნიმუშები სავსეა მუშაობისას საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გამოვლინდა.

კულტურის ისტორიის შესწავლის სფეროში მრავალ საინტერესო საკითხთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მიწათმოქმედების ტერასული სისტემა წარმოადგენს. როგორც მეურნეობის ნებისმიერ დარგს, ტერასულ მიწათმოქმედებასაც განვლილი აქვს განვითარების ხანგრძლივი პროცესი. დასავლეთ საქართველომ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებისა თუ სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებათა გამო აქა-იქ შემოინახა ამ სისტემის უძველესი და მარტივი მაგალითები. აღმოსავლეთ საქართველოში კი მდ. მტკვრისა და სამხრეთ-დასავლეთში მდ. ჭოროხის, ასევე მათ შინაკად ხეობებში სახეზეა ტერასული მიწათმოქმედების მაღალგანვითარებული და სრულყოფილი ფორმები. თუ ერთ შემთხვევაში (დასავლეთ საქართველოში) ტერასული მიწათმოქმედების აღმოცენება ძირითადად განპირობებული იყო მაღალნალექიანობით გამოწვეულ ეროზიასთან ბრძოლით, მეორე შემთხვევაში (აღმოსავლეთ საქართველო) მისი ჩასახვა-განვითარება ორგანულად უკავშირდება ხელოვნურ მორწყვას.

მესხეთ-ჯავახეთში, შუა და ქვემო ქართლში, დღემდე შემორჩენილია ძველი დროის ხელოვნური ბაქნები და მათი სარწყავი სისტემები. მეურნეობის ამ ფორმის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო კულტურულ-ისტორიული, არამედ მეურნეობრივი გამოყენების თვალსაზრისითაც. ნიადაგდაცვის ბევრი ხალხური ხერხი დღესაც შეიძლება დაწერგილ იქნას სახალხო მეურნეობაში.

საქართველოს სამხრეთი პროვინციების სამეურნეო-ეკონომიური საკითხების შესწავლით რევოლუციამდელი მკვლევარებიც იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ მათ ნაშრომებში<sup>3</sup> ტერასულმა მიწათმოქმედებამ ვერ

3 X. A. Вермишев. Эк. быт. гос. крестьян Ахалцихского и Ахалка-лакского уездов Тифл. губ. МИЭВГЭК, т. III, ч. II Тифл., 1886; Л. П. Загурский. Краткий очерк о поездке в Ахалцихский уезд в 1872, ИКОИРГО т. II, Тифл., 1894; Н. В. Гаевский. Очерк садоводства в Ахалцихском уезде. Сборник Кавказского общества сельского хозяйства, вып., II. Тифл., 1879; С. Н. Тимофеев. Очерк виноградоводства и виноделия в Батумском и Артвинском округах. ССВК, I, Тифл., 1894.



ჰპოვა სათანადო ასახვა. ზოგიერთი გამოწვევის გარდა, ეს საკითხი არც ჩვენს დროში იზიდავდა ეთნოგრაფთა ყურადღებას, თუმცა საქართველოს სამეურნეო კულტურის შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი საქართველოს ტერასული მიწათმოქმედების შესწავლას. მან ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე რიგი საყურადღებო დებულებები წამოაყენა.<sup>4</sup> მართალია, ტერასული მეურნეობის მონოგრაფიული შესწავლა არ ყოფილა ეთნოგრაფთა სპეციალური კვლევის საგანი, მაგრამ ცალკეულ ნაშრომებში ასახულია მიწათმოქმედების ამ სისტემის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები და მოცემულია საყურადღებო ცნობები.<sup>5</sup> ბალყარეთის მაგალითზე, დაახლების სტრუქტურის შესწავლასთან დაკავშირებით, მიწათმოქმედების აღნიშნულ სისტემას იხილავს ალ. რობაქიძე.<sup>6</sup>

1958-1967 წლებში აჭარის მთური მიწათმოქმედების კვლევის დროს ფრიად საყურადღებო მანალა იქნა მოპოვებული ხალხურ ტერასულ მეურნეობაზე, რომელიც ცალკეულ გამოკვლევებში აისახა.<sup>7</sup>

აჭარასა და მის მომიჯნავე კუთხეებში ადრე ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ გვიკარნახა ანალოგიური კვლევა-ძიება გავეგრძელებინა საქართველოს მასშტაბით. ამ მიზნით 1970-1975 წლებში საექსპედიციო და ინდივიდუალური მივლინებების დროს წარმოებულმა საველე მუშაობამ ქვემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა და ქართლში მეტად ნაყოფიერი შედეგი მოგვცა. მოპოვებული იქნა მრავალფეროვანი, ახალი, მეტწილად ორიგინალური ხასიათის მასალა, რომელიც საქართველოს ტერასული მიწათმოქმედების რიგი თავისებურების დადგენის საშუალებას იძლევა.<sup>8</sup>

მთის ფერდობების რაციონალური გამოყენება უადრესად აქტუალური მეურნეობრივი პრობლემაა, ამიტომაც ტერასული მეურნეობის მდგო-

4 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნაწ. I, თბ., 1930, გვ. 306.

5 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81; ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 174.

6 ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, თბ., 1964, გვ. 31.

7 ნ. ჩიჭიძე, ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი აჭარაში, აჭარის მოსახლეობის უფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1966, გვ. 102; მისივე, სამიწათმოქმედო უფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971, გვ. 49.

8 ამ მუშაობის ზოგიერთი შედეგი მოხსენდა მეთორმეტე რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიას. იხ. ნ. ჩიჭიძე, ტერასული მიწათმოქმედება მესხეთში, მეთორმეტე რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა შორის, შინაარსი, თბ., 1973, გვ. 21.

მარობასა და მის პერსპექტივებზე ყურადღებას ამახვილებენ სხვადა-  
სხვა დარგის სპეციალისტები, აგრონომები,<sup>9</sup> ნიადაგმცოდნეები,<sup>10</sup> მექანი-  
ზატორები<sup>11</sup> და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიწათმოქმედების თა-  
ნაშედროვე პრობლემებზე მოქმედავე სოფლის მეურნეობის ზოგიერთი  
სპეციალისტი ტერაპიული მიწათმოქმედების რატორიის საკითხებსაც ეხე-  
ბა, მაგრამ უხეშად არღვევს სააგროტორო უფლებების ელემენტარულ წესს.<sup>12</sup>

საქართველოს ტერაპიული მიწათმოქმედების ცალკეულ მხარეთა უკეთ-  
გაგების, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი ისტორიული განვითარების  
საფუძვლიანად წარმოდგენისათვის აუცილებელია ამ დიდი პრობლემის  
კვლევან არეალის გაფართოება, რომელშიაც შევა ანალოგიური საკით-  
ხები მოძვე რესპუბლიკების: სომხეთის, აზერბაიჯანის და კავკასიის მთი-  
ანი მხარეების ყოფიდან. შედარებითი მეთოდით წარმოებული კვლევა  
საშუალებას მოგვცემს გარკვეულ იქნას აგრეთვე საქართველოსა და კავ-  
კასიის ტერაპიული მიწათმოქმედების როგორც ლოკალური, ასევე ზოგა-  
დი მხარეები.

9 შ. წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პე-  
რსპექტივები მესხეთში, თბ., 1958; მისივე, მევენახეობის აგროტექნიკა მესხეთში.  
თბ., 1967.

10 რ. პეტრიაშვილი, მესხეთის ხელოვნური ტერასების კულტურული ნიადა-  
გების შესახებ, აკადემიის მოამბე, № 2, თბ., 1968, გვ. 463.

11 ა. პ. ვაშალომიძე და სხვ., ძველი მესხეთის ხელოვნური ტერასები, თბ.,  
1969.

12 1975 წელს (ქურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, № 8) გამოქვეყნდა სოფლის-  
მეურნეობის მეცნ. კანდ. ნ. იაშვილის სტატია „ტერასები ძველ საქართველოში“. სტა-  
ტიის ტექსტი და მასზე დართული ილუსტრაციები (შესრულებულია არქ. ვ. პოპლავს-  
კაის მიერ) მითვისებულია ჩვენი წიგნიდან (სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან  
აქარაში, თბ., 1971). არც სტატიაში და არც ხელნაწერში, რომელიც ქურნალის რედაქ-  
ციამი ინახება, არ გვხვდება მითითება, თუ ვისი ან რა მონაცემების საფუძველზე იყო  
იგი დაწერილი. უფრო მეტი, სტატიის ტექსტი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა წიგნი-  
ტექსტს. წიგნიდან ამოღებულია არამარტო ცალკეული დებულებები, არამედ მონოგ-  
რაფიის მთელი თავი (მესამე), ტერასების მშენებლობის ტექნიკა; ტერმინოლოგია, კლა-  
სიფიკაცია, გავრცელების არეები და სხვა.

ჩვენი პროტესტის საპასუხოდ „მეცნიერება და ტექნიკის“ რედაქციამ მიმდინარე-  
წელს იმავე ქურნალის მე-3 ნომერში გააკეთა ერთგვარი განცხადება, რომელშიც ეს  
უპრეცედენტო ფაქტი მხალხული კი არა, მიჩქმალულია. ქურნალ „საქართველოს-  
სოფლის მეურნეობაში“ 1969 წლის მე-8 ნომერში (გვ. 23) გამოქვეყნებული იყო ანა-  
ლოგიური სტატია „დატერასება-მიწათმოქმედების უძველესი წესი“; რომელიც ასევე  
ყოველგვარი მითითების გარეშე, დაწერილია ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებულ ნაშ-  
რომის (ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი აქარაში, აქარის მოსახლეობის ყო-  
ფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1966, გვ. 102) საფუძველზე.

## ტერასული მიწათმოქმედების თავისებურებანი დასავლეთ საქართველოში

### I ტერასის ტიპები და მათი ახების ხერხები

ტერასულ მიწათმოქმედებას გააჩნია როგორც ტოპოლოგიური სხვაობანი, ასევე ფორმათა სიმრავლე. დასავლეთ საქართველოში წარმოებულმა ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა ამ სისტემის ძველი თუ უძველესი არაერთი მაგალითი. ბევრი მათგანი მიწათმოქმედების უძველეს სისტემაში, ახლობაში იყო შემორჩენილი და ორგანულად უკავშირდებოდა თოხის კულტურას. როგორც ცნობილია, თოხის კულტურა მიწათმოქმედების საწყისებს უკავშირდება. მან ჩვენს ქვეყანაშიც განვითარების ხანგრძლივი პროცესი განვლო და გარკვეული სახით ბოლო დრომდეც მოაღწია. თოხმა მეტწილად დასავლეთ საქართველოში შემოინახა თავი.

იარაღის ტიპისა და მიწის დამუშავების ტექნოლოგიის თვალსაზრისით მთელი სახმარი მიწა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აქარის, გურიისა და იმერეთის მთის ზონის სოფლებში, ორ ჯგუფად იყოფოდა. პირველს შეადგენდა სახნავი მიწა, მეორეს, რომელიც რაოდენობრივად არც თუ ისე მცირე იყო — სათოხარი მიწა. სახნავი და სათოხარი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა არა მარტო მიწის დამუშავების ტექნოლოგიით, არამედ რელიეფის ხასიათით, მისი მდებარეობით, აზიკომაც მიწის დასაპუშავებლად სახვნელის თუ თოხის გამოყენება და მოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ტოპოგრაფიული თვისებებით ხასიათდებოდა სახმარი მიწის ესა თუ ის ნაკვეთი.

აქარაში მიწას, რომელიც თოხით მუშავდებოდა, სათხარი ეწოდებოდა, ხოლო ამ იარაღით მუშაობის პროცესს — თხრა, მოთხრა. ს. ორბელიანის განმარტებით „თოხი — სათხროლია“. იმავე მნიშვნელობით განმარტებულია ბარიც.<sup>1</sup> მაშასადამე, თოხითაც და ბარითაც მუშაობა იწოდებოდა მოთხრად, თხრად, ისე როგორც სახვნელით მუშა-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

ობა იწოდება „ხ ვ ნ ა დ“. სათხარო კონკრეტულ იარაღზე — თოხზე, ან-  
ევე ამ იარაღით დასამუშავებელ მიწის კატეგორიაზე მიგვანიშნებს.<sup>2</sup>

გუთნური მიწათმოქმედების გვერდით თოხით მიწათმოქმედება (ახოობა) დასავლეთ საქართველოს მთაგორიან რაიონებს შემორჩათ. ამ რეგიონის მთის სოფლები გამოირჩევა არამართო მაღალი მდებარეობით, არამედ მთის ფერდობების დიდი დაქანებით, რელიეფის ძლიერი დასერილობით, მაღალი ტენიანობით და სხვ. ყველაფერი ეს ართულებდა და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდიდა მიწის დამუშავებას კავით. აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძველი ტერასული მიწათმოქმედების ცალკეული ფორმები სწორედ ამ უბნებზე იქნა დადგენილი და, რაც მთავარია, აშკარად გამოვლინდა მათი ორგანული კავშირი თოხის კულტურასთან.

დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში მცირემიწიანობის გამო გლეხები იძულებული იყვნენ სახნავ-სათესად ტყის მიწები გამოეყენებინათ. ტყე გაეჩეხათ, მოეწვათ და ციცაბო ფერდობებზე ეთესათ. ეს იყო ახოს მიწათმოქმედება, სადაც ძირითად საწარმოო იარაღს თოხი წარმოადგენდა. ტყის უხმარი მიწა პირველ პერიოდში მაღალ მოსავალს იძლეოდა, ამიტომაც მიწათმოქმედების ამ სისტემას განსაკუთრებული ადგილი ეკავა დასავლეთ საქართველოს გლეხთა ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თოხის კულტურის გახანგრძლივებული არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად, სხვასთან ერთად, ეკონომიური ფაქტორიც უნდა იქნას მიჩნეული.

მიუხედავად ამისა, საკუთრივ თოხური მიწათმოქმედება, რომელშიც ვგულისხმობთ ამ იარაღით მიწის წინასწარ დამუშავებას: თესვას, თოხნას და სხვა თანმიმყოფ ოპერაციებს, ექსტენსიური იყო. მაგრამ თოხი გამოიყენებოდა ინტენსიურ მიწათმოქმედებაშიც: მევენახეობასა და მებალეობაში, მემინდვრეობაში კი მას ზოგჯერ დამხმარე, ზოგჯერ დამოუკიდებელი ფუნქცია ეკისრებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თოხის კულტურის ესოდენ ხანგრძლივი შემონახულობა უნდა აიხსნას არა საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონით, არამედ იმით, რომ იგი ძველთაგანვე კარგად იყო შეგუებული გეოგრაფიულ-კლიმატურ თუ სამეურნეო პირობებს და ყველაზე ოპტიმალურ იარაღს წარმოადგენდა. ჩვენს დროშიც, როდესაც ხალხურმა სახვნელმა იარაღმა სწრაფად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ბარში, თუ მთაში იგი მექანიკურმა იარაღებმა შეცვალა, თოხი, როგორც სინამ-

<sup>2</sup> „და დასცა სათხარო მამამან წმინდამან შიო და აღაშენა ეკლესია სადიდებლად ღმერთისა“, ცხოვრება შიოსი და ევგრიისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 160.

დვილე გვიჩვენებს, ვერ განიღვენა ხმარებიდან. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა იმ რაიონებში, სადაც მებოსტნეობა, მებალეობა და მევენახეობა განვითარებული, სადაც მიწის მექანიზირებული წესით დამუშავება არ ხერხდება. მაშასადამე, ბუნებრივი და სავიურნეო პირობები მაინც ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად რჩება. სხვა ქვეყნების მაგალითებიც ამ მოსაზრებას უჭერს მხარს,<sup>3</sup> ჩინეთის ტროპიკებსა და სუბტროპიკების ზონაში მოსახლეობა დღესაც იყენებს თოხს. მიწის ხელით დამუშავებას ფართოდ მისდევენ იაპონიაში, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად ითვლება კაპიტალიზტურ სამყაროში. სახმარი მიწის დაახლოებით ორმოცდაათ პროცენტზე მეტი თოხით მუშავდება, თუმცა სახვნელი იარაღი იაპონიაში დიდი ხნიდან არსებობს.<sup>4</sup>

დასავლეთ საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა იყო სათოხარი მიწების ანუ ახოს გამოყენების ხანგრძლივობა. საშუალოდ ტყის მიწის ექსპლუატაცია 3-4 წელს არ აღემატებოდა. შემდეგ, როდესაც მიწის ნაყოფიერება დაეცემოდა, მას მიატოვებდნენ და სხვა ადგილზე გააჯავდნენ ტყეს. ძველ ნაყანებს კი 15-25 წლის შემდეგ მიუბრუნდებოდნენ. მას ხელახლა ათავისუფლებდნენ ტყისაგან, რომ ისევ ეთესათ.

ახოობის აღნიშნული წესი ძალზე ძველია. იგი წარმოადგენს თოხით მიწათმოქმედების იმ კლასიკურ ფორმას, რომლის ბევრი ანალოგია მოპოვება სხვა ხალხთა სამეურნეო ყოფაში.<sup>5</sup> დასავლურ-ქართულ თოხურ მიწათმოქმედებას რიგი თავისებურებანი ახასიათებდა. ამათგან აღსანიშნავია. რომ იგი არ ითვალისწინებდა მოკაფული ნაკვეთის სავსებით გაშიშვლებას, კუნძებისა და ფესვების ამოძირკვას.

დასავლეთ საქართველოში (აჭარა, გურია, ქვემო იმერეთი) ცნობილი იყო, აგრეთვე, ახოში მიწის ნაყოფიერების დაჩქარებული აღდგენაც. იგი გულისხმობდა ნაყანეზე ტყის ხელოვნურად გაშენებას. განსაკუთრებით მისდევდნენ სწრაფად მზარდი და ნიადაგისთვის სასარგებლო ხის ჯიშის მოშენებას. ასეთ ხედ მურყანი (თხმელა) ითვლებოდა.<sup>6</sup> მიწათმოქმედების მსგავს სისტემას მისდევდნენ კავკასიის სხვა ხალხებიც. მაგალითად, ადიღეს მთიელი ხალხები, ტყეს კაფავდნენ არა ხელალებით, არამედ

3. Ю. В. Рейслер. Машины и орудия возделывания овощных культур. М., 1952. Его же. Ручной и конный сельскохозяйственный инвентарь. М., 1941.

4. Лип - Яо - Хуа и Н. Н. Чебоксаров. Хозяйственно-культурные типы Китая. Восточно-азиатский этнографический сборник; II, М., 1961, стр. 40.

5. П. М. Третьяков. Подсечное земледелие в Восточной Европе. ИГАНМК, т. XIV, вып. I, М., 1939, стр. 4; Д. Кларк. Доисторическая Европа. М., 1953, стр. 99; Ю. Липс. Происхождение вещей, М., 1954, стр. 112.

6. Б. ჩიჭავაძე, ახობა აჭარაში, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967, გვ. 65, 67, 69.

საქირო ადგილებზე ხელოვნურად აშენებდნენ ტყის კორომებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მეტწილად მოსაშენებელ ხეს მურყანი შეადგენდა.<sup>7</sup>

დასავლურ-ქართული ახოს სისტემის მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა მოკაფულ ნაკვეთში ნიადაგის დასაცავად ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება. გურიაში მიწის შემაგრების სხვადასხვა ხერხი არსებობდა, მაგრამ ტყის ზონაში უფრო პრაქტიკული და გავრცელებული იყო ნიადაგის დაცვა ფერდობის და ბეკები თბევები იმართებოდა ყანის მთელ ნაკვეთზე ერთიპეორის შეყოლებით. სააპისოდ ყანას დაპასლავდნენ ე. ი. ყოველ 2-4 მეტრის მანძილზე ქანობის განივად მიწაში ჩაასობდნენ 50-60 სმ სიმაღლის პალოებს. პალოს როლს ასრულებდა მოჭრილი ხის კუნძებიც. პალოებსა და კუნძებზე მოაწყობდნენ მორებს და ლანდურებს (ლატნებს). საბეკე მასალა არ მოითხოვდა საგანგებო დამუშავებას. იგი ტყის კაფვის პროცესში მზადდებოდა და აპიტომაც ბეკის გამართვა არ წარმოადგენდა რთულ საქმეს. შემდეგ თოხათ ჩათესავდნენ სიჰინდს და დაფოცხავდნენ. მოფოცხილ მასას (ქვებს, მიწის გორახებს, ფიჩხს) ე. წ. მონაგერას ბეკების გასწვრივ დატოვებდნენ. ზემო ნაკვეთებიდან წვიმის წყლით თუ თოხნით ჩამონაცვლებული ჰუმუსოვანი მიწა აქ შემოკავდებოდა და წარმოქმნიდა მცირე ზიგანის მოვაკებას, რომელსაც ასევე ბეკი ეწოდებოდა. ხის ასეთი კონსტრუქცია 3-4 წელიწადს იყო ვარგისი. ნეპტიან მიწაზე ხე დიდხანს არ ძლებდა, მალე ლპებოდა. ახოს დაბეკებული ყანა, როგორც ადგილობრივი გლეხები მიუთითებენ, 6-8 წელიწადს იძლეოდა მოსავალს. ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა ბეკების შეკეთება, ლატნების და პალოების გამოცვლა, ან ახლის გაშართვა. ახალი ბეკი ძველ ვაკიებს შორის იგებოდა. ტერასის ამგვარად განახლებას ბეკის ჩამონაცვლებას ეძახდნენ. ეს ალბათ იპიტომ, რომ ადრე ნაგები თავისთავად დაიშლებოდა და მიწის ფხვიერი ფენა ახალ ბეკებზე ჩამოირეცხებოდა. დაუბეკებელ ყანაში, სადაც ნიადაგს გაზაფხულისა და შემოდგომის გაბმული წვიმები ადვილად რეცხავდა, მიწის ნაყოფიერება 3-4 წელიწადს არ აღემატებოდა როგორც უხედავთ, დაბეკებით მიწის დაცვა მარტივი, მაგრამ პრაქტიკული და კარგი ეფექტის მოპოვების იყო. იგი ხაფსებით შეესაბამებოდა თოხნით მიწათმოქმედების სისტემას. უთუოდ ამ სიმარტივემ და ეფექტანობამ განაპირობა მისი სიცოცხლისუნარიანობა და ესოდენ დიდი ხნის არსებობა.

დასავლეთ საქართველოს პირობებში ახოს დაბეკებული მიწა 6-8 წლის ექსპლუატაციის შემდეგ მაინც უნაყოფო ხდებოდა. ამ რიგის სახ-

7. В. К. Гарданов. Общественный строй адыгских народов, М., 1967. стр. 69.

მარ მიწებში არ იყო მიღებული საქონლის პატივის შეტანა. მას დიდი ხნით მიატოვებდნენ, ტყედ აქცევდნენ, რომ ნიადაგის ნაყოფიერება ბუნებრივი გზით აღმდგარიყო. ეს პროცესი 15-25 წელიწადს გრძელდებოდა, რის შემდეგ ტყე ხელახლა იკაფებოდა სათესად.

გურიისში ბეკებს იხეთივე წარმატებით იყენებდნენ ბალებსა და ვენახებში. ბეკებს აწყობდნენ ცალკეული ხისა და ვენახის ძირთან, ასევე ნარგავებს შორისაც. გურიის მთიან ნაწილში უმთავრესად მაღლარი ვენახი იყო გავრცელებული: ხე მაღალა, ჩხავერი, ცხილათობანი, ალადასტური და სხვ. შემდეგ ამ ჯიშების ადგილი დაიკავა ადესამ. იგი კარგად შეეგუა ადგილობრივ კლიმატურ-ნიადაგურ პირობებს და მალე ფართო გავრცელება მოიპოვა.

გურიისში ბეკის შესატყვისად იხმარებოდა სიტყვა ბოგიც. (ხის გაცბოგება. ბოგების მოწყობა და სხვ.) მაგრამ ეს ტერმინი უფრო მეტად გავრცელებული იყო ქვემო იმერეთის (ვანის რაიონი) მთისსოფლებში.

მიწის დაცვის სხვა ტექნიკურ საშუალებათაგან აღსანიშნავია ე. წ. ქვაყორეების შენება, თუმცა ქვის სიმცირის გამო მათ გამოყენებას ამ კუთხეში ფართო გავრცელება არ მიუღია. ქვაყორით მიწა-წყლის გამაგრება ძირითადად ეზო-ყანებზე მოდის, სადაც ბალკან-ბოსტანი და სახლ-კარი იყო გაშენებული. იმავე ეზოყანებსა და გზისპირებზე ადამიანი ხშირად შეხვდებოდა ძელისა და ქვის კომბინირებულად გამოყენებას. ე. წ. ძელყორეს. ძელყორის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა მშრალი წყობით ნაგები ქვის კედელი. ყორის ზემო ნაწილი ბეკის პრინციპზე იგებოდა. განივად გადებული ლატანი დაქანების მხრიდან აარს ეყრდნობოდა ან ორკაპებში იყო ჩასმული.

იმავე რეგიონში არსებობდა მიწის დაცვის სხვა წესიც. სათოხარ ყანებში ფერდის განივად, ალაგ-ალაგ დაუთოხნავად დატოვებდნენ 60-80 სმ ზიგანის ზოლს, ნაყოფის მოწვიან შემდეგ დაჩენილ მასას ე. წ. ნაგარს — მონაგარს (წვრილი ფიჩხი, ფოთლები, ბალახი, ქვა და სხვა) ზოლების გასწვრივ ჩამოფოცხავდნენ. აქვე გროვდებოდა ზემოდან ჩამოცურებული მიწა და 1-2 წლის შემდეგ იქმნებოდა მცირე შემალლების სუბტი ბაქნები, რომლებიც ამცირებდა ზედაპირულად დენადი წვიმის წყლის ძალასა და დარეცხვის ინტენსივობას. მსგავსი ბაქნები დადასტურებულია კინტრიშის ხეობაშიც (ქობულეთის რაიონი), სადაც მას გერონს უწოდებენ.<sup>8</sup> ნიადაგის შევადგარების ასეთი ხერხი გამოიყენებოდა ახლებში ნაყანევი და ნაძვენი მიწების ხელახლა დაპუშავებისას.

ზემო იმერეთში (სოფელი უზუნთა) მიწის დაცვის ერთ-ერთ პრაქტიკულ და ფართოდ ფეხმოკიდებულ საშუალებად ითვლებოდა ცოცხალი

8 შლრ. გენონი-ნაგრი-ნაგრა-მონაგერება.

ნარგავების გაშენება ნაკვეთის იმ ნაწილზე, სადაც მძლავრობდა ეროზია. ხევის, ხრამის ძირში, ღელის თუ ნაკადულების კალაპოტის გასწვრივ მეტწილად რგავდნენ უნაყოფო ხის ისეთ ჯიშებს, რომლებიც კარგად ივ-თარებდა ფესვურ სისტემას: თხმელას, იფანს, ეკლია ხეს და სხვ. 5-6 წლის შემდეგ ხეებს დროდადრო გადაბელავდნენ, რომ ნათეს-ნარგავებისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა. ხეთა შორის ირგვებოდა ბუჩქნარი მცენარეები, გარეული ბროწეული და სხვ.

ზემო იმერეთის მთის სოფლებში, განსაკუთრებით ტყის ზონის ყანებში, ეროზიისაგან მიწის დაცვაში ფართო გამოყენება ხეს ჰქონდა. ჯარგვალა ხეებისაგან, ასევე ნაკადის ტოტებისაგან აგებდნენ ე. წ. ს ხ ტ ე ს (ს. სულორი) და ბოგებს (ს. ყუმური). მდ. ჯრუჭის ხეობის ზემო ნაწილში ნიადაგსაცავად იგივე მასალა იყო ხმარებული, თუმცა საკუთრივ ასეთ ნაგებობას ხ ი რ ა გ ა ეწოდებოდა. („ძველად მოკაფულ ყანაში ხირაგებს გადებდნენ და სამანებით დაამაგრებდნენო“, აღნიშნავს ადგილობრივი გლეხები).<sup>9</sup> ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენდა სოფლები: ს კ ი ნ დ ო რ ი, კ ი ლ ო ვ ა ნ ი, ჩ ხ ი რ ა უ ლ ა და სხვ. (ჭიათურის რაიონი). იქ ანალოგიური წასიათის ხის კონსტრუქციას, რომელსაც ნიადაგის დაცვისათვის იყენებდნენ, ხ ი მ ი ს რ ა გ ვ ი ეწოდებოდა.<sup>10</sup>

სხტეს თუ ბოგას ქვემო იმერეთში ახოს ალებიდან 1-2 წლის შემდეგ აგებდნენ, მანამდე მასალა იქვე, მშრალ ადგილზე ინახებოდა. ახალ ნაკაფში (სოფლები: სულორი, ყუმური) მიწა მაღალხარისხოვანი იყო და ისე იოლად არ ირეცხებოდა, ეროზია რამდენადმე მოგვიანებით იჩენდა თავს. სხტეს თუ ბოგებს სწორედ იმ დროს მიაშველებდნენ ყანას, როდესაც მოსალოდნელი ხდებოდა მიწის ნაყოფიერების დაცემა, მხედველობაში მიღებული იყო ხის მასალის ცუდი გამძლეობა. ადრე ნაგები ბოგი ეროზიის დაწყებამდე ღებოდა და საჭიროების დროს მიწა დაუცველი რჩებოდა, ამიტომაც პირველად სხვა ხერხს მიმართავდნენ. კერძოდ, სათესად მომზადებულ საყანეს მონაფოცხი მასალით ღ ვ ა რ უ ლ ე ბ ა დ დაანაწევრებდნენ. ღვარულები ამცირებდა წვიმის წყლის ნაკადებს, მიმართულებას უცვლიდა მათ და აჩერებდა ზემო კვლებიდან ჩამოტანილ მიწას. ახოს ექსპლუატაციის პირველ პერიოდში ღვარულების გამოყენება საქმარისად ითვლებოდა მიწის დარეცვის თავიდან აცილებისათვის, შემდეგ იმავე ღვარულების გასწვრივ იგებოდა სხტე და ბოგი, რითაც მიწა კიდევ რამდენიმე წელს უზრუნველყოფილი იყო დაღვარვისაგან.

ღვარული მარტივ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ აგროტექნიკურ

9 ს. ს. კუჭაშვილი, 53 წლის, სოფელი უზუნთა, ეთნოგრაფიული მივლინების დღიური, 1971.

10 გ. ზ. კურტანიძე, 80 წლის, ეთნოგრაფიული მივლინების დღიური, 1971.



ბერხად ითვლებოდა დვარული არსებითად იგივეა, რაც აქარასა და გუ-  
რიაში „გერონი“. ნიადაგის დაცვის ხალხური წესები ამათზე უმარტივეს  
საშუალებას არ იცნობს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ ეთნოგრაფი-  
ულ სინამდვილეში და არც ხალხის მესხიერებაში შემონახული არაა. ამი-  
ტომაც ტერასული მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით, გე-  
რონი და თუნდაც მისი ცალკეული ვარიაციები ნიადაგის დაცვის უძვე-  
ლეს ტექნიკურ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება სტესს, ბოგს, ხირაგას, ხიპისრაგს, ბეკს და სხვ., ეთ-  
ნოგრაფიული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, განეკუთვნება მარტივი ტე-  
რასების იმ ტიპს, რომელიც აქარაში (კინტრიშის ხეობა) ცნობილი იყო  
კადონის სახელწოდებით. სიტყვა კადონი ხომ ძველქართულშიც არსებო-  
ბდა და იმავე მნიშვნელობის მატარებელი იყო, რაც დღემდე ყოფაში  
გვაქვს. „კადონი ესე არს ძელით ფრიალო გვერდი ბ ა ქ ა ნ - ბ ა ქ ა ნ ა დ  
მ ო ა ს წ ო რ ო ს და ს ა თ ე ს ვ ე ლ ა დ,“ — აღნიშნავს ს. ორბელიანი.<sup>11</sup>

ამრიგად, საესებით ნათელია კადონისა და მისი ცალკეული ვარიან-  
ტების ბუნება, მათი სამეურნეო მნიშვნელობა და ადგილი ტერასული  
მიწათმოქმედების სისტემაში. დაკადონება, დაბეკება, დაბოგირება, დახი-  
რაგება და ა. შ. ნიშნავდა ჭარგვალა ძელებით მიწის ზედაპირის პორი-  
ზონტალურად გადაღობვას დამუშავების გარეშე, და ქანობის პროფილის  
შეუცვლელად. ეს იყო მეტად მარტივი ტექნიკური საშუალება, რომელიც  
მხოლოდ ორ კონსტრუქციულ ელემენტს შეიცავდა (პორიზონტალურ  
ძელს და ვერტიკალურ საყრდენებს — პალოებს) და, როგორც წესი,  
ტყის ყანებში გამოიყენებოდა. ამ გარემოებას იმ მოსაზრებით ვუსვამთ  
ხაზს, რომ კადონი და მისი ცალკეული ფორმები, ისე როგორც გერონი,  
თან ახლდა თოხის კულტურას. მიწის დაცვის ასეთი ხერხი ტიპური იყო  
დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) სამიწათმოქმედო კულტურისათვის.

წყლისპიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ყველაზე გავრცელებულ  
ტექნიკურ საშუალებად ჩვენში და სხვა ქვეყნებშიც ფერდობის დატერა-  
სება ითვლებოდა.

ძველი ტერასების არსებობა დასავლეთ საქართველოში მხოლოდ  
მის ცალკეულ უბნებზე დასტურდება, ისიც ძირითადად კარშიდამოს კო-  
მპლექსში შემავალ მიწის ნაკვეთებზე. ეს ადგილები ქვის დიდი შეშვე-  
ლობით გამოირჩევა, ამიტომ ტერასები ქვითაა ნაგები. აღნიშნულ რეგიონ-  
ში მთელ რიგ უბნებზე, ეროზიის გამომწვევი ფაქტორები არ იყო ძლი-  
ერი, მაგრამ თუ ტრადიცია მაინც მიმართავდა ტერასის შენებას, ეს ფა-  
ქტი მცირეპირობითა და ქვის სიუხვით უნდა აიხსნას. სახმარად ვაჰ-  
ზნული ნაკვეთებიდან გამოღებულ ქვას სხვა გამოყენება არ ჰქონდა, თუ

<sup>11</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

არა ადგილზევე მისი მოხმარება ყორედ, რომელიც საბოლოოდ ტერასის კედლის სახეს ღებულობდა.

ქვით ნაშენი ტერასები მრავალი წლისა და არაერთი თაობის შრომის შედეგი იყო. ერთიდამივე სოფელში ხშირად გვხვდება ძველი, „პაპათა ნაგები“, ასევე ახალი, ჩვენს დროში ნაშენი ტერასები, რაც ტრადიციის უწყვეტობაზე მეტყველებს.

იმერეთის რიგ სოფლებში (ღვედი — წულუკიძის რაიონი, სკინდორი, თვალეთი, ჭილოვანი, წინსოფელი — ჭიათურის რაიონი და სხვ.) კარმიდამო, ბალ-ვენახი თუ ბოსტანი ქვით შემოსილ და შემოზღუდულ ნაკვეთებზე იყო და არის გაშენებული. ტერასის კედლები თუ ზღუდეები ყველგან უხსნაროდ, ქვითაა ნაგები, რომელიც ადგილზე ჭარბად მოიპოვებოდა. საკედლე მასალა არ მუშავდებოდა, მაგრამ კედლის პირის ქვა საგულდაგულოდ იყო შერჩეული.

ქვითნაგები ტერასების შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს სოფელი ღვედი (წულუკიძის რაიონი). იგი მთა იფუნდიშის ძირში, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეზე კონუსისებურ გორაზეა გაშენებული და მთლიანად ხელოვნური ტერასებითაა დასერილი. დასავლეთ საქართველოში არცერთ უბანზე არ გვხვდება მსგავსი მაგალითი, რომ მთელი დასახლება, კარმიდამო, ბალ-ბოსტანი, ვენახი თუ სხვა სახმარი მიწა მთლიანად კიბისებურ ქვისკედლიან ტერასებზე იყოს განლაგებული. თავისი მასშტაბურობით და ნაგებობათა სრულყოფილობით იგი შეიძლება ქართლის ან მესხეთის ძველი ტერასების გვერდით დავყენოთ. მაგრამ ერთმანეთს რომ შევადაროთ, სოფელ ღვედისა და მესხეთის რომელიმე სოფლის ტერასული მიწათმოქმედების ბუნებრივი და სამეურნეო პირობები, მათი გაჩენის ობიექტური მხარეები, ცხადია, თანხვედრილ ფაქტორებს ვერ ვიპოვით. საერთოდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერასულ მიწათმოქმედებაში გამორიცხული როდია გარეგნული, ფორმალურად მსგავსი ნიშნების არსებობა, მაგრამ განსხვავებულია მათი ბუნება, ტერასების ფუნქცია და სხვ. ამ რეგიონებში, ფაქტობრივ მასალის საფუძველზე, ტერასული მიწათმოქმედების ორ განსხვავებულ ტიპს გამოვყოფთ. საკუთრად ტერასების ტიპოლოგიაში კი ცალკეული ანალოგიები დასტურდება.

სოფელ ღვედში ტერასების გაჩენის ძირითადი ფაქტორი, როგორც ეს ადგილზე დაკვირვებით და მცხოვრებთა გადმოცემითაც დადასტურდა, იყო ნიადაგში ქვის დიდი სიჭარბე. ნიადაგი საკმაო ტენიანობით ხასიათდებოდა, რაც ნალექების და პირველ რიგში ხშირი წვიმებით აიხსნებოდა. ეს გარემოება გამორიცხავდა ხელოვნურ მორწყვას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ფერდის წინასწარ ბაქან-ბაქანად მოვაკებას მოითხოვდა.

გარკვეული თავისებურება აოჩინობა ტერასების მშენებლობის ტე-

ქნიკაში. სამოსახლოდ თუ სამეურნეოდ გამიზნული ადგილი, უპირველეს ყოვლისა, ქვა-ლოდისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ამ საქმეს ქვის ამოკაფვა ეწოდებოდა, ისე როგორც ახოსთან დაკავშირებით გვაქვს ხოლმე ტყის გაკაფვა და სხვ.<sup>12</sup> ადგილის ამოკაფვა ქვისაგან ერთბაშად არ ხდებოდა. სათანადო ადგილზე, დაახლოებით ნახევარი მეტრის სიღრმეზე, გაჭირდნენ ყორის ბალავერს, რომელშიც აწყობდნენ ლოდებს. კედელი აპყავდათ იმ სიმაღლეზე, რის საშუალებასაც 20-30 სმ სიღრმეზე მიწის დამუშავების დროს მოპოვებული ქვის მარაგი იძლეოდა. ასე რამდენიმე კვალად იყოფოდა ფერდი. კვლების ზედაპირის მოსწორება და მისი ბაქნად მოვაკება ხდებოდა თანდათან, ყოველ წელიწადს მიწის მორიგი დამუშავებისას. ეტაპობრივად მიმდინარეობდა ტერასის კედლის ამადლებაც. ამიტომაც, ბაქნების საბოლოო ფორმირებას დიდი დრო სჭირდებოდა. ხენის თუ ბარვის დროს მიწა ქვედა კედლისაკენ ინაცვლებდა და ფერდი თანდათანობით ვაკდებოდა, მაგრამ ზედა ყორის საძირკველთან (ბალავართან) მიწა დაბლა იწვედა და დამცველი კედლის ფუძე სუსტდებოდა. ამიტომ მიწის რიგითი დამუშავების დროს ამოდებული ქვა გამოიყენებოდა, როგორც კედლის ასამაღლებლად, ასევე საძირკველის გასამაგრებლად. ადრე ნაშენი კედლის ძირის ფასწვრივ, ძველ საძირკველზე ერთი ქვით დაბლა, მეორე ბალავარს გათხრიდნენ და წინიდან ახალ კედელს ამოუშენებდნენ. ასე ამაგრებდნენ საძირკველს შემდეგაც. ამის გამო, დასრულებული კედელი ქვის ორი ან სამი წყებისაგან შედგებოდა და ოდნავ გადახრილი იყო დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით. ზოგჯერ სულ ბოლოს ნაშენი ქვის წყობა კედლის სიმაღლეს არ აღწევდა და ფრონტულ მხარეზე თაროს მსგავს საფეხურს ქმნიდა. ფერდობის გარდაქმნის ამგვარი ხერხი საშუალებას იძლეოდა ფორმირებაში მყოფი ნაკვეთებით ესარგებლათ. მათი ექსპლუატაცია დაკავშირებული არ იყო ხელოვნურ მორწყვასთან. რომელიც ტერასის ზედაპირის გაგვიწყობას მოითხოვდა.

სოფელ ღვედში ტერასებზე გაშენებულია ტრადიციული ხეხილი: ლედვი, ხურმა, კარალიოკი, ბალი, კომში, ქლიავი და სხვ.<sup>13</sup> ლედვი და წვრილი ხილი, ძირითადად, კარმიდამოს საზღვრებს და ეზოს ზღუდეს მიჰყვება. სახლის ქვემოთ მდებარე ტერასირებული ნაკვეთები უმთავრესად დაბლარ ვენახს უკავია. მეტწილად ესაა „მწვანე“ ვაზი. ვაზის რიგებს

12 ქვა-ლოდებისაგან გაწმენდილ საყანეს იმერეთში საზოგადოდ „მონაკაფი მიწა“ ეწოდებოდა. კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ., 1964, გვ. 47.

13 აღწერილობა შეეხება ბესარიონ აღექსანდრეს ძე გოდერძის კარმიდამოს, რომლის ჩანახატი, გეგმა და კრილი გააკეთა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მხატვარ-არქიტექტორმა ა. ჯაველიძემ.

შორის თესვენ ლობიოს, კიტრს და სხვა ბოსტნეულს. თუმცა, ბოსტანს ცალკე გარკვეული ადგილი უჭირავს და თავის მხრივ, შემოზღუდულია ლობით. გარდა ამისა, ტერასებით დასაფხურებული ფერდობი და მთლიანად სოფელი ღვედი მზის მხარესაა მიქცეული. შესანიშნავადაა გამოყენებული სივრცეც: სულ ზემო ტერასა სახლის ირგვლივ მალევიად მზარდ ხეებს უკავია. ამ ნარგავებს დეკორაციული მნიშვნელობაც აქვს და ზაფხულის ცხელ დღეებში სახლთან შესანიშნავ საჩრდილობელ კუთხეს ქმნის. მომდევნო ქვედა ტერასაზე გვხვდება ალუბალი, ქლიავი, ხურმა. ხეები ტერასის კედლის ძირის გაყოლებითაა დარგული, ხოლო ვაკისას განაპირა ადგილებზე ვენახის რიგებია.

სოფელ სკინდორში, როგორც უშუალო დაკვირვებით დადგინდა, ტერასები უფრო მცირე სიდიდისაა, გაფანტულია და ფერდობებზე მათ ეპიზოდური ხასიათი აქვთ.

ტერასებს მეტწილად აღმოსავლეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობები უკავია. მათი ვაკისები სხვადასხვა ზომისაა და საშუალოდ 20 კვადრატული მეტრიდან 100-120 კვ. მეტრამდე აღწევს. ასევე განსხვავებულია ტერასების ფრონტალური კედლის სიმაღლეც (80-200 სმ.).

ამ ტერასებზე მოშენებულია სხვადასხვა ხილი, ვაზი, ბოსტანი, უთესიათ აგრეთვე სომინდი, მაგრამ ამ კულტურებს ცალ-ცალკე ნაკვეთი უკავია. თუმცა აქა-იქ ახალ ნარგავ ხეხილში ბოსტანი და ნათესები შერეული სახითაც შეიქმნევა. ტერასის ვაკისებს მეტწილად დაქანებული პროფილი აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ს. სკინდორში ტერასები გაბნეულია ფერდობებზე, მათ არა აქვთ ერთიანი კიბისებური სახე, რაც რელიეფის სირთულის შედეგი უნდა იყოს. ფრონტალური კედელი ნაკვეთის ზოგიერთ ადგილზე ქანობის გასწვრივ ვრცელდება და ზღუდის მოვალეობას ასრულებს. ცალკეული ოჯახების ტერასული ნაკვეთები ქვის კედლებით ემიჯნება ერთმანეთს. ასეთ განლაგებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბოსტნებისათვის წყლის მოხმარებისას. წყაროების სიმცირის გამო სარწყავად წვიმის წყალს იყენებენ, რომელსაც ორმოებში აგროვებენ. ამავე ორმოებში ხდებოდა წყლის ნაკადებით მოტანილი სილისა და ჭუმუსოვანი მიწის დალევა, რასაც ბოსტნებსა და ვენახებში ნიადაგის განოყიერებისათვის ხმარობდნენ. წვიმის ნაკადებით მოტანილი ნალექის საგანგებოდ დაგროვება და მისი გამოყენება სასუქად პრაქტიკაში იყო აქარაში, სვანეთში და სხვ. ხალხური აგროტექნიკის ეს წესი უახლოვდება მდინარის წყლით მიწის მოლაშვას, რასაც კოლხეთის დაბლობზე უძველეს დროში მისდევდნენ ადგილობრივი ტომები.

ეროზიასთან ბრძოლისა და ნიადაგის დაცვის საქმეში მრავალმხრივ მასალას გვაძლევს რაჭა-ლეჩხუმი. ეს კუთხეებიც მთაგორიანობითა და

რელიეფს დაწაწევრებით ხასიათდება. გაშორჩევა, აგრეთვე, ნალექების საქმარიანობით და ხელსაყრელი კლიმატური პირობებით. ნიადაგის დაცვის საშუალებათა მრავალფეროვნება მართო ბუნებრივ პირობათა თავისებურებებით არ აიხსნება. მხედველობაში მიღებული უნდა იქნას ამ რეგიონში ვაზის დიდი გავრცელება, რომელიც მოითხოვს არამარტო განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებს, არამედ ნიადაგის დამუშავებისა და თვით მცენარის მოვლა-პატრონობის მაღალ კულტურას, რაშიც ეროზიასთან ბრძოლის ხერხებიც უნდა ვიგულისხმეთ.

რაჭა-ლეჩხუმის მთელ რიგ სოფლებში ნიადაგის დაცვის ტრადიციად წარმოდგენილი იყო ნაკვეთში ე. წ. ნ ა შ ე ნ ი ს აგებით. იგი გულისხმობს მშრალი წყობით მიწის დამკველი ქვის კედლის აგებას. ქვა ნაკვეთშივე მოიპოვებოდა. თუ კი იგი ღარიბი იყო საშენი მასალით, სატერასედ იყენებდნენ ფიქალს, რომელიც უხვად იყო მდინარეთა ხეობებში. მას ადგილზევე ტეხავდნენ და ურპით გადმოჰქონდათ მოხმარების ადგილზე.<sup>14</sup>

ნაშენის ასაგებ ადგილზე მიწას გადათხრიდნენ, ნიადაგს ალაგ-ალაგ მოზვინავდნენ, რომ იგი უნაყოფო ქვენიადგში არ შერეულიყო, ამასთან ქანობის განივად გათხრიდნენ სანაშენო ბალავარს და სასურველ სიმაღლეზე აიყვანდნენ კედელს, რის შემდეგ მიწას მოასწორებდნენ. ერთ ნაკვეთზე შეიძლებოდა აგებულიყო რამდენიმე საფეხურის ნაშენი. ქვის ნაშენს განსაკუთრებით იქ აგებდნენ, სადაც მიწა უფრო რღვევადი და ეროზია თვალსაჩინოდ შეიძინებოდა. ამრიგად, რაჭული ნაშენი ჩვეულებრივად ქვის ყორე კი არაა, რომელსაც შეიძლება ღობის, ზღუდის ან სხვა დანიშნულება ჰქონდეს, არამედ მიწის შემაგრების საეხებით გარკვეულიაბაე.

ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა ბევრ შემთხვევაში დამოკიდებული იყო ნიადაგდაცვაში გამოსაყენებელი მასალის სახეობასა და მის მარაგზე.

რაჭა-ლეჩხუმში ქვით ღარიბ, მაგრამ ტყით მდიდარ ადგილებში მიწის დაღვარვის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენებოდა ხე. ტრადიციულად აქ მიღებული იყო ყანის დალატნვა, დაჯარჯვა, დაღობურება და სხვ. დალატნვა არსებითად იგივეა, რაც დაკადონება, დაბეკება. რაც შეეხება დაჯარჯვას, მას მიპართავდნენ ახოს ყანებში. დასაჯარჯავად გამოიყენებოდა ფიჩხის კონები (ჯარჯები),<sup>15</sup> რომლებსაც ფერ-

14 ასპიდური ფიქალი გამოირჩევა კარგი თვისებებით და მოსახერხებელია მშრალი წყობისათვის. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მდიდარია ამ ქვის ქვით, ამიტომაც მას დიდი გამოყენება ჰქონდა მშენებლობაში. სვანეთში იშვიათი არ იყო ფიქალის ფილების მოხმარება სახლის სახურავად, რაჭაში კი მის დიდრონ ფილებს ე. წ. „კეცეფს“ ღობისათვის იყენებდნენ. მას „ჩაკეული“ ღობე ეწოდებოდა.

15 ჯარჯი — ხეების შეკრა... ვაზის ნახსლავი კონა, მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თბ., 1938.

დის ჰორიზონტალურ ზოლებზე დააწყობდნენ და დაქანების მხრიდან პალოებით დაამაგრებდნენ. იგივე ღონისძიება გარკვეულ ეფექტს იძლეოდა ხრამებისა და ნაკადულების კალაპოტებში გვერდითი მიწის დასაცავად. დაჯარჯვა გამოიყენებოდა აგრეთვე ვენახში, ფერდობზე ყოველი ცალკეული ძირი ვენახისა დაჯარჯული იყო ფიჩხისა და წალპის (ვაზის ნასხლავი) კონებით. დაჯარჯულ ვენახში უკეთესი იყო მოსავალი და ყურძნის ხარისხიც, ნიადაგი აღარ იღვარებოდა და მიწის განოყიერებაკ მეტ შედეგს იძლეოდა.

ხრამში თუ გვერდ ადგილზე წყლის დამანგრეველი დინების შენელება და მიწის ჩამოფლათისაგან დაცვა სხვაგვარ კონსტრუქციას მოითხოვდა. რაქა-ლეჩხუმში ასეთ შემთხვევებში მიმართავდნენ ხის ნარგავების გაშენებას, რაქაში ამგვარ ნაშენს სახეველებელი ეწოდებოდა, ხოლო ლეჩხუმში ანგარი. სახეველად გამოყენებული იყო: ტირიფი, იფანი, თელა და სხვ. ამ ხეთა ბელებს ჩახრამულ ადგილებზე მწყვირად დარგავდნენ და 2-3 წლის შემდეგ, როცა მომაგრდებოდნენ, მათ შუალედებს წნელით დაჩეღტავდნენ (მოღობავდნენ). იფნის, ტირიფის თუ ვერხვის ხე ნესტიან ადგილებზე კარგად ხარობს და მიწაში მძლავრად ხლართავს ფესვებს. სახევებელი სილითა და ქვა-ლორლით ამოივსებოდა და შეიქმნებოდა საკმაოდ მყარი ნიადაგდამცველი ზღუდე.<sup>16</sup> ხრამებისა და ნაკადულების კალაპოტებში ხშირად სახევებელი საფეხურებად იყო ჩაშენებული, რის გამოც წყლის დინებას კასკადური სახე ჰქონდა. მართალია, ეს არ წარმოადგენდა რადიკალურ საშუალებას, მაგრამ ყველა ასეთი საფეხური ანელებდა წყლის სიჩქარეს, ხრამის ჩაღრმავებას და გარკვეული ეფექტის მომცემა იყო ეროზიის შენელებაში.

სახევებლისაგან რამდენადმე განსხვავებულია ლეჩხუმური ანგარი. იქაც საანგაროდ სწრაფმზარდი ხის ჯიშებია გამოყენებული, მაგრამ სხვაობა იმაში იჩენს თავს, რომ ნარგავთა შორის ინტერვალი წნელით ამოღობილი არ არის. იგი შევსებულია ბუჩქნარი მცენარეებით: ეკლოვანები, თხილი, ბროწეული, კვინტრა, შვინდი და სხვ. როდესაც ბუჩქის ტოტები ერთმანეთში გადაიხლართებოდა, წყლის ნაკადები ჩახერგავდნენ

---

16 ზემო რაქაში ხეს იყენებდნენ ეზობისა და გზების შემაგრებისათვის. დაგვერდებულ გზებზე მუხის მორებს აწყობდნენ მორებს თავსა და ბოლოში ამოხერცდნენ, მიწაში ჩალაგებდნენ და პალოებით ვაკედავდნენ, რომ არ ემოძრაეა. სახლებს შორის გზის მთელ მანძილზე ერთმანეთისაგან 60-70 სმ დაშორებული მორები რკინიგზის შპალებივით იყო ჩალაგებული მიწაში. მათ შუალედებს ქვებით ამოავსებდნენ და მოასწორებდნენ. გზას ორივე მხარეზე ხისაგან წყლის სადინარი ღარები უკეთდებოდა. ასეთი გზა ნებისმიერ ამინდს იტანდა და დიდხანს იყო ხმარებაში. თავის პირვანდელი სახით იგი ბოლო ხანობამდე სოფელ გლოლაში ყოფილა შემონახული. ნ. კვერცხაძე, გზათა მშენებლობა საქართველოში, 1974, გვ. 50-51.

ასეთ მონაკვეთს. საბოლოოდ ანგარი ნიადაგის დამკაც ზღუდედ გადაქცეოდა.

ანგარებს, როგორც წესი, აწყობდნენ ყანისა და ვენახის ბოლოებში, ზოგჯერ ანგარით შემოზღუდული იყო მთლიანად (კარმიდამო. ასეთ შემთხვევაში საანგაროდ მოაშენებდნენ ნაყოფის მომკვებ ხეებს: ტყეშალს, ქლიავს, გარგარს, თუთას, ალუბალს და სხვ. ვენახსა თუ ყანებში, ნაკვეთის თავსა და შუალედებში, სადაც ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო წყლის ნაკადების წარმოქმნა და მიწის ჩამორეცხვა, ავლებდნენ წყლის სადინარ კვლებს, ღვარსაქვევ საწურავეებს. ქანობის საწინააღმდეგო მიმართულებით გავლებული ყოველი ასეთი საწურავი წყალშემკრებ რუს წარმოადგენდა, რომელიც ამავე დროს აქრობდა წყლის ზედაპირული დინების სიჩქარეს და წყლის ზედმეტი მარაგი, რომლის შეწოვას ნიადაგი ვერ ასწრებდა, ნაკვეთის გარეთ გადაჰყავდა.

ქვემო სვანეთის სინამდვილეში ადგილის დატერასება და მცირე საფეხურობრივი ნაკვეთების ხელოვნური შექმნა იშვიათად სცილდებოდა კარმიდამოს ფარგლებს. ეს ღონისძიება დასახლების საზღვრებში ეზო-კარის, კალოს და საბოსტნე ადგილის ქვის ყორით (ხვილა) შემოკაყვებას გულისხმობდა. გავრცელებული იყო აგრეთვე საყანე მიწის ნაკვეთების დაცვა მდინარეთა სანაპიროებზე, რომლებიც ქვემო სვანეთის პირობებში ყველაზე ნაყოფიერ სახნავეებს შეადგენდა. ამ ადგილებზე აგებდნენ ჭებირებს და ე. წ. ბოჯიტებს. ჭებირი შენდებოდა ხის მორებისაგან ჭარგვალურად, რომელსაც პირამდე ქვით ამოავსებდნენ. ბოჯიტი შედარებით მარტივი და უფრო იოლად ასაგები ნაშენობა იყო. იგი მორებისაგან სამფეხად შეკრული კონსტრუქციაა. მისი ყველა ელემენტი ერთმანეთთან თხილის ღვლეჭითაა შეერთებული, ბოლო ნაწილში იგი (ძირიდან დაახლოებით 60-70 სმ სიმაღლეზე) სამი სარტყელივით შემოკრული მორითაა გამაგრებული, რომლებზედაც თავის მხრივ პორიზონტალურად რამდენიმე ძელია დამაგრებული. ამ სიბრტყეზე სიმძიმისათვის აწყობენ რიყის ქვებს. ბოჯიტი  $\frac{1}{3}$ -ით წყალში იყო ჩატვირთული. ამ კონსტრუქციებს ღვამდნენ ყოველ 2-3 მეტრში მდინარის სანაპიროს გასწვრივ იქ, სადაც ქალის ყანებს წყლის ადიდების დროს წალეკვა ემუქრებოდა. ბოჯიტი წყლის დინებას ელობებოდა, სცემდა მის სიჩქარეს და ნაკადს უცვლიდა მიმართულებას. მდინარე მის მიერვე მოტანილი მასალით (ხის ტოტები, მორები, ქვა-ლორღი და სხვ.) ჩახერგავდა ამ ადგილებს და ბოჯიტის განლაგების ზოლზე თვითონვე შექმნიდა დაუძლეველ ზღუდეს. ამრიგად, ამ ნაგებობათა შეშვეობით ხალხი მოხერხებულად იყენებდა მდინარის თვისებას წყლის უარყოფითი მოქმედების წინააღმდეგ.

ქვემო სვანეთში მდინარისა და საერთოდ, წყლის ნაპირების, გზების, ხეების, სახნავ-სათესის გამაგრება ადრე წარმატებით ხდებოდა ქვა-

ფიჩხი. ქართული ტრადიცია ქვა-ფიჩხის რამდენიმე სახეს იცნობს. ამ ტიპის ნაშენობათა გამოყენება საქართველოში იმ ადგილებზე ხდებოდა, რომლებსაც მდინარის, ხევის წყლების თუ ნამქერის მოვარდნა ემუქრებოდა, ეს უმეტესად მთის ზოლს შეეხებოდა. საფიჩხედ ხმარობდნენ ხის იმ ჯიშის ტოტებს, რომლებიც ელასტიურობით, დრეკადობით და წყალში გამძლეობით გამოირჩეოდა. ასეთი თვისებისა იყო: ტირიფი, ვერხვი, თხილი, რცხილა და სხვ.

ფიჩხი იკვრებოდა გარკვეული სიდიდის კონებად. შეჰდევ აშისა, ქვა-ფიჩხის საგებ ადგილზე ორ რიგად ასობდნენ ხიმინჯებს, რომლებიც სიგრძე-სიგანეზე გარდიგარდმო სარებით იყო გაშავებული და ცალკეულ უჯრედებს ქმნიდა. ამნაირად მოწყობილ ჩონჩხს ქვა-ფიჩხით ავსებდნენ. საძირკველს ქმნიდა ქვის ფენა, მას მოყვებოდა ფიჩხის კონების 1-2 წყება (ბალაშები), ამას ისევ ქვების შრე და ა. შ. სასურველ სიმაღლემდე. ფიჩხის კონები ბოლო ნაწილით გარეთ ეწყობოდა. ფიჩხის ბალიშებზე კარგად ლაგდებოდა რიყის ქვა და მთელი კონსტრუქციაც საიმედოდ იკვრებოდა. ქვაყრილში შრეები და ცარიელი ადგილები წყლის მოტანილი სილა-ქვივით ამოივსებოდა, გაიქვდებოდა და ნაშენიც უფრო მყარი ხდებოდა. ხშირად, გარდიგარდმო მორების მაგივრად, გამოყენებული იყო ფიჩხის წნელისაგან მოწნული ბაგირი, რომელიც ყოველ ნახევარ მეტრში იკვრებოდა დაგრეხილი ღვლეკით. ამ ბაგირებს აშავებდნენ ხიმინჯებზე სიგრძე-სიგანით და ქმნიდნენ ბადისებურ ქსელს. მის უჯრედებში ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით აწყობდნენ ფიჩხ-კონების რამდენიმე ფენას, რის შემდეგ მას რიყის ქვებით მთელ სიმაღლეზე ტვირთავდნენ. გარეთა მხარეს ხიმინჯის მწკრივი ამოწნული იყო ჩელტით, რომ ქვაყრილი არ მორღვეულიყო. ამ შემთხვევაში ფიჩხისა და ქვის ფენათა მონაცვლება არ ხდება, რაც გარკვეულ თავისებურებას უქმნის ამ კონსტრუქციას.

ამჟამად ქვა-ფიჩხები იშვიათობას წარმოადგენს. ეს ხალხური ნაშენობანი დიდი ხანია რკინა-ბეტონმა შეცვალა, მაგრამ 30-იან წლებში ქვა-ფიჩხის კონსტრუქციების გამოყენებას სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ ფართო ასპარეზი ჰქონდა.

ქვა-ფიჩხის ტიპის ხალხურ ნაგებობათა სხვა ეთნოგრაფიული აღწერილობანი ჩვენ არ გვეგულება. მან წმინდა საინჟინრო და პრაქტიკული გამოყენების მიზნით ოციანი წლების ტექნიკურ ლიტერატურაში ჰპოვა ასახვა.<sup>17</sup> არსებული მონაცემების მიხედვით, ქართული ქვა-ფიჩხები საი-

17 ს. გოქსაძე, კავკასიური ტიპის ფიჩხ-ქვის ნაშენები, თბ., 1927; ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ფარდობებისა და წყლის ნაპირების შესამაგრებელი და ქველ-მიმპართველი ნაშენები, თბ., 1930.



ნეინრო თვალსაზრისით სრულყოფილი და მთის პირობებში მეტად პრაქტიკული მნიშვნელობის მიწის შესამაგრებელ ჰიდროტექნიკურ საშუალებებს წარმოადგენს. მსგავსი საშუალებანი არსებობდა სხვა ქვეყნებშიც (ევროპაში, რუსეთში და სხვ.), მაგრამ ქართული ქვა-ფიჩხი გარკვეულ თავისებურებათა გამო ცალკე (კავკასიურ) ტიპად არის გამოყოფილი. „პოლანდიის ტიპის ფიჩხ-კონის ნაშენები, რომელნიც რუსეთშია მიღებული, — აღნიშნავს ს. გოქსაძე, — ჩვენი მდინარეებისათვის გამოუსადეგარი არიან მათი სისუსტის გამო. მათ მაგიერ ჩვენში შემოღებულია სრულებით თავისებური ტიპი, რომელიც გაცალბებით უფრო მეტს წინააღმდეგობას უწევს მალმსარბოლ მდინარეებს, ვინემ სხვა რომელიმე ტიპი ფიჩხ-კონის ნაშენისა“.<sup>18</sup>

ქართული ქვა-ფიჩხის ნაშენობის ხალხურობაზე პირდაპირი მითითება აღნიშნულ ლიტერატურაში არააღ გვხვდება, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ მას სწორედ ხალხის პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება უდევს საფუძვლად. ამაზე მეტყველებს მისი ცალკე (კავკასიური) ტიპად გამოყოფის ფაქტიც. ადგილობრივი პირობების, მთის მდინარეთა თავისებების, გამოსაყენებელი საშენი მასალის და სხვა გარემოებათა კარგი ცოდნის შედეგად ნხოლოდ ადგილზე შეიძლებოდა შემუშავებულიყო ფერდობებისა და წყლის ნაპირების შესამაგრებელი ისეთი ეფექტური კონსტრუქციები, როგორიც ქართული ქვა-ფიჩხებია.

ქვა-ფიჩხის ნაშენი ჩვენს პირობებში 3-დან 5 წლამდე ძლებდა. საერთოდ, ამ ტიპის ნაშენის გამძლეობა განისაზღვრებოდა არამარტო გამოსაყენებელი მასალის თავისებებით, არამედ აშენების ხარისხითა და მდინარის რეჟიმით. ეს კონსტრუქციები სათანადო ადგილებზე შეიძლება დღესაც წარმატებით იქნას გამოყენებული. მათი პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნაშენების აგება არ მოითხოვს დიდ ხარჯებსა და დროს. საშენი მასალის, მშენებელი ოსტატებისა და მუშახელის ადგილზე არსებობა გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მათ. განსაკუთრებით დიდი შეიძლება გახდეს მათი მნიშვნელობა მთა-ტყის ზონაში, ძნელადმისასვლელ ადგილებზე, მითუმეტეს, თუ ადგილის შეპარება დაყოვნებას არ ითმენს.

ამრიგად: დასავლეთ საქართველოში, როგორც უხვანაღეჭიან მხარეში, ისტორიულად ფართო ასპარეზი ჰპოვა ნიადაგის დაჩეცხვისაგან დაცვის სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებამ მიწათმოქმედებაში. ზოგიერთი მათგანის აღმოცენება თოხის კულტურას უკავშირდება და ახოობაში იქნა შემონახული.

ყველაზე უმარტივესი სახის ნიადაგსაცავ ნაშენობად (ტერასად) შე-

<sup>18</sup> ს. გოქსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

ძლება ჩაითვალოს მიწის ხელოვნური ზვინულები (გერონი, ღვაჭული) და ხის უბრალო კონსტრუქციები (კაღონი, ბეკი, ბოგი, ხირაგა და სხვ.).

დასავლეთ საქართველო გამოირჩევა ნიადაგის დამცავი ნაშენობათა მრავალფეროვნებით. ტერასული ნაშენობანი ერთმანეთისაგან განსხვავდება კონსტრუქციით, შესამაგრებელი მასალის ხასიათით, მასშტაბურობით და სხვ.

მიწის დაცვის შედარებით განვითარებული და ფართოდ გავრცელებული საშუალება იყო ქვის ნაშენის მოწყობა და ცოცხალი ნარგავების გაშენება. ცალკე ადგილი უკავია პიდროტექნიკურ საშუალებებს, რომელსაც ქართულ-კავკასიური ტიპის ქვა-ფიჩხი განეკუთვნება.

## II. მიწათმოქმედების დარგთა ორგანიზაცია და კულტურათა გაუმჯობესების წესი

ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობამ და ზონალურმა ფაქტორმა დასავლეთ საქართველოში ხელი შეუწყო მიწის გამოყენების მრავალხერხის ჩამოყალიბებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობდა მკიდრო ურთიერთობანი, ურთიერთ განპირობებულობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას შორის. მიწათმოქმედების ამა თუ იმ დარგისათვის მიწის გამოყენება არასდროს არ ხდებოდა მესაქონლეობის ინტერესებიდან იზოლირებულად.

მეურნეობის ორგანიზაციის ტრადიციულ წესებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ძირითად სამოღვაწეო ობიექტის გარდა, საოჯახო მეურნეობას ახლდა დაქმნარე სამეურნეო ბაზა, რომლის ეკონომიური მნიშვნელობა სწორედ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ინტერესებთან განსაზღვრებოდა, თუმცა მათი კუთრი წონა მოცემულ ობიექტზე ხშირად სხვადასხვა იყო.

გურჯინის მთიან ნაწილში (სურების ხეობა) მიწათმოქმედებაში გამოსაყენებელი სახმარი მიწების კომპლექსს ქმნიდა ე. წ. ეზო<sup>19</sup> ანუ მამული, რომელიც საცხოვრებელ სახლთან მდებარეობდა და საოჯახო

<sup>19</sup> გურიაში ეზო მოიცავს სამეურნეო და დეკორატიული მნიშვნელობის ფართობს სახლის წინ, მაგრამ სახლთან მდებარე მიწის ნაკვეთსაც, სადაც ბალი, ბოსტანი და ვენახი იყო მოშენებული ეზო ეწოდებოდა. აჭარაში, მესხეთსა და რაჭაში ამის შესატყვისია ნაფუძარი. იმერეთში ეზო ეწოდებოდა შემოღობილ სამოსახლო ადგილს, მაგრამ იქაც ეზო კარმიდამოს აღმნიშვნელი იყო. (კ. კახიანი, გლეხის კარმიდამო იმერეთში. თბ., 1964, გვ. 59, 80), ხევსურეთში ეზო იმ ადგილს აღნიშნავდა, რომელიც მოქცეული იყო სახლის სენეს, კარაპანს, საცხენესა და სამკრახეს შორის (გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე. ანალები, 1, თბ., 1947, გვ. 148-149).

მეურნეობის ძირითად ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა. ამის ანალოგიურია იმერული გარემო, რომელიც აერთიანებდა ეზო-კარსა და სამოსახლო ადგილს.<sup>20</sup> გარემოში მოქცეული იყო ბოსტანი, ვენახი, ხეხილი.

მიწის მეორე ჯგუფს შეადგენდა სოფლის ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული ან უშუალოდ მასთან ახლოს მდებარე საყანე თუ სხვა დანიშნულების ნაკვეთი, რომელსაც გურიაში დობირო, ხოლო იმერეთში შინაყანა ან შინამამული ეწოდება. ასეთი მიწები, რა თქმა უნდა, ყველა ოჯახს არ გააჩნდა, ბევრ შემთხვევაში მათი არსებობა ღარიბი გლეხებისათვის გამორიცხული იყო, მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა. დობიროს არანაკლები ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ოჯახის გაყოფის შემთხვევაში დასახლების რეალურ საფუძველს წარმოადგენდა.

სახმარი მიწის მესამე რიგს განეკუთვნებოდა სოფელს დაშორებული, ტყის ზონაში მოქცეული სახნავ-სათესები, რომელსაც გურიაში შორელაყანებს ან უბრალოდ საყანებს ეძახდნენ. საყანეები, მიწათმფლობელობისა თუ მიწათსარგებლობის სხვადასხვა ფორმის საფუძველზე, ყველა ოჯახს გააჩნდა. გურიის მთიანეთში ასეთი ყანები მარცვლეულს, ძირითადად კი სიმინდის მოსაყვან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად ითვლებოდა.

როგორც ითქვა, ეზო წარმოადგენდა საოჯახო მეურნეობის ძირითად ეკონომიურ საფუძველს. იგი მესრით შემოიღობებოდა და ეთმობოდა როგორც მარცვლეულ კულტურებს, ასევე ბალ-ვენახებს. აქ ითვისებოდა სიმინდი, ღომი (ძველად), ლობიო, კვახი, ამასთანავე ეზოყანაში ღია, მზიანი ადგილი გამოყოფილი იყო საბოსტნედ, რომელსაც, თავის მხრივ, ღობით იცავდნენ შინური ფრინველისა და პირუტყვისაგან. ბოსტანში მოჰყავდათ პრაპა, მაკიდო, ქინძი, კეჟერა ფხალი, წითელი ფხალი (ქაჩხალი), სტაფილო, ხახვი, ნიორი, ზაფრანი და სხვ. ამასთან ეზოყანა უშთავრესად ბალ-ვენახს (მალარს) ეკავა. ვენახის გარდა, აქ იყო მსხალა, ვაშლი, ქლიავი, თუთა, ბალი, კაკალი, თხილი და სხვა. ამდენად იგი სამართლიანად მამულის სახელსაც ატარებდა. ჩვენს მიერ შეკრებილი საოჯახო სტატისტიკური მონაცემებით ეზოყანა მარცვლეულის (სიმინდის) მოსავალის საშუალოდ  $\frac{1}{4}$  იძლეოდა. ეზოყანა ძირითადად ისეთ კულტურას ეკავა, რომელიც ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

<sup>20</sup> ეზო და გარემო თავისი მნიშვნელობით ფაქტურად იგივეა, რაც კარმიდა-ბო. იხ. Е. П а к а ш и д з е. Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии. ССВВК, IV. Тифл., 1884, стр. 17.

დობირო ყანა, სახნავ-სათესი და სავენახეც იყო, მაგრამ ვისაც სა-  
ყანეები ცოტა ჰქონდა, დობიროში ნახევარს მამულად აშენებდა, ნა-  
ხევარში ყანას თესდა. გარეყანები იძლეოდა გარანტირებულ მოსავალს.  
დობირო, როგორც მამული, ვერ უტოლდებოდა ეზოს, თუმცა მას არა-  
ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით,  
რადგან ოჯახის განაყოფი იქ უნდა დასახლებულიყო. მიწის ამ ნაკვეთზე  
ბაღ-ვენახის ნაწილობრივად მოშენებაც იმ მოტივით ხდებოდა, რომ ახალ  
მოსახლეს დასახლების დღიდანვე გარკვეული ეკონომიური საფუძველი  
ჰქონოდა.

ახალი ოჯახის გაჩენის შემდეგ ასეთი მიწა ჰკარგავდა ძველ სახელს  
და უკვე ეზოყანად იწოდებოდა, რადგან იქ უკვე სახლი იდგა, თუმცა  
ჩვენივე მასალებიდან ირკვევა, რომ საყანე მიწების აღმნიშვნელი ეს ზო-  
გადი სახელი ზოგჯერ მიწის ამ ნაკვეთის ტოპონიმდაც ქცეულა და ასე  
შერჩენია ახალ დასახლებულ პუნქტს. ეს ფაქტი სურების ვანში დადას-  
ტურდა, სადაც ამ გზით გაჩენილი ახალი დასახლება დობიროს სახე-  
ლით სოფლის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს, აჭარული მასალა ამის არა-  
ერთ თანხვედრილ მაგალითს გვაძლევს, რაც იმის მაუწყებელია, რომ  
აღნიშნული მოვლენა საერთოდ დამახასიათებელი იყო აჭარა-გურიისა-  
თვის და საერთოდ დასავლურ-ქართული სამეურნეო ყოფისათვის.

მეურნეობის ფორმის, ასევე მიწათმოქმედების სისტემის თვალსაზ-  
რისით, ზემოთ განხილულ სამეურნეო ერთეულებიდან განსხვავდება მო-  
რელა ყანები, სახნავ-სათესი მიწის ეს ჯგუფი, როგორც აღვნიშნეთ, სო-  
ფლის გარეთ. მთის ფერდობებზე, ტყის ზოლში იყო მოქცეული, ამდენად  
აქ მეურნეობრივი საქმიანობაც თავისებურებით ხასიათდებოდა. მთაგო-  
რიანობა და სათესი მიწების სიმცირე მოსახლეობას უკარნახებდა მთა-  
ტყის მიწათმოქმედება ეწარმოებინა და ამ ნიადაგზე შეეცაო არსებული  
დანაკლისი, მიწათმოქმედების სტრუქტურა შორელა ყანებში ნარტივია,  
ძირითადად მოჰყავდათ სიმინდი, ზოგჯერ ღომი, მასთან თვით მეურნეო-  
ბაც ექსტენსიურია.

გარეყანები, გლეხურ მეურნეობაში მცირე გამოწავლის გარდა,  
თითქოს ყოველთვის თან ახლდა სასარგებლო მიწების ზემოთ განხილულ  
კატეგორიებს, რაც, თავის მხრივ, ამ ჯგუფის განსაკუთრებულ როლზე  
და მნიშვნელობაზე მეტყველებს. გარეყანები მცირემიწიანობის შემთ-  
ხვევაში ახალი დასახლების ერთგვარ რეზერვად ითვლებოდა. ისინი მცირე  
ნაკვეთისაგან შედგებოდა, რომლებიც სხვადასხვა მანძილით იყო და-  
შორებული საცხოვრებელ სახლს (3-5-15 კმ.), ეს გარემოება კარნახობ-  
და მოსავლის დროებით დაბინავებას ადგილზე, რისთვისაც აგებდნენ  
წნელით მოქსოვილ სასიმინდეს, „ნალიას“. საჭიროების შემთხვევაში

კირანხელი ნაწილ-ნაწილად სახლში გადმოქონდათ და ეზოში გაპართულ სასაინინდეში ათავსებდნენ.

ამ რიგის ყანებში მიწის დამუშავება თოხით ხდებოდა, რადგან ადგილები დიდი დაქანებით გამოირჩეოდნენ. ნიადაგი, მაღალი სტრუქტურულობის გამო, გამდიდრებას არ მოითხოვდა, მაგრამ იგი იძლეოდა არამარტო ოჯახისათვის საჭირო მარცვლეულს, არამედ პირუტყვისათვის დაშატებით სეკვებს. აქ მიღებული იყო თესლბრუნვისა და დასვენების წესი; სივინდს ზოგჯერ ღოძი ცვლიდა. ნიადაგის ნაყოფიერების დაკემის შემთხვევაში, რაც ექსპლუატაციიდან 3-4 წლს შემდეგ იჩენდა თავს, მას დიდი ხნით ასვენებდნენ.

აპრიგალ, ჩვენ განვიხილეთ სახნავ-სათესი მიწების მთელი კომპლექსი და მათი ზონალურ და სამეურნეო ჯგუფებად დაყოფის ხალხური პრინციპი. მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ მიწის საერთო ფონდის პირველ ჯგუფში, ე. წ. ეზოყანებში მიწათმოქმედების სტრუქტურა სირთულით გამოირჩეოდა. როგორც ეკონომიური მნიშვნელობით, ასევე მიწათმოქმედების სტრუქტურის თვალსაზრისით (მარცვლეული კულტურები — სივინდი, ღოძი, ლობიო, ვენახი, ხეხილი და სხვ.) ეზოყანათან ახლომდგომია მიწა-წყლის მეორე ჯგუფი (დობიროყანები), რომელიც შეაღედური საფეხურია ეზოყანასა და გარეყანას შორის. მიწის ეს ჯგუფიც თავის დროზე ტყის ხარჯზეა შექმნილი.

მეურნეობის ორგანიზაციის მსგავსი გარემოებანი დასტურდება აქარის სოფლის ძველ ყოფაშიც. მიწათდაქაჩაქულობისა და სახმარი მიწების ზონალური განლაგების თვალსაზრისით აქარა, როგორც მთავორიანი მხარე, არ წარმოადგენდა გამონაკლისს. ნ ა ფ უ ძ ა რ ი | მ ა მ უ ლ ი, ე რ დ ო ყ ა ნ ა თ უ გ ა რ ე ყ ა ნ ა თავიანთი მდებარეობის გარდა, ერთმანეთისაგან მიწათმოქმედების სისტემით, გამოყენების ხანგრძლივობით და ეკონომიური მნიშვნელობით განსხვავდებოდა. ნაფუძრის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენდა ის, რომ მას მეურნეობაში ინტენსიური გამოყენება ჰქონდა.<sup>21</sup>

ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქარის სამეურნეო-ეკონომიური ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრადიციულ მხარეს წარმოადგენდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სივინოზური ფორმა. ამ ორი დარგის ურთიერთგანპირობებულებამ გავლენა მოახდინა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა დაგეგმარებასა და საცხოვრებლის ტიპის ჩამოყალიბებაზე. აქარული სახლი ორსართულიანი იყო, ამასთან,

21 ნ. ჩიჭავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აქარაში, თბ., 1971, გვ. 9-10.

ადამიანის საცხოვრებელი და საქონლის სადგომი<sup>22</sup> ერთ ჰერქვეშ ვერტუ-  
კალურ განზომილებითაა მოცემული. მთის პირობებში სახლის ასეთ და-  
გეგმარებას ეკონომიურ ფაქტორთან ერთად საფუძვლად უდევს ბუნებ-  
რივი პირობები.<sup>23</sup>

რამდენადაც განსხვავებული ხასიათისაა აგვართა, რომელიც  
გურჯინის მხოლოდ ბარის სოფლებისათვის იყო დამახასიათებელი. აგვარ-  
თებს წარმოადგენდა რიონის ქალებში ან მახლობელ ტყეებში შერჩეულა  
ტიალი ადგილები, სადაც ზამთრობით საქონელს აძოვებდნენ. მიუყვამებს  
იქვე ედგათ დამისათვის კარვები. აგვართაში მიწებს გაზაფხულზე ხნავ-  
დნენ, მოჰყავდათ სიმინდი, ლობიო, ზოგი ოჯახი ტყეში ფუტკარსაც აშე-  
ნებდა ხოლმე. ამგვარად, აგვართა კომპლექსური ხასიათის სამეურნეო  
ბაზა იყო.<sup>24</sup>

ამავე კატეგორიისაა სვანური ლაბავიც,<sup>25</sup> თუმცა საკუთრივ სა-  
დგომი გამოირჩევა ნაგებობის კაპიტალურობითა და სრულყოფილობით.  
ლაბავეები ახოების (პოლარ) საფუძველზე არიან წარმოშობილი. ქვე-  
მო სვანეთში სახნავეების მნიშვნელოვანი ნაწილი ტყის ზონის მიწებზე  
მოდიოდა, რომლებიც დასახლების გარეთ 5-10 კმ-ზე მდებარეობდა-  
დროთა განმავლობაში, განვითარების გარკვეულ ეტაპზე ამ რიგის სახმარ  
მიწებში რამდენადაც იკვლავობდა მეურნეობის ფორმა. იგი საქონლის გა-  
ნოსაზაზარებელ ობიექტად იქცეოდა, ჩნდებოდა ქვის ერთსართულიანი  
ან ჯარჯვალა ორსართულიანი შენობა, რომელთა კონსტრუქცია და ფარ-  
თაც ერთ ჰერქვეშ ადამიანისა და საქონლის დაზამთრების საშუალებას  
ძლევდა. სახნავ-სათესთან გვერდით ჩნდებოდა სათიბი, ბოსტანი, საფუ-  
ტკრე, რადგან ტყის სიახლოვე ფუტკრის მოშენებისათვის ხელაყრელ  
პირობებს ქმნიდა.

22 გ. ჩიტიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 155-157; ი. ადამია, ქართული ხალხური ხე-  
რობობილება, თბ., 1954, გვ. 38-46; ალ. რობაქიძე, დასახელების ფორმათა სა-  
კითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნ. კვლ. ინსტ. შრომები, I, ბათ., 1960, გვ. 30.

23 ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, მასალები საქართვე-  
ლოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XI, თბ., 1960, გვ. 100.

24 ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 97.

25 კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა პარალელური მონაცე-  
მები კავკასიის ხალხთა სამეურნეო ყოფიდან. ჩვენთვის, მაგალითად, სოფლის ყველა  
ოჯახს მიწის მცირეოდენი ნაკვეთი ტყეშიც ჰქონდა, რასაც ირზაუ ეწოდებოდა.  
ყოველი ასეთი ირზაუ მისი მფლობელის სახელს ატარებდა. ასე მაგალითად: მაგომეთ  
ირზაუ, უმარ ირზაუ, ჩერმოი ირზაუ და ა. შ. ირზაუში ჩეჩენს აშენებული ჰქონ-  
და დროებითი საცხოვრებელი— კუტანი, რომელთანაც ახლოს იდგა აგრეთვე საქონ-  
ლისა და ცხვრის სადგომი. კუტანში ძირითადად წვრილფეხა საქონელს აზამთრებდნენ,  
ზაფხულში კი იქ რამდენიმე ხნით მსხვილფეხა საქონელი ვაღმობყავდათ.

Р. В. Маркови ч. В лесах Ичкерии ЗКОИРГО. КН. XIX, Тифл., 1897,  
стр. 283-284.

ლაბავი მთელი თავისი კომპლექსით ამჟამად იშვიათობაა წარმოადგენს, შენობების დიდი ნაწილი დანგრეულია. მიუხედავად ამისა, მაინც ნოტივსა და ერთ-ერთი ობიექტის მკვლელობა, სადაც ნაგებობა შედარებით უკეთ დაცული აღმოჩნდა. ეს არის სოფელ ლექსურას ლაბავი, რომელიც ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ლენტეხიდან დაახლოებით 12 კმ-ზე მდებარეობს. იგი წარმოადგენს მდინარის ქალის ბუნებრივ ტერასას მალხაზისხოვანი ალუვიალური ნიადაგით.

სახნავ-სათესების მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიდა სოფლას შიგნით არსებული მიწები „დაბარ“ და კარშიდავო „აზვლაგაჰ“. ეს უკანასკნელი ფართობით მცირე იყო, იგი ფაქტიურად ბოსტანს წარმოადგენდა, სადაც ითესებოდა ნიორი, ხახვი, წიწაკი, კარტოფილი და სხვ. დაბარს ოჯახის ძირითადი სახნავ-სათესი მიწა იყო. მისი მნიშვნელობა კარგად ჩანს მიწის დამუშავების ინტენსიფიკაციიდან. ამ რიგის მიწების თავისებურებას შეადგენდა მათი მუდმივი ექსპლუატაცია.

სახმარი მიწების განხილულ ხალხურ კლასიფიკაციაში გამოხატულია მათი ზონალური განლაგებაც. ყველა ისინი სახნავ-სათესს შეადგენდა. გარეყანის, აგვართის, ლაბავისა და სხვა ამ სახის სახმარი მიწების ალტერლებლობა, მათი დამხმარე როლი საოჯახო მეურნეობაში განპირობებული იყო არამარტო მიწის სიმცირით სოფლის ფარგლებში, არამედ. ასევე, საქონლის საკვები მარაგის გაზრდის აუცილებლობით. საქართველოში მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას შორის მკიდრო ურთიერთობანი და სიმბიოზი უძველესი ხანიდან არსებობდა. მესაქონლეობა, საკვები პროდუქტებისა და სხვა ნედლეულის გარდა მიწათმოქმედებას აწვდიდა ნიადაგებისათვის მეტად საჭირო ორგანულ სასუქს, ხოლო ტყით და შიშით ღარიბ რაიონებში საწვავ მასალას — წივას. გარეყანების და გარემამულების კატეგორიის სამეურნეო ობიექტები, ხშირ შემთხვევაში, საქონლის დასაზამთრებელ ბაზებსაც წარმოადგენდა. ასეთ ადგილებზე მიწის ნაყოფიერების გაზრდისათვის საგანგებოდ აყენებდნენ საქონელს. საქონლის საკვების სიმცირე, თავის მხრივ, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო მარცვლეულისა და საერთოდ მიწათმოქმედების კულტურათა მოსავლიანობის დაბალი დონისა.

ქვემო სვანეთი მთავალაღი მხარეა, ამიტომაც მკაცრი ბუნებრივი პირობები და გამოსაყენებელი მიწის სიმცირე ზღუდავდა მიწათმოქმედების მასშტაბებს. იგი სავსებით გამორიცხავდა მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორცაა მევენახეობა.

ქვემო სვანეთის მეურნეობაში გამოვლინდა ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. იგი სწორედ მევენახეობას შეეხება. ირკვევა, რომ გასულ საუკუნეში ქვემო სვანეთის ზოგიერთ ოჯახებს ვენახისა და ხეხილის მამულები ლეჩხუმში ჰქონდათ. სოფელ ჩუკულიდან, მაგალითად,

გულბიანების რამდენიმე ოჯახი სოფელ ლაცურიაშში ფლობდა მიწის ნაკვეთებს. იგივე ითქმის სოფელ სასაშელ ონანების ოჯახებზეც, რომლებსაც ბალი და ვენახი სოფელ ორბელში ჰქონდათ. გულბიანების მანუელს თვალყურს ადევნებდა ახვლედიანთა ერთ-ერთი ოჯახი, სამაგიეროდ გულბიანები გაზაფხულზე ვენახს უბარავენ და საკუთარ მამულსაც უვლიდნენ. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ურთიერთდახმარებისა და შრომითი ორგანიზაციის უფრო ჩამოყალიბებულ ფორმას. ზოგი სვანი თავის მანუელს ლეჩხუმელ გლენს მიაბარებდა. იგი ვალდებული იყო დაეშუშაებინა მიწა, მოეგლო ნარგავებისათვის, აელო მოსავალი და სხვ. სამაგიეროდ ვენახის პატრონი მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლევდა მას. ეს იყო მესაპედი, მეოთხედი ან ნახევარი, შესაბამისად იმისა თუ რა მოცულობის საშუალოს აარტლებდა მიმბარებელი. პირობა მიმბარებელსა და ჩამბარებელს შორის იდებოდა ერთ-ორი მოწმის დაწვრებით.

ღვინო იქვე იწურებოდა. საღვინე ინვენტარი ძირითადად მიმბარებლისა იყო. დაწურული ღვინო სვანეთში მიჰქონდათ და საკუთარ ქურ-მარანში ინახავდნენ, სადაც მიწი დაღვინება ხდებოდა. ძველ მაჩუბიან ზოგიერთ სახლს ახლდა მარანი, რომელიც გამართული იყო მშრალ, გრილ მხარეზე. ღვინის შესანახი ქურები, რომლებიც აქა-იქ დღემდეა შემორჩენილი, ასევე ლეჩხუმიდან ამოჰქონდათ.

დასავლეთ საქართველოს მთის სოფლებში, რომლებიც ზღვის დონიდან 1.000-1.200 მეტრზე ზევით მდებარეობდა, კლიმატური პირობების გამო არ ხერხდებოდა მიწათმოქმედების ყველა დარგის განვითარება. განსაკუთრებით ეს ვაზის კულტურაზე ითქმის. მაგრამ ამ ზონის (1100-1300 მ. ზ. დონიდან) მიწათმოქმედების თავისებურებას შეადგენდა ის, რომ ზოგიერთ უბანზე სოფლის მოსახლეობა მაინც მისდევდა შევენახეობას. მაგრამ არა ადგილზე, არამედ სოფლის დასახლებიდან საგრძობლად დაბლა, მისგან დაშორებით. ასეთ პირობებში ვერტიკალური სხვაობა სოფელსა და ვენახებს შორის რამდენიმე ასეულ მეტრს შეადგენდა. ამრიგად, ძირითად სამოღვაწეო ობიექტის გარდა, როგორც იყო ეზო, გარემო, მამული და მისთანა, ზოგიერთ ოჯახს კიდევ ჰქონდა სამეურნეო ბაზა არა მესაქონლურ-მემინდვრეობითი პროფილით, არამედ მეურნეობის ინტენსიური დარგებით. ამ მხრივ თვალსაჩინო სურათს ზემო იმერეთის სოფლები იძლევა. მაგალითად, საჩხერის რაიონში ზემო უზუნთისა და ქვემო უზუნთის სოფლების მოსახლეობას (ტყეშალაძეებს, ჭუჭაშვილებს, იობაშვილებს და სხვ.) ზერები სოფელ ქომოხევსა და სოფელ ყვავილაშვილებში ჰქონდა. ზემო უზუნთიდან ქომოხევამდე 7 კილომეტრია, ხოლო მათ შორის სიმაღლის სხვაობა 400-500 მეტრს შეადგენს. ასევე საგრძობი იყო მანძილი და ვერტიკალური სხვაობა სოფლებს ზემო უზუნთასა და ყვავილაშვილებს შორის. რაც შეეხება მარცვლეულს, (აიძინდი, ლობიო)



იგი უზუნთავლებს სოფლის მიწებზე მოჰყავდათ, იქვე მოშენებული ჰქონდათ ხეხილი. თუმცა კლიმატის სიკაცობის გამო სოფელ ზემო უზუნთაში მხოლოდ ზამთრის მსხალი და ვაშლი მოდიოდა. სოფლის მთელ რიგ ოჯახებს მიწის მცირე ნაკვეთები სოფელ ქვემო უზუნთაშიც ჰქონდათ და საადრე ხილს იქ აშენებდნენ.

ცნობილია, რომ ყველა მცენარე ნიადაგის, ტენის და სითბოს მიმართ ერთნაირი მოთხოვნისა არ არის. კულტურის შეფარდება ადგილთან გულიანობდა მიკროკლიმატური და ნიადაგური პირობების შესაბამისობას მცენარეთა თვისებებთან, მათ ბიოლოგიურ მოთხოვნებებთან.

ამ გარემოებათა გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ბუნებრივ პირობათა სირთულით და მეურნეობრივი დარგების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. როგორც ცნობილია, საქართველოსა და კავკასიაში ნიადაგებს ზონალური განლაგება აქვთ. სიმაღლის მიხედვით განსხვავებულია მათი სტრუქტურა, თვისებები, ფერი და სხვ. ასევე სხვადასხვა კლიმატური პირობები. ამასთან, მიკრორაიონებშიც არსებობს ლოკალური სხვაობანი. ამით აიხსნება ის, რომ ცალკე ადგილზე სოფელშიც კი სახმარი მიწის სამეურნეო გამოყენება და მცენარეთა განლაგება ზონალურ პრინციპს ექვემდებარება.

რაც შეეხება ისეთ რეგიონებს, რომლებიც მიწათმოქმედების დარგების სიმრავლით გამოირჩეოდა, იქ ვენახი, ხეხილი, ბოსტანი, ნათესები სხვადასხვა იარუსზე იყო განლაგებული.

მრავალწლიან კულტურულ მცენარეთა სიმაღლის სხვადასხვაობა მოითხოვდა ფერდობებზე მათი გაშენების ისეთ წესს, რომლის საშუალებით ყველა მცენარისათვის მისი მოთხოვნების შესაბამისად გამოყენებული იქნებოდა მზის ენერჯია. ამიტომაც ყურადღებას ამახვილებდნენ არამარტო ნიადაგის თვისებებზე, არამედ ასევე ნაკვეთის ორიენტაციაზე ქვეყნის მხარეთა მიმართ და სივრცის რაციონალურ გამოყენებაზე.<sup>26</sup>

იმერეთის პლატოზე დასახლების ზონის მიმდევარი მიწები აითბოს. სიციქოსის გამო ხელსაყრელი არ იყო ვაზისათვის, ამიტომაც იქ ვენახს ფერდობის შუა ადგილი ეკავა. ზოლო ხეობის ძირი და ვაკე ადგილები სახნავე-სათესად გამოიყენებოდა. სახნავეებს ეკავა აგრეთვე ზედა ზონაც,

26 საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მიმდინარეობს ექსპერიმენტული მუშაობა სოფლის მეურნეობაში მზის ენერჯიის ოპტიმალური გამოყენების მხრივ. ჩატარებული ცდებით გაირკვა, რომ მზის სხივების ოპტიმალური გამოყენება ბევრად ზრდის სოფლის მეურნეობის კულტურათა მოსავლიანობას. მაგალითად, სიმინდის მოსავალი 24% იზრდება, ხორბლისა და კარტოფილის — 360%, ბოსტნეული კულტურებისა — 10-15%. გ. გ. გ. მ. მ., რა ვითომ მზის ენერჯიისა და მისი სოფლის მეურნეობაში გამოყენების შესახებ, სუბტროპიკული კულტურები, № 1, 1971, გვ. 191.

სადაც სოფელი და კარმიდამო იყო განლაგებული. სახლის შემოგარენში მოშენებული ჰქონდათ ხეხილი: მსხალი, ვაშლი, თუთა, ლეღვი, ქლიავი და სხვ. მაგალითად, სოფელ კილაძეებში ტარასი ზაქროს ძე კილაძის კარმიდამო ტრადიციული დაგეგმარების ტიპური მაგალითია. ოჯახი მისდევდა, როგორც მარცვლეულის მოყვანას, ასევე ვაზისა და ხეხილის მოშენებას, ჰყავდათ, აგრეთვე, 3-4 ძროხა თავისი ნაშატითა და ერთი უღელი მუშა საქონელი. ვაზის გავრცელებულ ჯიშად ითვლებოდა რკო, რომელიც მოშენებული ჰქონდათ არა სახლთან, როგორც ეს დაბალ სოფლებში იყო ხოლმე, არამედ დასახლებიდან 1,5-2 კმ. მოშორებით, უძირის ხევში „გორისაზე“. ოჯახის სახმარი მიწის მცირე ნაწილი პლატოზე იყო, ხოლო მეტა წილი სამხრეთის ფერდზე. გორისა ამ ფერდობის შუა იარუსს წარმოადგენდა. იგი ქარებისაგან დაცული, თბილი და მყუდრო ადგილი იყო, ამიტომაც ყველაზე მეტად ხელსაყრელი იყო ვენახისათვის. ვენახის ზემოთ მდებარე ტერიტორია მარცვლეულს ეკავა, ხოლო საკუთრივ ზედაზე, სადაც სახლ-კარა იდგა, ჰქონდათ ბოსტანი და ხეხილი. ბაღის ტრადიციულ ნარგავებს შეადგენდა: ვაშლი, მსხალი, თუთა, ლეღვი, კომში, ბალი, ქლიავი, კანჭური და სხვა. მცირემიწიანობის გამო წერილი ხეხილი ვენახის პერიფერიებზე იყო გაშენებული. საერთოდ, ყველგან ცდილობდნენ თავიდან აეცდინათ მცენარეთა ურთიერთდარღვივა. მაგალითად, როგორც ფაქტიური მონაცემებიდან ჩანს, სამხრეთის ორიენტაციის ვენახში ხალის შემორგვა დასაშვები იყო მხოლოდ ჩრდილოეთის ან დასავლეთის მიჯნის გაყოლებით. აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიჯნებზე მაღალ მზარდ ხეებს შეეძლო ვაზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეჩრდილა, ამიტომაც ვენახში ეს მიმართულებები ღია უნდა ყოფილიყო. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის მზის გადანაცვლების დღიური ციკლია და მცენარეთა სხვადასხვა ვარჯიანობის შესაბამისად სივრცის სწორი გამოყენება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მზიური ექსპოზიციის გათვალისწინება და ინტენსიური კულტურებისათვის სასურველი ორიენტაციის ნაკვეთების შერჩევა შესაძლებელი იყო იდეალურ შემთხვევაში, როცა ამის საშუალებას იძლეოდა სახმარი მიწის რაოდენობა. ხშირად მიწის სივიწროვე აიძულებდა გლენს დაერღვია ტრადიციით შემუშავებული წესი, ან კი ხელი აედო ზოგიერთი კულტურის მოშენებაზე და სხვაგან ეძებნა ხელსაყრელი მიწის ნაკვეთი.

ფერდობებზე ვაზის, ხეხილისა თუ სხვა კულტურების სწორად გაშენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ნიადაგის დარეცხვისაგან დაცვის საქმეში, მითუმეტეს თუ ფერდი ტერასების გარეშე იყო გამოყენებული.

დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში (გურია, იმერეთი, რაჭა და სხვ.) დაბლარი ვაზის რიგებს დაქანების გასწვრივ მიმართულებას

აძლევდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, ეს წესი არც ისე ძველია, თუმცა მე-19 საუკუნისათვის არ ყოფილა უცხო. ხშირ შემთხვევაში ვაზის ჩაყრის ეს ტრადიცია ინდივიდუალურ საკარმიდამო ნაკვეთებში დღესაც განაგრძობა არსებობას.

პლევიალურ ზონაში, სადაც ხშირი წვიმების გამო წყლის ზედაპირული დინებით გამოწვეულ ეროზიას აქვს ადგილი, ვაზის აპგვარი გაშენება ეწინააღმდეგება ნიადაგის დაცვის ელემენტარულ წესს და არ უნდა იყოს გამართლებული. ჩაი და ციტრუსოვანი ნარგავები აქარაში, ჯურია-სა თუ აფხაზეთში და, სხვათა შორის, ბალ-ვენახი სამხრეთ საქართველოში, არსად გვხვდება ქანობის დაყოფებით, ნარგავთა რიგები ყოველთვის ფერდის ჰორიზონტალზე იყო და არის განლაგებული.

დაბლარი ვაზის გაშენების დასავლურ-ქართული წესი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აქ თავს იჩენს კულტურისათვის მზის ენერჯის მაქსიმალურად გამოყენების დიდი ტენდენცია. საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში სხივური ენერჯია, მზის მოძრაობის სხვადასხვა მომენტში მკვეთრად იცვლება, მაგრამ მარტო მთაგორიანობა როდია მთავარი. ქვეყნის სხვადასხვა რუბზე მდებარე ფერდობებს საშუალო (ჩვენს) და მითუმეტეს მაღალ განედებში მზის სხივები ერთდამავე ინტენსივობით ვერ სწვდება და მათი რადიოაქტივობაც განსხვავებულია. ამ გარემოებათა გამო საქართველოში იოლი არ იყო მიწათმოქმედების დარგთა ორგანიზაცია და კულტურების გაშენება ზონების, ექსპოზიციის თუ იარუსების მიხედვით. მხოლოდ მიწათმოქმედების დიდი ტრადიციის შედეგად შეიძლებოდა სხვადასხვა მიმართულების ფერდობებზე, ინოვაციური ენერჯის შესაბამისად დანერგილიყო სითბოს მეტი ან ნაკლები მოშთხოვნი ესა თუ ის კულტურა.

რაჭაში ჩაწერილი მასალა გვარწმუნებს, რომ დაქანების გაწვრივ ვაზის რიგების მოშენებით მინიმუმამდეა დაყვანილი მცენარეთა ურთიერთდარღვევა. ასეთ ზვრებში მზის ენერჯიას ყველა ძირი თანატოლად იღებს. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის შაქრიანობის ამაღლებისათვის, მითუმეტეს, საღვინე ჯიშის ვაზისათვის. მეორე მხრივ, ასეთ განლაგებას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ გლეხები სოკოვანი დაავადების შემცირებისათვის. დაბლარი ვაზის რიგების გასწვრივი მოშენება, როგორც ისინი აღნიშნავენ, ხელს უწყობს ნიაგის მოძრაობას ვენახში და აბრკოლებს სოკოს ინკუბაციურ პროცესს. იქ, სადაც ვაზის ნარგავები ერთმანეთს ჩრდილავს, სადაც ვაზის რიგები ნიაგის მიმართულებას ელოდება და ჰაერის განიავება შენელებულია, ნაცრისა და სოკოს განვითარებას მეტი ხელშემწყობი პირობები ექმნება.

განაშენიანობის ხასიათი, თავის მხრივ, განაპირობებს მიწის დამუშავების მიმართულებას. მოცეპულ შემთხვევაში მიწა იბარებოდა და ითოხ-

ნებოდა ნაკვეთის ბოლოდან ზევით, შეყოლებით, ეს რამდენადმე ხელს უწყობდა მიწის ჩამორეცხვას, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიწის მუშაკი ამ მოვლენას სხვადასხვა, მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ებრძოდა. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, სახელობრ, დასავლეთ საქართველოს კლიმატური პირობების თავისებურებათა გამო მიწა არ საქაროვებდა მორწყვას, ამიტომაც ყოველთვის არ ხდებოდა ფერდის პროფილის შეცვლა, მისი ფარდაქმნა ჰორიზონტალურ ბაქნებად. აქ მეტი განვითარება მოაპოვა დარეცხვისაგან ნიადაგის დაცვის საშუალებებმა.

დასავლეთ საქართველოში მაღლარ ვახსაც ცალკე ადგილი ჰქონდა მიჩნეული. მისი განლაგება ფერდობზე არ იყო სიმეტრიული ისე, როგორც დაბლარისა, რადგან ხილისა თუ სხვა ჭიშის ხე, რომელზედაც ვახს ახვევდნენ, გაფანტულად იყო მოშენებული.

დასავლეთ საქართველოში ტრადიციული წესით გაშენებულ მამულს კომპოზიციური ხასიათი ჰქონდა. ხილის ბაღები აქარაში, გურიაში, იმერეთში, რაჭაში და სხვ. გამოირჩეოდნენ ხეხილის მრავალფეროვნებით. ამასთან, არსად არ შეიმჩნეოდა ხელოვნური დაგეგმარება, ერთდამავე ნაკვეთზე არსებობდა სხვადასხვა ჭიშისა და სხვადასხვა რაოდენობის: მსხალი, ვაშლი, კოშში, თუთა, ლეღვი, ქლიავი, ატამი, ბალი, ალუბალი და სხვ.

თუ არაფერს ვიტყვით ნიადაგურ პირობებზე, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული იყო ყველა სახის მცენარის მოთხოვნილება სითბოსადმი, სინათლისადმი და ჰაერის სივრცეც ნარგავთა ასეთ „ქაონში“ შესაბამისად გამოიყენებოდა. გორაკ-ბორცვები და მთის ფერდობები საქართველოში საერთოდ დათმობილი ჰქონდა ძვირფას კულტურებს, დაბლობი, ვაკე ადგილები, ქალის მიწები მეტწილად სახნავ-სათესებს ეკავა. ხალხი მკვეთრად მიჯნავდა ჩრდილისა და მზიანი მხარის მიწებს. ბალი, ბოსტანი, სახნავ-სათესი, ვენახი და სახლკარიც კი, თუ ეს ეკონომიურად შესაძლებელი იყო. საშხრეთისა და აღმოსავლეთის ფერდზე ეწყობოდა. ადგილის მზიური ექსპოზიცია უშუალო გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის სტრუქტურაზე და ინტენსიური კულტურების გაშენებაზე, კარმიდამოსა და საერთოდ დასახლების ჩამოყალიბებაზე. ერთი სიტყვით, აქ გაბატონებული ბალი ინტენსიური პოლიკულტურის ტიპს განეკუთვნება. რითი უნდა აიხსნას საშხარი მიწის გამოყენების ამგვარი ფორმა? ჩვენის აზრით, აქ ხაზი უნდა გაესვას არა მარტო ბუნებრივ-სამეურნეო პირობათა სიბრტულეს, მთაგორიანობას და მიწის სიმცირეს. არამედ ასევე სოციალ-ეკონომიური ხასიათის ფაქტორებსაც. ნატურალური მეურნეობის მიზანს, უდავოა, წარმოადგენდა მეტნაკლები სიდიდით სოფლის მეურნეობის ყველა დარგის არსებობა საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ამიტომაც:

წერილი საგლებო ფუძე მისდევდა როგორც მეპინდვრობას, ასევე ვენახის, ხილის მოშენებას და მესაქონლეობასაც. უფრო მეტი, ცალკე აღებულ რომელიმე დარგი თავისი მასშტაბით არ იყო დიდი, მაგრამ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. ამის მაჩვენებელია ვაზის, ხილის, მარცვლეული ჯიშების სხვადასხვაობა. საგლებო ფუძეს ჰქონდა ზაფხულისა და ზამთრის, ადრე და გვიანმოსავლიანი ხეხილი, ზამთრისა და ზაფხულას ხორბლის ჯიშები, ასევე ჰყავდა სხვადასხვა სახის პირუტყვი: მსხვილფეხა, წერილფეხა, მუშა საქონელი და ა. შ.

ამრიგად, შეგვიძლია მოკლედ დავასკვნათ: დასავლეთ საქართველოში სახლთან მდებარე მიწა-წყალს (ნაფუძარი, მამული, ეზო), როგორც საოჯახო მეურნეობის ძირითად საფუძველს, ხშირად ახლდა ტერიტორიულად და ზოგჯერ ზონალურადაც სხვა ადგილზე მდებარე სახმარი მიწის ერთი ან რამდენიმე ნაკვეთი: გარეყანა, დობირო, აგვართა, ლაბავი და სხვა დამხმარე სამეურნეო ობიექტები. მათი აღმოცენების ძირითადი ფაქტორი აგარარული სივიწროვე, კერძოდ, საქონლისათვის საზამთრო ბაზის გაჩენა და სახნავ-სათესის გადიდება იყო.

დასავლეთ საქართველოში ტრადიციულ წესზე გაშენებული მამული (ბალი, მალლარი ვენახი) კომპოზიციური ხასიათისა იყო. ბალები გამოირჩეოდა ხეხილის ჯიშთა სიმრავლით: წესად არ იყო დაგეგმარებით გაშენება, თუმცა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მზიურ ექსპოზიციას და მზის აქტივობისადმი მცენარეთა მოთხოვნების შესაბამისად ხეთა დგომაზე იარუსული განლაგების პრინციპს ექვემდებარებოდა.

## ტირასული მიწათმოქმედების თავისებურებანი აღმოსავლეთ სპარტოველოში

### I. ტირასის ტიპი და მათი აზვების ხარხზი

აჲ თუ იჲ კულტურული მცენარის მოშენებისათვის პირველსა და ძირითად ამოცანას შეადგენდა ადგილის შერჩევა და ნიადაგის სათანადოდ დამუშავება. მიწის დამუშავება ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა. თუ მაგალითად, ყამირის გატეხა, ახოს აღება და ა. შ. აუცილებელი პირობაა მარცვლეულის დასათესად ან სხვა სახის მცენარეთა მოსაშენებლად, მიწის დამუშავების შემდგომი სტადიები მცენარის მოვლა-მოყვანის პერიოდის ჩათვლით განხილული უნდა იქნას აგრეთვე, როგორც ნიადაგის დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მიწის დამუშავების ხალხური ტექნოლოგია მრავალ ისეთ ელემენტს შეიცავს, რომელიც მიმართული იყო ნიადაგის დარეცხვის საწინააღმდეგოდ და მისი ნაყოფიერების შენარჩუნებისადმი. ამის თვალსაჩინო მაგალითია მიწის საშემოდგომო ხვნა თესვის გარეშე, ანუ მზრალად ხვნა, რომელსაც ფართოდ მიმართავდნენ მესხეთში, ქართლში. მიწის მომზადების ეს წესი საგაზაფხულო პურეულის თესვისათვის იყო გაშიზნული. ყანის ნარჩენები და საჩვევლა ბალახები ხვნისას მიწაში ექცეოდა, გაზაფხულამდე ლებოდა და დამატებით ამლიდრებდა ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მიწის დამუშავების ტექნოლოგიის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ნიადაგის ტენიანობის ამაღლება. შემოდგომაზე მოხსნული მიწა კარგად ითვისებდა გაზაფხულზე თოვლის მდნარ თუ წვიმის სახით წამოსულ წყალს. იგი აადვილებდა მიწის ხელახალ დამუშავებას თესვის წინ. საშემოდგომო ხვნა სხვა მხრივაც ხელსაყრელი იყო. წინასწარ მომზადებულ ნაკვეთზე თესვა გაზაფხულზე დროულად ტარდებოდა. შედარებით ნაკლები დროისა და შრომის დახარჯვა სჭირდებოდა გლუხს, მაგრამ საშემოდგომო ხვნა თავის კომპლექსში ნიადაგის დარეცხვისაგან დაცვის მნიშვნელოვან კომპონენტებს შეიცავდა.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მიწის დამუშავების ტექნოლოგია ამ ასპექტში განხილული არ გვევლება. მივმართოთ ფაქტიურ მასალას. ჭერ ერთი, საშემოდგომო ხენა, მაგალითად, მესხეთში, როგორც წესი, მიღებული იყო ქანობის საწინააღმდეგო მიმართულებით. მიწა იხვნებოდა გოგრებაანი ჭილით, რომელშიც 3-4 უღელი ხარი იბმებოდა.<sup>1</sup> სახნავი მიწები ანუ გარეყანები სოფლის მახლობელ ფერდობებზე ჰქონდათ, რომლებიც ხვნიტ იყო დატერასებული. ამ ტერასების დაქანება იშვიათად აღემატებოდა 8-10°, მიუხედავად ამისა, თავსხმა წვიმების დროს იქ მაინც მოსალოდნელი იყო მიწის დაღვარვა, ამიტომ მიწა საგანგებო წესით იხვნებოდა, რომელსაც მიწის ჩაღარვა, დაღარვა<sup>2</sup> (ხიზაბავრა, სარო, უღე, არელი), დაშარვა (აწყური) ეწოდებოდა.<sup>3</sup> „მიწის დაღარვა, — აღნიშნავენ ადგილობრივი გლეხები, — შორი-შორ ხენაა. ერთი-ორი კვალის გამოშვებით, რომ თოვლისა და წვიმის წყალმა მიწა არ წაღეკოს, შიგ ჩადგეს, დააღბოს. პირწმინდად მოხნულს ზამთარში, მინამ თოვლი მოვა, ზოგჯერ ქარი მტვრად აიღებს. ჩვენთან ძლიერ უბერამს ზამთარში ჭავახეთიდან“.

პირიგად, ჩაღარვა ეწოდებოდა შემოდგომით მზრალად ნახნავის ანუ ჭერ გათერძილი და შემდეგ აოშილი მიწის მესამედ მოხვნას გარკვეული წესით. ისე როგორც აოშვა, ჩაღარვაც ხდებოდა არუნათი, მაგრამ ინტერვალებით. ჩაღარვას იწყებდნენ შემოდგომის მიწურულს, თოვლის მოსვლამდე, მანამდე კი დაახლოებით ივნისში ან უფრო ადრე მიწა უნდა გაუთერძათ

ჩაღარულად ხენა სპეციფიურია და განსხვავდება კიდევ ჩვეულებრივი ხენისაგან არამარტო თავისი მნიშვნელობით, არამედ ტექნოლოგიითაც. მიწის გათერძვის ან აოშვისას ყანა მთლიანად იხვნებოდა. ყოველი კვალი მიწის ასეთი დამუშავებისას ივსებოდა მომდევნო კვალის გავლების დროს მოშლილი მიწით, ჩაღარვა კი სწორედ ამის თავიდან აცილებას გულისხმობს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მიწის დამუშავებისას სახნავ-სათეს ნაკვეთზე ქანობის საწინააღმდეგო მიმართულებით ჰორიზონტალურად იქმნებოდა ღარისებური კვლები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ბელტების ზვინულით ანუ ფაფრით და მოუხნავი ზოლით.

გათერძვა და აოშვაც ქანობის განივად ხდებოდა, მაგრამ მიწა იხვნებოდა პირწმინდად კვალ-კვალზე, რის შემდეგ მეორედ ხენა, ანუ

1 გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. 5, 1930, გვ. 271.

2 პეტრე ალექსანდრეს ძე პაპაშვილი, 58 წლისა, სოფელი ხიზაბავრა.

3 დიმიტრი გაბრიელის ძე ჭინჭველაძე, 85 წლის, სოფელი აწყური, მესხეთის ეთნოგრაფიული მივლინების დღიური № 2.

აოშვა საწინააღმდეგო მიმართულებით სრულდებოდა, მაგრამ არა პერპენდიკულარულად, არამედ ყანის წაყურებით, რაც ნახნავის დიაგნოზულურად ხვნას ნიშნავს. წაყურებით ხვნისას მიწა იცხრილებოდა, უკეთ მუშავდებოდა და ნაკვეთზეც მოუხნავი ადგილი არ რჩებოდა.

მაშასადამე, მიწის დამუშავების ამ ხალხურ ტექნოლოგიაში, როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, რამდენიმე მნიშვნელოვან სამეურნეო მომენტს უნდა გავსვას ხაზი. პირველი იმას, რომ სამემოდგომო ჩალარვით ხვნა სავსებით ნათელჰყოფს მის დიდ მნიშვნელობას დარეცხვინა წინააღმდეგ, ამასთან იგი არეგულირებს ნალექების სახით წამოსული წყლის რეჟიმს დროის იმ პერიოდში, როდესაც ნალექიანობა მაქსიმალურ დონეს აღწევს. და ბოლოს, საჭირო ტენიანობით უზრუნველყოფს იგი ნიადაგს თესვისწინა პერიოდში.

ამრიგად, ყოველი კვალი. ყოველი ღარი, მიწის ბელტებით შეზვინული ყოველი ფაფარი ეწინააღმდეგებოდა და ანელებდა ძლიერი წვიმებისა და თოვლის ინტენსიური დნობის დროს წყლის ზედაპირულ დინებას. ეს იყო მარტივი და იოლი, ამასთან მიწის დაცვის საკმაოდ ეფექტური ხალხური აგროტექნიკური ხერხი. იგი არამარტო ხელს უშლიდა ეროზიის წარმოქმნას, არამედ აშალდებდა ნიადაგის წყალგამტარობას, აგროვებდა ტენის საჭირო მარაგს ნიადაგში, რაც თავის მხრივ, აშალდებდა მოსავლიანობას. მაშასადამე, მიწის მიერ წყლის ათვისება მინდობილი არ იყო ნიადაგის მხოლოდ ბუნებრივ, თავდაპირველ თვისებაზე. იგი ბევრად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ იხვნებოდა მიწა. მიწის კარგი წყალგამტარუნარიანობისათვის მესხეთში, დასავლეთ საქართველოს კუთხეებთან შედარებით, მიწა ღრმად იხვნებოდა, მაგრამ თესლის მოთავსება ნიადაგში მიწის უფრო ზედა პორიზონტში უნდა მომხდარიყო, რომ მას აღმოცენებისათვის სითბოს საჭირო რეჟიმი ჰქონოდა. უთუოდ ამ ობიექტური პირობებით და მიწათმოქმედების მაღალი კულტურით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მესხეთში ძირითადად ორი ტიპის სახვნელი იარაღი იყო გავრცელებული, ფამფალაკიანი ჯილა პირველადი ღრმა ხვნისათვის და საოშად ანუ ნახნავის ხელმოკრედ მოსახნავად შედარებით მარტივი და მსუბუქი — არვანა.

მესხეთში დამოწმდა ნიადაგის დაცვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წესი; საკითხი ეხება ფერდობებზე მიკრო-პორიზონტალური ნაკვეთების ანუ ტერასების შექმნის საკმაოდ ორიგინალურ წესს.

მიწის დამუშავების აღნიშნული აგროტექნიკური ხერხი კარგ ეფექტს იძლეოდა იმ შემთხვევებში, როდესაც ქანობის დანრილობა დიდი არ იყო (5-10°). უფრო მეტი კუთხით დაქანებლ ფერდობებზე (10-20°) იგი ვერ იძლეოდა სასურველ შედეგს წყლის დინების შენელებისათვის. მოვარდნილი ნაკადები ადვილად არღვევდნენ მიწის შეზვინულ ზოლებს, ღარებს



და აჩენდნენ ღვარულებს. ამიტომ საჭირო იყო დამატებით ღვარსაქცევი რუების მოწყობა ან სხვა ღონისძიების გამოყენება, რომელიც მიკრობული ფუნგის ხელოვნურ გარდაქმნასაც კი გულისხმობდა. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მნიშვნელოვანი დაქანების ადგილებზე მზარლად და ჩალარვითი ხვნა ვერ უზრუნველყოფდა აქვე, ნიადაგისათვის საჭირო ტენის დაგროვებას და მის შენარჩუნებას. ამიტომ საჭიროება მოითხოვდა ქანობების ხელოვნურ გარდაქმნას მიკრო-პორიზონტალურ ვაკიებად. საშუალო დაქანების ფერდობებზე, მათი სახნავ-სათესად გამოყენებისათვის, მიმართავდნენ ფერდის თანდათან გავაკებას, მაგრამ მისი დატერასება ხდებოდა არა ჩვეულებრივად, გვერდის გადმოთხრით და მიწის მოსწორებით, არამედ ხვნის გარკვეული წესით — ლარად ხ ვ ნ ი თ. ფერდი იხენებოდა ინტერვალებით, ზოლებად (ლ ა რ ე ბ ა დ), ნიადაგდამპყერი ზ ღ ვ რ ე ბ ი ს გამოტოვებით. სასარგებლო ნაკვეთის ე. ი. სახნავი ფართის სიგანე სხვადასხვა იყო, რასაც აპირობებდა ფერდის ზედაპირის სიართულე. ხშირად ერთი და იმავე ფერდობის ყველა მონაკვეთზეც კი დახრილობა ერთნაირი არ იყო. შესაბამისად ამისა სახნავ-სათესი ტერასი შეიძლებოდა ყოფილიყო შედარებით ვიწრო (4-5 მ), საშუალო (10-15 მ) და ფართოც (20-30 მ).

დასატერასებელი ნაკვეთი, როგორც აღვნიშნეთ, იხენებოდა ქანობის საწინააღმდეგო მიმართულებით, კორდიანი ზღვრის გაყოლებით. საბაქნე ნაკვეთის პირიდან მიწა, დაახლოებით შუა პორიზონტამდე, მუშავდებოდა ჩვეულებრივ სიღრმეზე, შემდეგ კი ხნულს თანდათან აღრმავებდნენ. ასე რომ, ყველაზე ღრმად იხენებოდა ბაქნის კედლის ძირთან მდებარე ზოლო, ზოლო უფრო მცირედ ბაქნის პირის გაყოლება. ღრმად ხვნისათვის კვალში მეორე კვალს გაავლებდნენ ან კიდევ გუთნისდელა მუშაობის პროცესში სახენელის ქუსლზე მაჭვასა და ხმალას შორის შედგამდა ფეხს, აწვებოდა ქუსლს და ასე შველოდა კვალის ღრმად გატანას. ტერასის სიგრძივ მატებასთან ერთად ხდებოდა მისი გაფართოებაც. ეს პროცესი გრძელდებოდა მანამ. სანამ ტერასის გაზრდის საშუალებას იძლეოდა მოცემული ადგილი.

მიწის დამუშავება, როგორც ითქვა, იწყებოდა ქვედა ნაპირიდან ზევით, გადანაცვლებით. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფერდის ვაკისად გარდაქმნისათვის. მიწის ყოველი დამუშავებისას მოძრული ბელტები ჩაღმა, ქანობის მიმართულებით წვებოდა. მიწა ბაქნის თავიდან თანდათან ბაქნის პირისაკენ ინაცვლებდა. ათეული წლების განმავლობაში ასე ხდებოდა ფერდის ბაქნებად გარდაქმნა და ვაკისის საბოლოო გაფორმება.

ბაქნის კორდიანი ზოლიც, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ეროზიის შემცირებაში, საკმაო სიგანისა იყო. მისი სიფართოე 4-5 მეტრს და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა. მისი სიდიდე, ისევე, როგორც ვაკისისა, დამოკი-

დებული იყო ფერდის დაქანების ხასიათზე. ამიტომ ამას ითვალისწინებდნენ ფერდობის დატერასებისას და ბაქნებს შორის ინტერვალა დაზღვრების სიდიდეს თვალის ზომით წყვეტდნენ.

ლარებად ხვნის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა კვალის დასასრულს ხდებოდა გუთნის ამოღება მიწიდან და ხარების მობრუნება საწინააღმდეგო მიმართულებით. მიწის მოხვნის ეს ტრადიცია მარტო მესხეთისათვის როდია დამახასიათებელი. საქართველოში მას ვხვდებით სხვა მთაგორიან კუთხეებშიც. იგი შემუშავდა სახნავ-სათუთი ადგილის დაფერდების გამო, მაგრამ, ვიმეორებთ, ლარად ხვნის ერთ-ერთი ძირითადი არსი გამოიხატება იმაში, რომ იგი ავაკებდა ფერდს. რის გამოც უჩვეულებოდა მიწის ტენიანობა, ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უჩვეულო მექანიკურების პირობებში. გარდა ამისა, მოვაკებულ ნაკვეთებზე ეროზია პრაქტიკულად უმნიშვნელოდ იჩენდა თავს.

აქვე საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სახნავ-სათუთი ნაკვეთებს ბაქნებად გაფორმებამდე. ე. ი. როდესაც მათ ზედაპირს ჯერ კიდევ ჰქონდა გარკვეული კუთხის დაქანება, შემოდგომით მიმართავდნენ ჩვენთვის უკვე ცნობილ ჩალაჩვით ხვნას, რომ დაღვარვისაგან ნიადაგის დაცვა რაზდენადმე გარანტირებული ყოფილიყო. აქვე ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. საქმე ეხება დასრულებული სახის ტერასებზე მიწის დაქუშავების ტექნოლოგიას. აქ სახეზეა ხვნის იგივე წესი, მაგრამ შებრუნებული რიგით. ასეთ შემთხვევაში ბაქნის დამუშავებას იწყებდნენ არა ტერასის პირიდან, არამედ კარდოვანი კედლის (ზღვრის) ძირიდან ე. ი. ბელტის აღმა გადაწვევით. ასეთი თანმიმდევრობით მოძრული მიწა ადგილზევე რჩებოდა, ან ხდებოდა მისი გადანაცვლება ქვევით, ტერასის პირისაკენ. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა ფასი ჰქონდა მთის პირობებში სათესად თუ ბაღ-ვენახისათვის პორიზონტალური ნაკვეთის შექმნას და მიწის საარგებლიანი ფენის დაცვას. ფერდის გარდაქმნის ანალოგიური წესი ადრე ზემო აპარაში, კერძოდ, ღორჯოშის ხეობაში იქნა დადგენილი. ამგვარ ტერასებს იქ დაარეები (შღრ. დაარეა) ეწოდება. მესხურის მსგავსია აგრეთვე ფერდობის ოროკებად დაკბურება მაჭახლის ხეობაში (ხელვაჩაურის რაიონი), მაგრამ ოროკების შენებაში სახვნელის ნაცვლად იყენებდნენ თონს, ვინაიდან ადგილობრივ პირობებში არ იყო გაწვევი ძალის მოხმარების საშუალება.<sup>4</sup> ამიტომ ოროკებიც თავისი ზომით ბევრად ნაკლებია ლარებთან და დარეებთან შედარებით. თუკაცა ფერდის ოროკებად ჩამოყალიბებასაც ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა.

ლარის ტიპის ტერასები მესხეთში ძირითადად გამოიყენებოდა სათუ-

4 ნ. ჩიკაბაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აპარაში, თბ., 1971. გვ. 31.

სი კულტურებიანათვის. ამ ტიპის ტერასის ფრონტალური, საყრდენი კედელი იყო 3-5 მეტრი სიგანის დაკორდებული მიწის ზოლი, რომელსაც მესხეთში ზღვარი ეწოდება. ლარების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მათი კედლების (ზღვრების) დახრილობა. ამ ტიპის ტერასებში არსად არ გვხვდება ისეთი ბაქნები, რომლებსაც კედელი ვერტიკალური ჰქონდეს. ეს გარემოება სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. პირველყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლარის კედელი არ იყო შემოსილი სხვა მასალით, როგორც ეს სხვა ტიპის და კონსტრუქციის ტერასებში გვხვდება ხოლმე. ამიტომ ლარის კორდოვანი კედელი მეტი სიმტკიცისათვის დახრილი უნდა ყოფილიყო. მათი თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ ვაკისებს შორის არსებული დაკორდებული ზღვრები უქმად როდი რჩებოდა. ეს ზოლები წარმოადგენდა შესანიშნავ ხელოვნურ სათიბს, ხოლო ხვნა-თესვის პერიოდში გამწვევი ძალისათვის საძოვარს.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, განხილული ეთნოგრაფიული მასალა საკმაოდ ნათლად და დამაჯერებლად წარმოგვიდგენს სახვინელი იარაღის გამოყენებით ფერდობის ბაქნებად გადაქცევის მთელ თანამიმდევრულ პროცესს. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ხალხური აგროტექნიკის ეს შესანიშნავი წესი თავისი დროისათვის საფუძვლით გამართლებული იყო პრაქტიკული თვალსაზრისით და შეესაბამებოდა ადგილობრივ ბუნებრივ-მეურნეობრივ პირობებს.

ამრიგად, განხილული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს მოკლედ დავასკვნათ შემდეგი: მესხეთში ტერასების ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ და თავისებურ ტიპს წარმოადგენდა ლარები, რომლებიც ძირითადად სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. მათი ჩამოყალიბება, ვაკისად გაფორმება ხდებოდა არა ერთბაშად, არამედ მრავალი წლის განმავლობაში ხვნის გარკვეული წესის ინტენსიური გამოყენებით, კერძოდ, ფერდის და ტერასებისათვის მიღებული იყო მიწის ორგვარი დამუშავება: ფერდის განივად ანუ ლარულად ხვნა, მიწის ჩაღმა ჩაბრუნება და ხნულის სიღრმის რეგულირება.

ლარული ხვნა ბაქანს სიგრძივად აფორმებდა, ღრმად ხვნა და მიწის ჩაღმა ჩაბრუნება კი მას განივად აყალიბებდა. ლარული ხვნის თავისებურებას წარმოადგენდა სახმარი ფართის სიღრმე და ბაქნებს შორისი დაკორდებული კედლის არსებობა.

ამ ტიპის ტერასებით მესხეთში გამოირჩეოდა სოფლები: დიდსაშადა,

---

<sup>5</sup> შესვენების დროს, როდესაც ხარებს უღლიდან გამოხსნიდნენ, შოოს რომ არ გაერეკათ საბალახოდ, იქვე კორდზე მოაძოვებდნენ, რაც სხვათაგან ერთად, დროის დაზოგვის კარგი საშუალება იყო.

ჩოჩიანი, ქიქინეთი, უღე, მლაშე, ვახარეთი (ადიგენის რაიონი); საყუდე-ბელი, აწყვიტა, ოშორა, იღუმალა, დამალა, ნაქალაქევი, ხიზაბავრა (ასპინძის რაიონი); ქისათიბის, წყორძის, ანდრიაწმინდის, აწყურის მიდამოები (ახალციხის რაიონი).<sup>6</sup>

სოფლები: აწყურის. ქვისათიბის, წყორძის, ურავლის, ხეთის, (ახალციხის რაიონი) სანახებში კორდისკედლიანი ტერასების სიგრძე ზოგჯერ 300-400 მეტრს და სიგანით 20-25 მეტრს აღწევდა. ასევე იყო ორგორის, ხიზაბავრას, საყუდებელის (ასპინძის რაიონი), ლელოვანის, კახარეთის და სხვა სოფლების ტერიტორიაზე.

სახნავ-სათეუებებს ძირითადი წილი სოფელ ხიზაბავრას მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ლარებზე ანუ კორდის კედლიან ტერასებზე მოდიოდა. ეს სახნავეები განლაგებული იყო სოფლის შემოგარენში, მეტწილად მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. თითოეულ მათგანს ადგილის აღმნიშვნელი საკუთარი სახელწოდება ჰქონდა, ასე მაგალითად, სოფელ ხიზაბავრას ლარები იყო: სახიზრები, ბეგოლარები, იდაყვა, დედოფლეთი. ლარები, ვერხვნალი, სანაქრები, კოჩვანახეები, დგნალები, კლდეწითლები, სამადლოები, ბაშაურები, ჭალისხევი, კეხიები, ვარანტები, ოსპანური, საბურთილები, ხმელხევი, ოდისწყარო და სხვ. სახმარი მიწის ეს ჭგუფი გარეყანებად იწოდებოდა. სახლთან უშუალოდ მდებარე მიწას კი ნაფუძარი ერქვა ისე, როგორც ეს აჭარაში და ჯაქაში იყო ხოლმე. ნაფუძარი ეთმობოდა კარტოფილსა და ბოსტნეულს. ცოტაოდენი — ხეხილს.

ნაფუძარი მალალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა. იგი ძვირად ფასობდა, რადგან ახლოს მდებარეობდა, ნარწყავი და პატივცაყარი იყო.<sup>7</sup> შესხეთის სოფლებში, სადაც შეშის ნაკლებობა შეიმჩნეოდა, საწვავად წივას იყენებდნენ, მხოლოდ ნაფუძრებს ანოყიერებდნენ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მორჩებოდნენ ნაკელი. აღნიშნულს გარდა სახმარი მიწის კიდევ ერთ ნაწილს შეადგენდა ბალ-ვენახი.

ნაფუძრებსა და გარეყანებში შემოდგომაზე თესავდნენ დოლის პურს (წითელს), გაზაფხულზე კი — ღიკასა და ქერს. ან ზოგჯერ ეს კულტურები შერეული (ქერდიკა) თესვით მოჰყავდათ, სიმინდი შედარებით ნაკლებად იყო ფეხპოკიდებული და ისიც თუ ითესებოდა, მხოლოდ წითელი ფერის წვიტა. ზემოთ აღნიშნული ყანების ნაწილი (ბაშურები, ქა-

6 ცნობები მოგვაწოდა საქართველოს მეხილეობის და მევენახეობის სამეცნ. კვლ. ინსტიტუტის ახალციხის საცდელი პუნქტის გამგე მ. წიქვაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

7 X. A. Вермишев. Экономический быт. гос. крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах. Тифл., Губ. МИЭБГКЗК, III, Тифლ., 1886, стр. 54, 153.

ლიხევა, ოსპანური, კეხოები, ვერანტები, ხმელხეხები) ირწყვებოდა თეთრობა-ჰობარეთის ტყიდან გადმოყვანილი წყლით. ამ სარწყავი სისტემის მოწყობა არაეის ახსოვს, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ გადმოცემით მისი ისტორია 10 საუკუნეს მოითვლის.

ფერდობის სამეურნეოდ ათვისების კიდევ ერთ გავრცელებულ ხერხს წარმოადგენდა ქვასკედიანი ბაქნების მოწყობა, რომელსაც მესხეთში დარჩის, დარჩის და სექვებს ეძახდნენ.

დარეკების აგებამდე საგულდაგულოდ შეარჩევდნენ ადგილს და განსაზღვრავდნენ სარწყავი წყლის მოყვანის შესაძლებლობას. ამასთან, ფერდი ქვიან-ლოდოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან ბაქნების შემაგრებისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო ქვის ყორის ამოშენება ფერდობის პორიზატალების გასწვრივ მიწის პირველადი დამუშავებისას და შემდეგაც; ნიადაგადან ამოღებულ ქვებს იქვე იყენებდნენ ისე, რომ ნაკვეთის გარეთ თითქმის არც კი მიჰქონდათ.

უპირველეს ყოვლია, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვითნაგებ ბაქნებზე მესხეთში ძირითადად აშენებდნენ ვახა და ხეხილს. მთხრობელთა გადმოცემით, მიწის ნაკლებობის შემთხვევაში ბაღს თითქმის ყველა ფერდზე აშენებდნენ, მაგრამ ვენახისათვის მხოლოდ მზიგული (ე. ი. სამხრეთის ექსპოზიცია) ვარგოდა.<sup>8</sup>

სიბობოს მხრავ აღმოსავლეთის ფერდობიც გამოირჩევა, მაგრამ იგი ვახსათვის მაინცა და მაინც ხელსაყრელად არ მიაჩნდათ, რადგან დილის საათებში მზის პირდაპირი რადიაცია აზიანებდა ვენახს.<sup>9</sup> ამ გარემოებას შემდეგნაირად გადმოსცემენ ხიზაბავრელები: „დილით დანამული ვაზი ჩუროში (ჩრდილში — ნ. ჩ.) უნდა შეშრეს, ამისათვის მზიგული ჯობია. მზიგულზე მზე ათი საათის შემდეგ მიაღდგება, ვენახიც ამ დროს მშრალია ნამისაგან. ამოსავალზე მზე დილაადრიან მიატანს და ვაზის დანამულ ფოთოლსა და ყურძენსაც წვამს.“<sup>10</sup>

როგორც ვხედავთ, ამ მონაცემებში სავსებით გარკვევითაა ხაზგასმული ქვეყნის მხარეთა მიმართ ადგილის ორიენტაციის დიდი მნიშვნელობა

---

8 დ. გ. ჯინჭელაძე, 85 წლის, სოფელი აწყური, მესხეთის ეთნოგრაფიული მივლინების დღიური № 2, 1972.

9 სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ მესხეთში წლის ყველა სეზონში მზის პირდაპირ რადიაცია ბევრად მაღალია, ვიდრე თბილისში. თუ წლიური მაჩვენებლები აბასთუმანსა და ყანობილში შესაბამისად 99, 78 და 98, 47 უდრის, თბილისში ეს მაჩვენებლები 76,2 შეადგენს. თბილისთან შედარებით ასევე უკეთეს მონაცემებს იძლევა ბარომეტრული წნევა, ჰაერის მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურა და ნალექები (ა. პ. ვაშალიძე, ე. ე. გულაშვილი, რ. ა. პეტრიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6).

10 პ. ა. პაპაშვილი, 58 წელი, სოფელი ხიზაბავრა, 1972 წ., მესხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური. შტრ. „ტყის გაყავა“.

ვაზისა და სხვა კულტურების მოშენებისათვის. გარდა ამისა, სავენახე ადგილი დაცული უნდა ყოფილიყო ზრდილოეთის ქარებიანგან, ასეთს კი სწორედ საპხრეთის ფერდობები წარმოადგენდა.

ბაქნის შენებას ფერდობის ძირიდან იწყებდნენ ჩვეულებრივად მიწის გამოთხრით და ქვების ამოყრით, რასაც მესხეთში „დაჩეჯის გამოქნას“, „დაჩეჯის მოკაფვას“ ეძახდნენ. მიწის დასაქუშავებლად გამოყენებული იყო წერაქვი, რომელსაც ადგილობრივად თოხი ეწოდება, ასევე პირფართე თოხი ე. წ. ჩაფი, სატერფლიანი ბარი, ჩუინის კეტი, ქვის საგორავეები და სხვ. მიწის გადმოთხრის პროცესში ფერდის განივად იჭრებოდა კედლის საძირკველიც, სადაც ბალრშად დებდნენ დიდი ზომის ქვებს. ლოდებს. კედელი ერთპირ ქვაზე, ე. ი. ქვის ერთ რიგზე იგებოდა. ქვის რამდენიმე წყების შემდეგ მიწას კედლის სიმაღლეზე მიაყრიდნენ, რათა მიწაყრილზე ლოდების მიგორება და კედელზე შედგმა იოლი ყოფილიყო.

კედლის შენება ქვის წყობის კარგ ცოდნას მოითხოვდა. მესხეთში შესანიშნავად ფლობდნენ ამ ხელობას. ყორის აგება ხდებოდა ქვის დამუშავების გარეშე, მშრალი წყობის წესით. კედელი ერთპირი ქვით იგებოდა, მაგრამ იგი საკმაოდ მტკიცე იყო. ამას აღწევდნენ ქვების ერთმანეთზე „გადაბმით“, რაც იმას გულისხმობდა, რომ ყველა ქვედა რიგის ქვებს შრეებზე ზედა წყობის ქვები შუა წელით იდებოდა.<sup>11</sup> გარდა ამისა, კედელს ფერდისაკენ ოდნავ გადახრილად აშენებდნენ. ასეთი ნაშენი უფრო საიმედო იყო და იოლად არ მოიძრევოდა.

ოჯახში, თუმცა ყველა მამაკაცს ეხერხებოდა ყორვა, შენების საქმეს ერთი რომელიმე უკეთ დახელოვნებული პირი მიუძღოდა.

ფერდის გამოთხრა და მისი მოვაკება ხდებოდა მანამ, სანამ ამის საშუალებას იძლეოდა რელიეფი. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, რაც უფრო დიდი დაქანებისა იყო კალთა, მით უფრო მცირე გამოდიოდა ბაქნის სიგანე და უფრო მაღალი ბაქნის დამკველი კედელი. და პირიქით, რაც ნაკლები

11 მშრალი წყობით ნაშენობის ტექნიკა საქართველოში უძველესი ხანიდან იყო ცნობილი. ქვით ხურობის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა მეგალითური კულტურის ციკლოპური ნაგებობანი. ჭერ კიდევ მაშინ იყოდნენ დიდი ზომის ლოდების გადატანა და ერთმანეთზე შეწყობა. ლოდებს ძელ-ბერკეტული ხერხით მიაგორებდნენ და სიგრძეზე მწყობრად აწყობდნენ დამუშავების გარეშე. შემდეგ პერიოდში ასეთ ლოდებს ორ-წყობად აწყობდნენ, ხოლო მათ შორის სიერკეს წერილი ქვით აესებდნენ. ასეთი ნაგებობანი აღმოჩენილია წალკისა და თეთრი წყაროს რაიონებში, ქვის მშრალი წყობის ტექნიკა არ წუდება წინაფეოდალურ და შემდეგ პერიოდშიც. მაგრამ ტექნიკა ბევრად გაუმჯობესებულია ხდება ქვის წმინდად დამუშავება. ამასთან პირაპირების კვეთებში ქვები ამოჭრილია და ერთმანეთთან „პერტხლის კუდას“ ქლებითაა შეერთებული. დ. ზ. მშვენიერაძე, ტექნიკის ლექსიკური მასალები ქართულ წერილობით ძეგლებში, თბ., 1961, გვ. 21.

დახრილობა ჰქონდა გვერდს, მისი გამოთხრა და დატერალება ნეტ სიგანე-ზე შეიძლებოდა და კედელსაც დაბალა მოითხოვდა.<sup>12</sup> ასე რომ, ძესხეთში ამ ტიპის ტერაყიმიც გვხვდება მცირე (2-4 სეტრი), საშუალო (7-10 მ) და დიდი სიგანის (10-25 მ) ბაქნები. ასევე განაზვავებული იყო ვაკისების სიგრძეც. იგი რაპდენიმე ათეული მეტრიდან რადენივე ათეულ მეტრს აღწევდა ცალკეულ შემთხვევაში კი მათი სიგრძე გაცილებით მეტი იყო. ერთად, ხასოფლარებზე: ხარმანზე, გელსუხდაზე, ხერთვისში (ასპინძის ო-ნი) თითოეული ტერასი სიგრძით 2-3 ათაა მეტრზე ვრცელდება. ყოველივე ეს მეტყველება იმ ფაქტზე, რომ ტერასების შეხება და მათი პარამეტრების დასრულებული სახით ჩამოყალიბება ათეულ წლებს მოითხოვდა. იგი იყო არაერთი თაობის ხანგრძლივი, მიზანდასახული და შეუპოვარი შრომის შედეგი. ბაქანი ყოველწლიურად მატულობდა სიგრძითა და სიგანითაც მანამ, სანამ თვით რელიეფის ხასიათი არ შეზღუდვდა მას. ასე რომ, ბაქნებით დასერილი ფერდობი საბოლოოდ ერთმანეთზე მიმდევარ უხარმანხარი კიბის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ტერასის შენებისას ვაკისს უნარჩუნებდნენ ისეთ განივ და სიგრძე დაქანებას, რომელიც საჭირო იყო სარწყავი წყლის (ორმალური დინებისათვის). რელიეფის მკვეთრ დაქანებაში გადასვლის ადგილებზე ფერდის დატერალება სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი. ასეთ ადგილებზე ხელუხლებლად ტოვებდნენ გვერდს, აგებდნენ მხოლოდ კედელს, რომელსაც შემდეგ ძირში ან მოგან 2-3 ნაბიჯს მოცილებით დამატებით კედელს ამოუშენებდნენ. ამ ინტერვალის სიდიდე იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ხასიათის ქანობთან და გრუნტთან ჰქონდა მშენებელს საქმე. კედლებს შორის სივრცეს მიწით ამოავსებდნენ და მოასწორებდნენ. ამრიგად, ფერდობზე მკვეთრად განსხვავებული დაქანების ადგილები ორმაგი კედლით და ვიწრო სიგანის ტერასებით იყო შევსებული. ტერასის შენების ამ ვარიანტით აცილებული იყო მიწის ფართობის დაკარგვა და რთულ მონაკვეთზე მიწაც საიმედოდ იყო დაკული.

ტერასების შენების მესხური წესის დაწვრილებით შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხშირად როდესაც ფერდზე დიდი რაოდენობით ამოდიოდა ქვა, და, მაშინადაც, მცირე იყო ნიადაგი, მიწა მდინარის პირის კალიდან აჰქონდათ, აყრიდნენ ბაქნებს და ასე ავსებდნენ ვაკისს. დატერალების საბოლოო ეტაპი იყო მიწის გამოსვლა, რაც წვრალი ქვის გატანას და მიწის საბოლოოდ მოსწორებას გულისხმობდა.<sup>13</sup>

დასრულებული საბინო ტერასებზე გადმოთხრილი და დაგროვებული

12 II. III. Чуджавадзе. Горное земледелие (полеводство) в Аджарии. (Автореферат). Тбили., 1968, стр. 19.

13 მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 93.

ნიდაგის სიღრმე ფრონტალურ კედლის პირთან ყველა შემთხვევაში კედლის სიმაღლეს უაწორდებოდა. საყრდენი კედლის სიმაღლით ყოველთვის შეიძლება განისაზღვროს ვაკისის დასაწყისში გაკულტურებული ნიდაგის სიღრმე. იგი თანდათან იკლებს მომდევნო ზემო ტერასის მიმართულებით და კედლის ძირთან (ე. ი. ტერასის თავში) მინიმუმს აღწევს, მაგრამ ნიდაგი იქაც, მცენარის მოთხოვნების შესაბამისად, საკმაოდონეზეა დამუშავებული.

სულ უკანაყენელ (ე. ი. ყველაზე მაღლა მდებარე) ტერასს საფუძველი ეყრებოდა იმ პორიზონტალზე, რომლის სიმაღლეზე აღწევდა სარწყავი წყალი. თუ საკითხს მხოლოდ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, შეიძლება ითქვას, რომ დატერასებულ ფერდზე ყველაზე აღრინდელია ფერდობის ძირში მდებარე, ხოლო ყველაზე გვიან ნაშენი — სულ ზემოთ მდებარე ბაქნები.

საველე მუშაობამ გამოავლინა აგრეთვე ძალზე საინტერესო მონაცემები ტერასების მშენებლობაზე შრომის დახარჯვის შესახებ. ამ მასალით ირკვევა, რომ ფერდობის დატერასებისა და ქვის კედლების აშენებისათვის აუცილებელი არ იყო მომუშავეთა დიდი რაოდენობა. ცალკე არსებულ ინდივიდუალურ ოჯახს თვამამდ შეეძლო რთულ რელიეფურ პირობებშიც კი ეშენებინა ტერასები, გაეყვანა სარწყავი წყალი და უპარგებლო ფერდობი ბაღნარად გადაექცია. ამასთან, ამ საქმეში გამოყენებულ ტრადიციულ სამუშაო იარაღს წარმოადგენდა მეტყურის ტიპის თოხი „ყაზმა“, რკინის კეტი, ბარი, ვარიოზი (ურო) და რკინის სოლები. ფერდის გადმოთხრის შემდეგ ვაკისის ზედაპირზე მოქცეულ ლოდებს, რომელთა ადგილიდან დაძვრა და გატანა შეუძლებელი იყო, იქვე ამტვრევდნენ. ლოდს რამდენიმე ადგილზე 5-10 სმ-ით წერაქვით ჩააღრმავებდნენ, სოლებს ჩადებდნენ და გვერდებზე რკინის ფირფიტებს ამოუდებდნენ (ხშირად საამისოდ იყენებდნენ ხარის გაცვეთილ ნალებს), რომ უროს დარტყმის დროს სოლი არ ამოვარდნილიყო. ნებისმიერი სიღიდის ლოდის დასაპობად საკმარისი იყო ორი კაცი.

ტერასების მშენებლობის ეთნოგრაფიული შესწავლა გვარწმუნებს, რომ ფერდობის მიკროპორიზონტალურ ნაკვეთებად გარდაქმნა ხანგრძლივი და მიზანდასახული შრომის შედეგი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ ტერასების მშენებლობა დასაძლევია იყო მხოლოდ ხალხმრავალი კოლექტივისათვის. კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალა და ზოგადი ლიტერატურის მონაცემები მიუთითებს, რომ რთულ რელიეფურ პირობებში დიდი ზომის ტერასების აგება შესაძლებელი იყო ინდივიდუალური ოჯახისათვის. მსგავს სამუშაოში შრომითი გაერთიანება, ურთიერთდახმარება თემცა არ იყო გამორიცხული, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ინფორმატორების ცნობით, ნებისმიერი ტი-



პის ტერასების მშენებლობაში ყველაზე მძიმე საწესწარმო ფერდობის გამოთსრა-გამოკატევა, გამოზელვა, ე. ი. მიწის სამუშაო ითვლებოდა. რაც შეეხება კედლის ამოშენებას, იგი შედარებით ნაკლებ შრომატევად ოპერაციად მიაჩნდათ. როგორც გლეხები აღნიშნავენ, ერთ მარჯვე მოშუშავს ერთი დღის განმავლობაში შეედლო 4-5 მეტრის სიგრიძის და დაახლოებით 3-4 მეტრის სიგანის ტერასების აგება ანუ 15-20 კვადრატული მეტრი ვაკისის მოწყობა. სოფელ თოკის მცხოვრებმა იასონ ზარიძემ გვიამბო, რომ მონასტრის ფერდზე (ფარავნის ხეობა) მდებარე თორმეტი დარეგი, რომლის ფართი დაახლოებით 2500-3000 კვ. მეტრს შეადგენს, მარტოდ მან ერთი წლის განმავლობაში ააგო.

დარეგების შენებისას, ფერდის გადმოთხრა იწვევდა საკვები ნივთიერებებით ღარიბი ნიადაგური ჰორიზონტის გაშეშვლებას, რაც მეტად გადმოითხრებოდა მიწა, მით უფრო მოსალოდნელი იყო ჰუმუსის შემადგენლობის შემცირება ნიადაგში, ამიტომ ხშირად ჭერ ზედა ნიადაგურ ფენას გადმოიღებდნენ და აქა-იქ ზვინულებად დააგროვებდნენ, ფერდს გადმოთხრისა და მოსწორების შემდეგ შემონახულ მიწას ზედაპირზე მოაქცევდნენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ვაკისზე ჰუმუსიანი ნიადაგი არასაკმარისი იყო, იგი მდინარის ქალიდან აქონდათ. მიწა მოზოდვით ტერასებზე ხელოვნური ნიადაგების შექმნა საერთოდ მიღებული იყო შესხეთში. მიმართავდნენ აგრეთვე ძველ ტერასებზე მიწის განახლებასაც, როდესაც რომელიმე უბანზე დარეგის კედელი ჩაინგრეოდა და ვაკისზე ნიადაგი ჩაირეცხებოდა.

ტერასებზე ხელოვნური ნიადაგის შექმნას ფართო ხასიათი ჰქონდა ართვინის მიდამოებში, რომელიც სახმარი მიწის სიმცირით გამოირჩეოდა.<sup>14</sup> ანდების მთებში, პერუსა და ბოლივიის ინდიელებს სათესი ნაკვეთები ხელოვნურ ტერასებზე ჰქონდათ მოწყობილი. იმის გამო, რომ ქვადლორი აძნელებდა მიწის დამუშავებას, ისინი ვაკიებს აყრიდნენ მოზოდულ ნოყიერ მიწას.<sup>15</sup>

14 მოზოდული მიწით ბაქნის ამოკება ცოდნით დაღესტანში. ამაზე მიუთითებდა რევოლუციამდელი არაერთი ავტორი, მიუხედავად ამისა, არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. დაღესტნის ტერასული მიწათმოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი ალაროვი კატეგორიულად უარყოფს ამგვარ ბტკიცებას. იგი აღნიშნავს, რომ ავტორები ხედავდნენ არა ტერასის მშენებლობის პროცესს, არამედ ნიადაგის გაკულტურების მომენტს, როდესაც მნიშვნელობა ჰქონდა მიწის სტრუქტურის ამაღლებისათვის სპეციალურად გამზადებულ, განოყიერებულ ნიადაგის მოზოდვას, ტერასები კი იგებოდა მიკრორელიეფის მიზანდასახული გამოყენებითა და გულმოდგინე შრომით. М. Агларов. Техника сооружения террасовых полей и вопросы эволюции форм собственности у Аварцев (до XX в.). Ученые записки, т. XIII, серия историческая. Дагестанский институт ИЯИ, Махачкала, 1964, стр. 183.

15 Г. Кунов. Всеобщая история хозяйства. М.-Л., 1929, стр. 258.

ალბანეთშიც ტერასებზე ნიადაგური ფენა თითქმის მთლიანად მოზიდული მიწით ყოფილა შექმნილი. ეთნოგრაფი ი. ივანოვა ხატოვნად აგვიწერს ამ პროცესს: მას „მხოლოდ საკუთარი ძლიერი ხელების (ლაპარაკია ალბანელ გლეხზე), მარდი ფეხების და გავარჯიშებული კუნთების იმედი ჰქონდა, როცა ზურგზე მოიგდებდა მდინარისპირა ველზე მოგროვებული ნაყოფიერი მიწით სავსე უშველებელ დაწულ კალათსა და სამხრეებით დაიმარგებდა, აჰქონდა ეს ძვირფასი ტვირთი ზევით თავისივე გაყვანილი ბილიკით, მსუბუქი, ზამბარისებური სელით გადადიოდა მთის წყაროზე გადებულ მოლიპულ ძელზე, მიჰორთხავდა ზევით და ზევით სასურველი ბაქნისაკენ, მზით განათებულ ფერდობზე. ამ ტერასას, რომ არ ჩამონგრეულიყო, ის წინასწარ ასწორებდა და ამარგებდა ქვებით. დაყრიდა მიწას, მოასწორებდა და შემდგომი კალათა მიწისათვის ისევ ველისაკენ დაეშვებოდა“.<sup>16</sup>

დასავლეთ სიცილიაზე მთელი ფერდობები ადამიანის ხელით შექმნილ ლანდშაფტს წარმოადგენს. ტერასებზე ვაზისათვის საჭირო წითელი მიწა გლეხებს ხეობის ძირიდან აქვთ აზიდული.<sup>17</sup>

ბალ-ვენახისათვის ფერდობების ხალხური წესით ათვისების სანიმუშო მაგალითს მენახეთი გვაძლევს. მაგრამ წარსული მეურნეობის თავისებურებაზე და ამ სისტემის სრულყოფილობაზე განსაკუთრებით ნარმანის, მილახევის, ხიზაბავრას, საროს და ხერთვისის ტერასები შეტყვევებს. ისინი გამოირჩევა არამარტო გრანდიოზულობით, არამედ ქვის წყობისა და ტერასების მშენებლობის ტექნიკით. ნარმანისა და მილახევის ტერასებს, საირიგაციო და საკომუნიკაციო ქსელის დამცავი სისტემების ჩათვლით, იმდენად სრულყოფილი სახე აქვს, რომ თამამად შეიძლება ჩათვალოს დახვეწილ საინჟინრო ნაგებობებად. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ზოგადი დახასიათების მოტანა.

ნაყოფიერი ნარმანი თავისი გრანდიოზული ტერასებით მდებარეობს სოფლებს ტოლოშსა და ხერთვისის შორის, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მთა ხერუშაენის კალთაზე. ამ ფერდობზე, რომლის დაქანება დაახლოებით 22-25° შეადგენს, ბაქნები მტკვრის სანაპიროს ქალიდან ერთი-მეორეს შეყოლებით ზევითაა აზიდული და უზარმაზარ კიბის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სიგრძით ბაქნები სოფელ ტოლოშიდან აღმოსავლეთისაკენ, ნასახლარ გელსუნდას მიმართულებით, 3 კილომეტრამდე ვრცელდება. გელსუნდაც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ხერთვისის მოპირდაპირე მხარეზე

<sup>16</sup> Ю. В. Иванова. Северная Албания в XIX начале XX в. в., М., 1973, стр. 42.

17 П. Биро и Ж. Дерш. Среднаемноморье. т. I. М., 1960, стр. 272.

მდებარეობს. ამ ორ ნასოფლარს თავისი მიწაწყლით შუაზე ჰყოფს იმავე ხერხშავნის მთის ციკაბო ფერდი, რომელიც მდინარის ნაპირამდე ეშვება.

ნასოფლარ ნარმანის ტერასები 25 იარუსს შეადგენს. ტერასიდან ტერასზე ასასვლელად ალაგ-ალაგ დატანებულია ქვათა საფეხურები, ხოლო ე. წ. „გობაანთ მაალაზე“ ტერასების მთელ მასივს თავიდან ბოლომდე საურამე გზა ჰყვებოდა და ყველა იარუსს უკავშირდებოდა. ამ გზას მოჰყვებოდა საარწყავი წყლის ერთი შტო, რომელიც ტერასების თავში მთავარ რუდან იყო გადმოშვებული. ნარმანის ბაღებს ანალურის წყლით რწყავდნენ, ხოლო ტოლოშის მიდაპოებს, ალანძისა და ხევაწყლით. მთავარ რუსა და ტერასებს ნიაღვრისა და მთიდან დაგორებული ქვებისაგან ქვისავე კედლები იცავდა, რომლებიც ზემოთ ფერდზე იყო ნაშენი.

ტერასის კედლების სიმაღლე 2-დან 5 მეტრამდე აღწევს. ამრიგად, თუ კედლების სიმაღლეს საშუალოდ 3,5-4 მ. ვივარაუდებთ და მტკვრის ბუნებრივი ტერასის სიმაღლესაც გავითვალისწინებთ, მტკვრის დონიდან ზემო უკიდურეს ტერასამდე ვერტიკალური სიმაღლე დაახლოებით 80-100 მეტრი იქნება. განსხვავებულია ასევე ცალკეული ტერასის ვაკის სიგანე (3-15-25 მეტრი).<sup>18</sup>

სოფლებს: ხიზაბაღარასა და საროს ზერები მტკვრის მარჯვენა მხარეზე ხელოვნურ ტერასებზე იყო გაშენებული. აქ ერთიმეორეზე კიბისებურად მიყოლებული ტერასები 50-დან 120-მდე საფეხურს ქმნიდა. ვაკისების სიგანე საშუალოდ 4-6 მეტრს. ხოლო კედლების სიმაღლე 1,5-დან 3 მ.-მდე აღწევდა.

ბაქნებზე ვენახი 2-3 რიგზე გობებში იყო დარგული. მორწყვისას გობები პირამდე წყლით იესებოდა და დატბორებით რწყავდა ნარგავებს.

ნასოფლარი მილახევი გოგათას მთის კლდოვანი ფერდის ძირშია, სოფელ ტოლოშიდან სამხრეთ-დასავლეთით ოთხ კილომეტრზე. ადგილს, სადაც ძველი ტერასებია, ბებრივე ნახები ჰქვია.<sup>19</sup> იქ მართლაც შემორჩენილია დღემდე აწლოვანი ვახის ერთი იშვიათი ეგზემპლარი. ტერასებს შედარებით მცირე ტერიტორია უკავიათ. ისინი წინა მხრიდან ქვის ლოდებითაა ნაგები. ცენტრალურ უბანზე შემონახულია ორი გზა, რომლებიც ტერასებს თავივე კვეთს. კარგადაა დაცული აღმოსავლეთისაკენ მდებარე ნაშენობა, რომლის სიგანე 2-3 მეტრს აღწევს. ეს გზა ქვედა ტერასის პირიდან ქვის თანდათანობითი წყობით მალღდება, ზედა ტერასის კედელს უერთდებოდა და ბაქნის დონემდე აღწევდა. ამიტომ ტერა-

<sup>18</sup> ივანე ლაზარეს ძე მელიქიძე, 70 წლის, 1972, ეთნოგრაფიული მივლინების დღიური, რვეული 2.

<sup>19</sup> ე. გ. მელიქიძე, 83 წლის, 1973, ეთნოგრაფიული მივლინების დღიური.

სებზე გადასვლა ან ტვირთის გადაზიდვა ხელით ან საზიდი საშუალებით (მარხილი, ურემი) ძალზე მოსახერხებელი იყო. გზის გვერდები ქვის ჩვეულებრივი წყობითაა ამოშენებული, სიციარიელე ქვა-ლორღითაა ამოვსებული. სავალი ნაწილი მოფენილია ბრტყელი ქვებით ისე, რომ ქვაფენილი გზის კიდეებიდან შუა ნაწილისაკენ ოდნავ დაქანებულია და თავქვე მიმართულებით წყლის დასაშვებ ღარს ქმნის. უკიდურესი ტერასის ზემოთ მაგისტრალური რუ გადის, საიდანაც წყლის ერთი ნაკადი გზაზე შემოდის, აქედან კი ქვედა ბაქნებზე ხის ღარებით ან კედელზე ჩაყოლებით ეშვებოდა და მცირე სადინარებით მთელ ვაკის გაჟონვით რწყავდა. თითოეული კედლის სიმაღლე მაქსიმალურად ოთხ მეტრს აღწევს, ხოლო ბაქნების სიგანე 15 მეტრს.

ამრიგად, ქვით შეყორილი გზები, რომლებიც ტერასებს თავქვე კვლავდა, გამოყენებული იყო არამარტო ბაქნებზე გადასასვლელად, არამედ წყლის დასაშვებადაც. გოგათის მთის კალთებზე მთავარ რუს ზემოთ შემორჩენილი ქვის ზღუდეების ნაშთები, ესაა ქანობის განივად ან მცირედი კუთხით ქვისაგან ნაგები კედლები, რომლებიც მთავარ რუსა და ტერასებს მთიდან დაგორებული ქვებისა და ნიაღვრისაგან იცავდა. ამგვარი ნაგებობები, რომელსაც ბანდს უწოდებენ მესხეთში, ყველგან ახლდა ტერასებს. ამ დამცველი კედლების ზევით, მთის ფერდობზე, მოშენებული იყო საცავი ტყე, რომელიც იმავე მიზანს ემსახურებოდა და ხელს უწყობდა საერთოდ წყლის რეგულირებას ფერდობებზე. ამჟამად აქ ტყის ნაცვლად ვეჩხერი ბუჩქნარია შემორჩენილი. ამრიგად, მილახევის ტერასები მთიდან წამოსული ნიაღვრისა და ქვა-ლორღის გორვისაგან კომპლექსურ ღონისძიებათა ერთობლივი გამოყენების გზით შესანიშნავად იყო დაცული. ეს ტერასები, რომლებზედაც მეურნეობა დიდი ხანია გაუქმებულია, პრაქტიკულად დღესაც შეიძლება იქნას გამოყენებული.

თუ ყველა ამ ერთობლივი ნიშნების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, შეიძლება თამაზად ითქვას, რომ ნასოფლარების ნარმანისა და მილახევის ტერასები გვაძლევს არამარტო დამთავრებული სახის საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსს, არამედ მაღალგანვითარებული ტერასული მიწათმოქმედების თვალსაჩინო მაგალითს.

ეროზიასთან ბრძოლის საკითხში მესხეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტყეს. ადრე ტყით შემოზღუდული იყო სოფელ ხიზაბავრას სახნავ-სათესები, თვით დასახლება და ბაღ-ვენახები. საკუთარი ტყე ბევრ სხვა სოფელს ჰქონდა.

ტერასებიანი ფერდის ზემოთ და დასახლების თავში საგანგებოდ მოშენებული ტყის კორომები, ნიადაგის დაცვის გარდა, ასრულებდნენ ქარსაჟარის მოვალეობას. მაგრამ დღეს მესხეთში საცავი ტყე თითქმის ყვე-

ლგან განადგურებულია, რაც ალბათ თვით ტერასული მიწათმოქმედების დაკეპის შედეგი უნდა იყოს.

ამრგად, სახპარი მიწის დაკეის აკეთხში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კოპონენტა ტყეც წარმოადგენდა. ეს, რა თქპა უნდა, შემთხვევითი გარემოება როდია შესხეთიათვის. ამ მხრივ ტყის მნიშვნელობა საერთოდ ძალზე დიდი იყო საქართველოში. თუქცა დაკეითი ღოხიძაძების კოპკლექსში მას ცალკეულ კუთხეებში ერთი რომელიმე წამყვანი ფუნქცია ენიჭებოდა. ანე ძაგალითად, თუ მთიან აქარაში, სადაც დიდი თოვლი და გახანგრძლივებული ზამთარი იცის, საცავი ტყე, რომელიც სოფელს და ხშირად ცალკეულ ეზო-კარს ეკრა, ძირითადად გამოზნული იყო თოვლის ზევისაგან დასახლების, სახლ-კარისა და საერთოდ მიწა-წყლის დასაცავად, სადაც იგი ასევე არეგულირებდა წყლის რეჟიზს ნიადაგში და აფერხებდა მეწყერებას წარმოშობას.<sup>20</sup> დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით რიონის გაშლილ ხეობაში, ტყის კორომებს უფრო მეტად ქარსაფარის ფუნქცია ეკიარებოდა. საყანე მიწები, ბალ-ვენახი თუ ეზო-კარი გაბატონებული ქარის მხრიდან შემოზღუდული იყო ქარსაცავი ნარგავებით. ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელად მიიჩნდათ პირამიდული ვერხვის (ალვის ხე) მოშენება.<sup>21</sup>

როგორც ითქვა, მთის კალთებზე ტერასების შენება ფერდის ძირიდან იწყებოდა. მაშანდაძე, ტერასულ მიწათმოქმედებაში ყველაზე ადრე გამოიყენებოდა მიწის ის ნაკვეთი, საიდანაც მთის შეფერღება იწყება. ისტორიულად მთის ხელსაყრელი ადგილების ათვისება მიწათმოქმედებისათვის ხდებოდა თანდათან, მეურნეობის განვითარების, მოსახლეობრს ზრდასა და აგრარულ სიმკიდროვესთან დაკავშირებით. მანამდე, მიწათმოქმედების განვითარების ერთეულ ეტაპებზე ადამიანი იმავე მთის ზოლში მდინარისპირა ვაკე ადგილებს, მის ბუნებრივ ტერასებს იყენებდა, რომლებიც მდინარის მიერ მოზიდული შლამის გამო მაღალი ნაყოფიერებით გამოიჩინოდა.

ხეობების ძირში მდებარე ტერასები შექმნილია მდინარეთა აღიღებბით, მთის ღელეების მიერ ჩამოტანილი ქანებითა და ჩამორეცხილი ნიადაგით. იგი წარმოადგენს მდინარის უძველეს კალაპოტა, რომელსაც მდინარე თანდათან აღრმავებდა და ბოლოს ტოვებდა მას. დრო და დრო წყალდიდობრს შემდეგ ძველ კალაპოტზე რჩებოდა უამრავი ნალექი. ყოველი აღიღებბს შემდეგ ვაკედ ქცეული მდინარის ტერასი თანდათან მა-

20 ნ. ჩიჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

21 ხის ეს ქიში გამოირჩევა სწრაფი ზრდის უნარით, სიმაღლით (იზრღება 30-35 მეტრის სიმაღლემდე), აქვს მძლავრი ფესური სისტემა და კარისებური ვარჯი, ამასთან ერთად კარგად იტანს კარბწყლიანობას.

დღედებოდა, ფართოდებოდა და მდინარისაგან იპიჯნებოდა მორიყული კელით ან ფლატეებით. ამგვარი ნაკვეთები ხანგრძლივი ექსპლუატაციის შემდეგ ლეზულობდა ტერასის დასრულებულ, სრულყოფილ სახეს. ამ მინდვრებიდან გაქონდათ ქვა და განაპირა მხარეს აწყობდნენ. იგი ელობოდა მდინარის შემოტევას და ზღუდის როლსაც ასრულებდა. მდინარის პირის გაყოლებით საგანგებოდ ტოვებდნენ ან აშენებდნენ აგრეთვე ხეებს, ისეთ ჯიშებს, რომლებიც წყალთან სიახლოვეს კარგად იყო შეგუებული. ამ ღონისძიებათა შემდეგ მდინარისპირა ტერასებს ადვილად ველარ აღწევდა ადიდებული წყალი. მაგრამ იმ ადგილიდან, სადაც მდინარის წყლის დონე მინდვრის სიმაღლეს უსწორდებოდა, სახმარ ნაკვეთამდე ქრიდნენ რუს და შეპყავდათ წყალი, რომ დრო და დრო მინდორი მოელეკათ, განეახლებინათ ნიადაგი და მოერწყათ კიდევ.

მესხეთში მდინარის ხეობების ძირში ბევრგანაა ბუნებრივი ტერასები, რომლებიც ინტენსიურად იყო გამოყენებული მიწათმოქმედებისათვის. დადასტურდა ის გარემოებაც, რომ ამ მოვაკებათა სარწყავად მტკვრის ხეობაში ამავე მდინარის წყალს იყენებდნენ. მტკვარი წლის დიდი დროის განმავლობაში მღვრიე და მდიდარია ნიადაგისათვის სასარგებლო ნივთიერებებით. საზოგადოდ, სახმარი მიწების მოლექვით და მოსილვით გამდიდრების დიდი ტრადიცია არსებობდა საქართველოში და, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე. ეს ღონისძიება მიმართული იყო არამარტო მიწის გამდიდრებისათვის, არამედ მოლექილი შლამით მიწის ამაღლებისა და დაქაობებული ადგილების დაშრობისათვის.<sup>22</sup> ცნობილია, რომ თითქმის მუდამ მღვრიე რიონის წყალი მდიდარია აზოტით, ფოსფორით და, საერთოდ, მცენარისათვის შესათვისებელი ნივთიერებებით. ამასთან მას ბევრად მეტი მინერალური ნივთიერებანი, სილა და შლამი მოაქვს, ვიდრე მდინარე ნილოსს.<sup>23</sup>

ამრიგად, მართალია, მდინარეთა სანაპიროზე აქა-იქ გაბნეული ტერასები ბუნებრივი წარმოშობისა არის, მაგრამ მათ საბოლოოდ ფორმირებასა და ნიადაგის გაკულტურებაში დიდი წვლილი შექონდა ადამიანს თავისი მიზანდასახული შრომით. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი ტერასები მათი ფორმირების თავისებურებათა გამო ცალკე გამოკვით და ერთ-ერთ უძველეს ტიპად მივიჩნიოთ ტერასული მიწათმოქმედების განვითარებაში. როგორც ითქვა, მსგავსი ტერასები ბევრგანაა მესხეთში მდინარეების: მტკვრის, თაფარავნისა და ფოცხოვის სანაპიროებზე: ასპინძისთან, ხერთვისთან, ტოლოშთან, ახალციხისა და აწყურის მი-

22 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 103-104.

23 И. Зунтунди. Физико-географический очерк колхидской низменности и прилежащих ее заболоченных районов. 1928, стр. 39.

დამოებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი წარმოშობის ტერაპეზზე, რომლებსაც ვაკისები რანდენადმე დაქანებული ჰქონდა, შექმნილია ქვითნაგები ბაქნების რამდენიმე საფეხური, ეს განსაკუთრებით შენამჩნევია მთის ლეღების მიერ ხევის ძირებში შექმნილ ბაქნებზე. სადაც ბუნებრივი პროფილი აფერხებდა ხელოვნურ მორწყვას ნაკვეთის სრულყოფილად გაგვების გარეშე.

ამრიგად, თუ ყველა აღნიშნულ გარემობას გავითვალისწინებთ, ტერასების საერთო კლასიფიკაციაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მივუჩინოთ ბუნებრივი წარმოშობის ბაქნებს, რომლებსაც დასრულებული, ჩვეულებრივი სახე ეძლეოდა მხოლოდ ადამიანთა ჩარევისა და მიწის ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ. ერთი სიტყვით, მათი ცალკე ტიპად გამოყოფის საფუძველს გვაძლევს ტერაპეზის ფორმირების ისტორია, კონსტრუქციული თავისებურებანი, რიგი სხვა გარემობანი.

განხილული მასალები გვიჩვენებს შემდეგს: მესხეთში არსებული ტერასები მათი ფორმირების ისტორიის, კონსტრუქციულ თავისებურებათა და კედლის შესაპოხი მასალის სახეობათა მიხედვით, ასევე ტერასების ვაკისების სამეურნეო დანიშნულებათა თვალსაზრისით შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოყალიბდეს: I. მდინარისპირა ბუნებრივი ტერასები, რომლებიც მიწათმოქმედებაში ალბათ ყველაზე ადრე იყო გამოყენებული; II. კედელშემოსილი ტერასები — დარიჩები და III. შეუმოსავი ტერასები — ლარები.

სარწყავი მიწათმოქმედების საკითხები მესხეთ-ჩავახეთში კარგადაა ცნობილი ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან. ამდენად ჩვენ მას არ შევუხებით. გვიანდა მხოლოდ აღნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც წყლის გამოყენების სხვა ასპექტს უკავშირდება და ნაკლებად ცნობილ აგროტექნიკურ ხერხს წარმოადგენს

ვაზისა და ხეხილისათვის მესხეთში ადრე გაზაფხულზე ზოგჯერ იქმნებოდა არახელსაყრელი კლიმატური პირობები. წლის ამ პერიოდში ნაადრევად იცოდა ჭარბი სითბო, რის გამოც მცენარეებს ადრე ეწყებოდათ ვეგეტაცია და ყვავილობა.<sup>24</sup> გაზაფხულის სითბოს კი ხშირად სუსხიანი ამინდები სცვლიდა. იცოდა რთვილი, რომელიც აზიანებდა გაღვივებულ კვირტებს, ყვავილს. ამის თავიდან ასაცილებლად მესხეთში შემუშავებული ჰქონდათ წყლის გამოყენების საკმაოდ ორიგინალური ხერხი. ზამთრის დასაწყისში ან უფრო გვიან ზვრებსა და ბაღებში ტერასებზე მიუშ-

24 კარგია, როცა ვაზს კვირტი გაზაფხულზე გვიან ჩაუვარდება. დე გაზაფხულის სიცივე იყოს, რომ გვიან გამოიწიოს ხეხილმა — ველიჩანაშვილი იოსებ კოსტას ძე, 93 წლისა, სოფელი ხიზაბაყრა, 1973, მესხეთის ეთნოგრაფიული მივლინების დღიური № 2.

ვებდნენ წყალს და დაატბორებდნენ. წყალი იყინებოდა და ნარგავთა შორის ხელოვნურად იქმნებოდა ყინულის სქელი ფენა. გაზაფხულზე ყინულით დაფარულ ადგილებზე ნიადაგს ერთხანს უნარჩუნდებოდა დაბალი ტემპერატურა, რის გამოც მცენარეები 8-10 დღით აგვიანებდა კვირტის გამოღებას. ეს დრო ხშირად სავსებით საკმარისი იყო, რათა აეცდინათ მცენარისათვის არახელსაყრელი პერიოდი, ადრეული ვეგეტაცია. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა კიდეც რამდენიმე დღეს აუცილებელი იყო დაბალი ტემპერატურის შენარჩუნება, ყინულის გადნობის შემდეგ ტერასებს მთის ცივი წყლით რწყავდნენ და მიწა ერთხანს კიდეც ცივად ინახავდა თავს.

ზამთრობით ძლიერი ყინვების პერიოდში იცოდნენ აგრეთვე, ბალვენახის შებოლვა. ნაცვენ ფოთლებს (ჩეჩქს) ალაგ-ალაგ ტერასებზე დააგროვებდნენ და შუალამის შემდეგ, როცა ტემპერატურა საგრძნობლად დაიწვედა, დაწვევდნენ. ჩეჩქი ნელა იწვოდა და ვენახში კვამლის სქელ ფარდას აყენებდა.

მესხეთი, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი რაიონები, გამოირჩევა ცხელი ზაფხულით, მკაცრი ზამთრით და ჰაერის სიმშრალით. ატმოსფერული ნალექები შედარებით მცირეა, ხოლო მათი წლიური განაწილება არათანაბარი. ნალექების სიმცირე და ტენის უკმარობა ნიადაგში გაზაფხულის პერიოდშია საგრძნობი, ე. ი. მაშინ, როდესაც მცენარე ყველაზე მეტად საჭიროებს წყალს. ღრმა კანიონებში გამდინარე შესხეთის მდინარეების გამოყენება სარწყავად ძალზე შეზღუდული იყო. სახმარი მიწის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბალ-ვენახით დაკავებული ადგილები, მდინარეთა კალაპოტიდან ბევრად მალა მდებარეობდა. იქ მხოლოდ მთის შვევრვალბიდან და ზემო კალთებიდან მომდინარე ნაკადულების მიყვანა შეიძლებოდა. გარემო პირობების ამ თავისებურებათა გამო მდინარის წყლის სარწყავად მოხმარება მხოლოდ ჭალის მიწებზე იყო ხელმისაწვდომი.

მესხეთში მშრალი სეზონი ანუ გვალვების პერიოდი შედარებით მოკლეა, ეს საშუალებას იძლეოდა მიწათმოქმედებაში გამოყენებულ იყო მცირე მასშტაბის წყალსაცავები და წყარო-ნაკადულები. ამ მცირე წყლებს მალა ხევებსა და ღელეებში ერთ ნაკადად შეკრებდნენ ან საგუბარში აგროვებდნენ.<sup>25</sup> წყალს ხელოვნური არხების საშუალებით ტერასირებული მასივების თავზე გაატარებდნენ. ეს იყო მთავარი რუ ანუ დ ე ღ ო რ უ, რომლიდანაც წყალი ტერასულ ნაკვეთებში ჩვეულებრივად მცირე რუეს საშუალებით აღწევდა, ხოლო ტერასიდან ტერასზე ქვა-

25 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.



უენილიან სადინარს ან ქვისავე დასაფეხურებელ კიბეს ჩაყვებოდა.<sup>26</sup> აქედან წყალი კედლის ძირს გაყვებოდა და მცირე სადინარების საშუალებით ვაკისზე თანაბრად ნაწილდებოდა. მორწყვა ხდებოდა გაერთიანებულ გარე ხილის ბაღებში მიღებული იყო ცალკეული ნარგავის ძირში ე. წ. გობში წყლის შეგუბება და დატბორებით რწყვა. მორწყვის ამ ფორმას ხალხი დადებითად აფასებდა,<sup>27</sup> ხილისა და განსაკუთრებით ვენახისათვის მიზანშეწონილად მიაჩნდათ. სოფლებში ხიზაბავრასა და საროში ჩაწერილი მასალა გვაუწყებს, რომ ტერასზე შეყვანილ წყალს მრწყველი სადინარის საშუალებით ვახის ძირთან გობში მიუშვებდა. გობი წარმოადგენდა ოვალური ფორმის 25-30 სმ. სიღრმის ორმოს. როდესაც გობი პირამდე გაივებოდა, მრწყველი სადინარს გადაკეტავდა და შემდეგ ძირის სადინარს გახსნიდა. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა გობების ხელმოკრე შევსება. ამრიგად, ყოველი ძირი მცენარე ირწყვებოდა ინდივიდუალურად. მორწყვის ამ წესს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ აკეთი წვეთი წყალი უქმად არ იყარებოდა, იგი რაციონალურად იყო გამოყენებული და მცენარეც საჭირო რაოდენობით ღებულობდა მას.

წყარო-ნაკადულურ სისტემაზე დამყარებულ მორწყვას შეეძლო დამკვიდრებლობა ძალზე შეზღუდული ტერიტორია. ამიტომ მესხეთში ძველთაგანვე მიღებული იყო წყლის მოხმარებისა და განაწილების გარკვეული წესი. ბოლო დრომდე სოფლის პრაქტიკაში ხორციელდებოდა წყლის განაწილება ამჟებარს მიხედვით, მესხეთ-ჯავახეთში სოფლის მოსახლეობა დაყოფილი იყო ცალკეულ ამჟებარს, რომელიც ოჯახის სამეურნეო-ეკონომიურ დონეზე ასახავდა. ამჟებარს მონაწილეობა განისაზღვრებოდა ოჯახის კუთვნილი მიწის რაოდენობის მიხედვით. საკუთრივ ამჟების სიდიდე გველენას ახდენდა წყლის სარგებლობის ოდენობაზე.

სოფელ საროში ჩაწერილი მასალით, ერთი ამჟებარს ოცდაოთხი საათის უდრიდა, ე. ი. ერთი ამჟების მფლობელს შეეძლო ოცდაოთხი საათის განმავლობაში ესარგებლა წყლით. ამჟებარს ნაწილდებოდა არა ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობის მიხედვით, არამედ იმ ანგარიშით, თუ ცალკე აღებული კომლას რა რაოდენობის სარწყავი მიწა ჰქონდა. ეს იყო ამჟების ძირითადი პრინციპი. რაც შეეხება წყლით სარგებლობის რიგს, იგი სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი. კერძოდ, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ ოჯახებს ჰქონდათ მიწის ნაკვეთები ერთად, ერთიპირის გვერდით, საერთოდ კი მორწყვის რიგი უბნების მიხედვით ნაწილდებოდა. სოფელ საროში, მაგალითად, ტრადიციის მიხედვით პირველად წყლის რიგი ეკუთვნოდა ბერუენთ უბანს (მარაძეები). ამ უბანს ჰქონდა

26 იქვე, გვ. 94.

27 იქვე, გვ. 86.

ორი აშუა, ე. ი. ძველად 48 საათის განმავლობაში ესარგებლა წყლით. იგი 6 კომლისაგან შედგებოდა. როგორც კი მორწყვის სეზონი დადგებოდა, პირველი ამფაც მისი იყო. შემდეგი რიგი ხვდებოდა ბოლოდან ზევით მიმდევარ უბნებს. მეორე წელს წყლით სარგებლობის რიგი სოფლის თავიდან იწყებოდა. აქ პირველობა ეკუთვნოდა ქრივქალიანთ უბანს (ღიასაძეები). მათ მიყვებოდა სხვა უბნები და ა. შ. კენტ რიცხვზე დაბოლოებულ წელს პირველი რიგი ბერუენთ უბნისა იყო. ლუწრიცავიან წელს კი — ქრივქალიანთ უბნისა. ამ ორ აშუას ბერუენთ უბანში, თავს. ნაზრე, კიდევ ანაწილებდნენ საკუთარ ოჯახებში მიწის რაოდენობის მიხედვით. ამის გამოთვლა კი უბრალოდ ხდებოდა. ეთნოგრაფიული ცნობებით, მიწის საზომ ერთეულს წარმოადგენდა იგივე აშუა, ხოლო ძველი ქართული ტრადიციული წესით — კოდი.<sup>28</sup> ერთი აშუა, როგორც ვთქვი, 24 საათს უდრია. იგივე ერთი აშუა შეადგენდა 21 კოდს. თუ მაგალითად, ოჯახს 1 კოდი სარწყავი მიწა ჰქონდა, მას აშუას მესამედი ანუ 8 საათი ერგებოდა.

ანალოგიურ სურათს გვაძლევს სოფელ ხიზაბავრაში ჩაწერილი მასალა. ეს სოფელი 12 აშუისაგან შედგებოდა. ერთი აშუა აქაც 24 საათს უდრია და წყალი მიწის რაოდენობის შესაბამისად ნაწილდებოდა. ამიტომ ოჯახის გაყოფის შემთხვევაში გამოყოფილი ახალი ოჯახი თავის წილს „დედა ოჯახი“-დან ღებულობდა. მაგალითად, ქუქჩიშვილები სამი ოჯახი იყო, 16 ჰექტარი მიწა ჰქონდათ და წყლით 16 საათს სარგებლობდნენ. აქ ერთი აშუა წყალი გათანაბრებული იყო 24 ჰექტარ მიწასთან, ამიტომ ერთ ჰექტარზე ერთი საათი მოდიოდა.

ზაფხულში წყლან მარაგი საკრძნობლად ეცემოდა. მაგალითად, თუ ოჯახს წყალი მისამდე 6 საათს ერგებოდა, მისის შემდეგ ზაფხულის განმავლობაში 3 საათს სარგებლობდა, ე. ი. ერთ ჰექტარზე უკვე ნახევარი საათი მოდიოდა.<sup>29</sup>

28 მიწის საზომად ითვლებოდა ასევე „ბაწარი“, საერთოდ კი მესხეთში მიღებული იყო კოდი და სომარი. მ. გეგეშიძის მონაცემების თანახმად სომარი უდრია 16 კოდს, კოდი კი  $\frac{1}{16}$  ჰექტარს, ე. ი. 10 კოდი იყო 1 ჰექტარი, 11 კოდი უდრია 1 დესეტიანს; მ. გეგეშიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 87.

29 აშუა, როგორც მიწის საზომი ერთეული არსებობდა მესხეთის რიგ სოფლებსა და ჯავახეთში. სოფელ კოთელიაში (ჯავახეთი) ამფებად ნაწილდებოდა სათიბები, ადრე კი იგივე სათიბები ახნებად ყოფილა განაწილებული. ამფებად და ახნებად დანაწილებას შორის ის განსხვავება ყოფილა, რომ ახნა გულისხმობდა სულზე განაწილებას, ამფის შემოღების დროს კი განაწილება მუშა მამაკაცების რაოდენობის მიხედვით წყდებოდა. ამფის მსგავსი ინსტიტუტი შენიშნულია ფშავ-ხევსურეთსა და ქიზიყში. სათემო მიწები ფშავ-ხევსურეთში წაწოდდებოდა ადლუმებად, ხოლო ქიზიყში — ათეულებად. (გ. ჯალაბაძე, შემინდერობა მესხეთ-ჯავახეთში, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972, გვ. 11.).

ინტერესს მოკლებული არაა მიწის საკუთრების საკითხი, მხედველობაში გვაქვს მფლობელობის ფორმა ტერასულ ნაკვეთებზე.

როგორც ცნობილია, თურქულმა აგრარულმა სისტემამ ვერ შეძლო სანხრეთ საქართველოდან საკვებით განედევნა ძველი ქართული ფეოდალური ურთიერთობის ტრადიციული წესი მიწის მფლობელობის სვეროში.<sup>30</sup> ქართველმა ფეოდალებმა დაკარგეს გლეხებზე უფლებები, მაგრამ დიდხანს შეინარჩუნეს სხვა პრივილეგიები. მეხნეთ-ჯავახეთში და აქარაში მიწათმფლობელობა, თურქული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან ერთად, ნაწილობრივად კერძომესაკუთრული საქმეკიდრეო ფორმის მატარებელი იყო.<sup>31</sup> თურქული სისტემის მიხედვით მიწები იყოფოდა სახელმწიფო (ერაზი მირიე), საეკლესიო (სავაყუფო), კერძოქესაკუთრულ (მულქი) მფლობელობად. მაგრამ ტყეებზე, საძოვრებზე, სათიბებზე არსებობდა საზოგადოებრივი მფლობელობა (მეთრუქე). ერთერთ კატეგორიას შეადგენდა გამოუყენებელი, აუთვისებელი მიწები (მევათი).<sup>32</sup> რუსეთის მმართველობის პერიოდში მესხეთ-ჯავახეთში მიწის სამი ძირითადი კატეგორიის (სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო) შესაბამისად გლეხობაც დანაწილებული იყო სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გლეხებად.

თურქების დროს მეხნეთ-ჯავახეთში ადგილი ჰქონდა მიწების დაკავებას და დაპატრონებას. ეს ხდებოდა ძირითადად მეთრუქსა და მევათის კატეგორიის მიწებზე. მთის ფერდობებზე ქვა-ლოდოიანი და დაბალი ბუჩქნარით დაფარული ადგილები ძალზე ძნელი დასაპუშვებელი იყო და სახნავ-სათესად არ ვარგოდა. ეს მიწები ზამთრობით წვრილფეხა საქონლის საძოვრად ჰქონდათ გამოყენებული, მაგრამ ცალკეული ოჯახები დიდი შრომის ხარჯზე ითვისებდნენ ასეთ მიწებს, აგებდნენ ტერასებს, გაპყავდათ ხარწყავი წყალი და აცოცხლებდნენ მას. დაჩეხებულ მიწებზე უფლება, როგორც ვერპიშევი აღნიშნავს, საბოლოოდ თავფუს საშუალებით მტკიცდებოდა. მიწის ნაკვეთების მიწწრებით დაპატრონება რუსეთის მმართველობის პერიოდშიც გრძელდებოდა. სოფლის საზოგადოება თუ-

30 М. Бакрадзе. Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества, № 9, Гюфл., 1889, стр. 29.

31 ა. ავალიანი. მიწათმფლობელობის ფორმები აქარაში, ბათ., 1960, გვ. 59, 61, 104, 116.

32 ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმების შემდეგ მიწის მფლობელობის აქტი თავად უ, იძლეოდა მიწაზე მემკვიდრეობის, გასხვისების, გაყიდვის, გაჩუქების და სხვა უფლებებს. თავად მიწის შესყიდვის იურიდიული დოკუმენტი იყო. მისი გამოცემის უფლება, რომელიც ადრე ლენების მფლობელთა კომპეტენციაში იყო, თანხმობის რეფორმის (XIX ს. ორმოციანი წლები) შემდეგ სახელმწიფოს უფლებებში გადავიდა.

მცა უწევდა წინააღმდეგობას იმ ოჯახებს, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარ მფლობელობის საძირკვედ თუ სათიბი სახნავ-სათესად ან ააბაღედ გადაექცია და ასე დაპატრონებოდა მას, მაგრამ მესხეთში მიწის დაკავების ტრადიცია<sup>33</sup> აქა-იქ მაინც განაგრძობდა არსებობას. ვერმიშევას ცნობით, სოფელ ვალეში ადგილი ჰქონდა როგორც დაჩემებული მიწებით სარგებლობას, ასევე ნადელების პერიოდულ გადასწილებას. იმავე სოფლის საზოგადოებამ, — აღნიშნავს ვერმიშევი, „ხელი დაადო იმ გამოუყენებელ მიწა-წყალს. რომელიც ცალკე ოჯახების დაპატრონებას გადაურჩა“.<sup>34</sup>

მიწის დაჩემების პრაქტიკა საერთოდ ცნობილი იყო ქართული აგრარული ურთიერთობის ისტორიაში. მე-19 საუკუნეში საქართველოს არაერთ კუთხეში ჰქონდა მას ადგილი. მიწის დაკავება, როგორც წესი, ხდებოდა ახოს დამუშავების შედეგად. შრომის სიმძიმისა და სირთულის თვალსაზრისით ტყის კაფეასა და ახოს აღებას ეტოლება ქვა-ლოდებისაგან ადგილის გაწმენდა და სახმარად გადაქცევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხში, ქვა-ლოდების ამოყრის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი „ქვის ამოკაფვა“.

დასავლეთ საქართველოში სათემო მიწის დაკავების პირველ აქტს შეადგენდა ტყეში შერჩეული ნაკვეთის ფარგლებში ხეების დათარჯვა, დაჭრა, გამოკოდვა, რაშიც იგულისხმებოდა ხეებზე ოჯახის საკუთარი ნიშნის გამოხატვა. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო ჭვარი, სამკუთხედი, პარალელური ხაზები, წრე, ასევე ცულის, ხელის მტევნის გამოსახულება და სხვ. ეს იქნა ნიშნავდა, რომ ნიშნის დამსმელი თავის უფლებას ავრცელებდა ნაკვეთზე.<sup>35</sup> პირველ წლებში ადგილის დაკავებას მხოლოდ სარგებლობის ძალა ჰქონდა, მაგრამ სისტემატური სარგებლობა დროთა განმავლობაში საკუთრებაში გადადიოდა. მიწის დასაკუთრებაში ძირითადი იყო შრომის დახარჯვა და სარგებლობის ხანდაზმულობა.

ი. ჭავჭავაძე თვალს ადევნებდა ამ სოციალურ მოვლენას და მიწის დაჩემების საფუძვლად სწორედ გაწეულ შრომას მიიჩნევდა. „ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებული მიწა კარგა ხნობით, მაგრამ კარგახნობამ თანდათან იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს, მანამ ცოცხალი იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა. ვინც ეარიელ უხმარ მიწას სათემოში შემოლობავდა დასამუშავებ-

<sup>33</sup> X. A. Вермишев. დასახ. ნაშრ., გვ. 70.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>35</sup> მსგავსი ტრადიცია არსებობდა ევროპული რუსეთის ჩრდილოეთში. აქ შერჩეულ ახოში ხეებზე ქლებს გააკეთებდნენ და საკუთარი დამლის ნიშანს გამოკვეთავდნენ. Н. П. Третьяков. Подсечное земледелие в Восточной Европе. ИГАНМГ. т. XIV, вып. I. М., 1939, стр. 7.

ლად. იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შეპოლობილი“.<sup>36</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოში საკუთრების უფლებას იურიდიული აქტების გარდა ადასტურებდა: უ შე ნ ი ა მ ო შე ნ ე ბ ა, უ ხ მ ა რ ი ა ს ა ხ მ ა რ ა დ გ ა დ ა ქ ე ე ვ ა, მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ხ ა ნ დ ა ზ მ უ ლ ო ბ ა, ნ ა ქ ი რ ნ ა ხ უ ლ ე ე რ დ ა ს ზ ე.<sup>37</sup>

ბოლო წლების ეთნოგრაფიულმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ აქარის ზოგიერთ სოფელში<sup>38</sup> მე-20 ს. დასაწყისამდე იცოდნენ ტყეში ხეებზე ხელის მტევნის გამოახვეა, როგორც საკუთრების სიმბოლური ნიშანი. „ხელის დადების“ წესი ძველ საქართველოში თავდაპირველად ნიშნავდა თემის, ძმობის, ოჯახის თუ კერძო პირის მფლობელობის იურიდიულ აქტს და გამოიხატებოდა მიწაზე მატერიალური ხელის აღმართვით.<sup>39</sup> საქართველოში ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებასთან ერთად ხელის გამოხატულებას თანდათან ჩვარი სცვლია. ქვიანაგან გამოკვეთილ ჯვრებს აღმართავდნენ მიწის იმ ნაკვეთებზე, რომლებიც კერძო საკუთრების საგანა შეადგენდა. ასეთი ჯვრები ფეოდალური საადგილმამულო უფლების გამოხატვის გარდა რელიგიურ-რიტუალურ ფუნქციასაც ასრულებდა.<sup>40</sup> საქართველოსა და კავკასიის მთიელთა ყოფაში ხელია გამოხატულების ფაქტები ნაპოვნი საცხოვრებელ სახლებსა, ციხე-კოშკებსა და საკულტო ნაგებობებზე.<sup>41</sup>

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე შემორჩენილია სამიჯნო ქვის არაერთი ძეგლი, რომელზედაც მხოლოდ ხელი ან ხელი და ჩვარია

36 ი. ჰავეკაეაძე, თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1955, გვ. 120.

37 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება მე-16-17 საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 137.

38 ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ზუნდაგა და ქედის რაიონის სოფელი ბზებზე.

39 ნ. ბერძენიშვილი, მიწათმოქმედების ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, ტ. III, თბ., 1966, გვ. № 141, 143.

40 ს. ჯანაშია, ჩვარი როგორც ფეოდალური რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 240-241.

41 გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, ტ. I, ტფ., 1926, გვ. 237; ე. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი. I ნაკვეთი, თბ., 1939, გვ. 18; ვ. ი. თონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 16.

ვაპოსახელი.<sup>42</sup> საპიჯნო ჭვრები საველე მუშაობისას სოფელ თმოგვიც იქნა ნიგნებული. სოფლის მთელი მიწაწყალი „ასინორე ქვებით“ ანუ „ჭვრებათ“ იყო ვაპიჯნული. მსგავსი სვეტები სოფელ თმოგვიდან დასავლეთით 7 კმ-ზე ნასოფლარ გიორგი წმინდაში „ურიის სასაფლაოს-თან“ დგას. მეორე ამავე ტიპის სვეტი გიორგი წმინდის დასავლეთით 4 კმ-ზე, ნასოფლარ აგარის ტერიტორიაზე „ქვისწყაროებთანაა“ დაყენებული.

სოფელ ზემო თმოგვის ტერიტორიაზე ჩვენ სამი სვეტი ვნახეთ. ერთ მათგანს, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით შემაღლებულ ბორცვზე დგას, შემორჩენილი აქვს მხოლოდ ფუძე და ქვედა ნაწილი. საერთოდ სვეტები ორი ნაწილისაგან შედგება: საკუთრივ სვეტისა და საძირკველისაგან. რომელიც მიწაშია ჩამარბული. საძირკველში ოთხკუთხა ბუდეა ამოკვეთილი, რომელშიც ჩადგმული იყო სვეტის ძირი.

ყველაზე უკეთ დაცულია მეორე, დასავლეთის მხარეზე მდებარე სვეტი. იგი სოფლიდან 400-500 მეტრის მოშორებით ტრიალ ქანობზეა დაყენებული. მესამე სვეტი სოფლის ჩრდილოეთით დაახლოებით იმავე მანძილზე მდებარეობს. იგი უძველესი ხელოვნური ტერასის კედლის (ზღვრას) ძირშია დაყენებული.<sup>43</sup> სვეტი თითქმის შუა წელზეა გადატეხილი. გადატეხილი ნაწილი იქვე მიწაშია ჩასობილი. კარგადაა შემონახული სვეტის ბაზისური ნაწილი და საერთოდ სვეტზე არსებული გამოსახულებანი.<sup>44</sup>

აღწარმოებული სვეტი ფასადით (ე. ი. იმ მხრით, რომელზედაც ჭვარაა გამოსახული) ორიენტირებულია იმ მიმართულებით, საითაც განლაგებულ-

---

<sup>42</sup> „ხელ“-თან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე სხვა სახის ეთნოგრაფიული ჰარალები საქართველოსა და კავკასიის მთიანეთიდან. მაგ., თუშეთში „ხელი“ გამოხატადა ადათობრივი სამართლის ნორმას, ხოლო „ხელხომი“ — პირებს, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ ადათობრივი სამართლის ნორმებში. აქედან გამომდინარე მინეულია ინგუშური „ქხელამ“-ი და „ქხელ“-ი Р. Харадзе. Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей. Кавказский этнографический сборник. II, Тбили., 1968, стр. 188-189. „ქხელ“-ი როგორც უხუცესთა ჭვრის აღმნიშვნელი ტერმინი, არსებობდა დაღესტანშიც. II. М. Саидов. Мехк кхел (Совет страны) у пахов и прошлом. Кавказский этнографический сборник. II, Тбили., 1968, стр. 199.

<sup>43</sup> ამეწად ეს ვაკისი ძველი გზის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, მსგავსი ვარაუდი უსაფუძვლოა, რადგან ისტორიული გზა სვეტის სამხრეთით მდებარეობდა და კადილა შემდეგ პუნქტებზე: ზედა თმოგვი, თმოგვის ციხე, ქალაქ თმოგვის ხილი მტკვარზე და სხვ. II. Чусишвили. Хандиси, Тб., 1972, стр. 108.

<sup>44</sup> ამ ძეგლზე უკრძალდა პირველად გ. ჩუბინიშვილს მიუძღვნია, იგივე სვეტი დაწერილებით აღწერილი და შესწავლილი აქვს ალ. ჯავახიშვილს. Ал. Джавахишвили. Древнехристианские мемориально-культурные памятники Грузии. Автореферат. Тб. 1949, сбр. 11.

ლია ლარეზიანი სახნავ-სათესები. ადრეჭრატრანული ხანის საქართველოში ჯვრის ან ჯვარის ქვის სვეტის აღმართვა ხდებოდა მცხეთის ჯვრის პატრიარქთან. ასეთი ჯვარი წარმოადგენდა არამატო მფლობელობის მატრიალურ ემბლემას, არამედ საკულტო დანიშნულების ძეგლს. ზემოთ აღნიშნული სვეტები ხალხში თაყვანისცემის ობიექტებად იყო მიჩნეული.

ტერასის კედლის ძირში არსებულ სვეტზე ამოკვეთილია ვაზი მტევენებითა და ფოთლებით. არის სხვა ორნამენტები და რელიეფური გამოსახულებანი. სტილისტური ანალიზის საფუძველზე ალ. ჯავახიშვილი ამ ძეგლს მე-6 საუკუნით ათარიღებს.<sup>45</sup>

სვეტსა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ იგი დაკავშირებული ჩანს არა უბრალოდ მიწასთან, არამედ ფერდობზე ხელოვნურად შექმნილ ტერასებთან, სახნავ-სათეს მიწასთან. სვეტის მდებარეობა გვიჩვენებს, რომ იგი ტერასის ჩამოყალიბების შემდეგ არის დაყენებული. ცხადია, სვეტი შეიძლება ტერასის გააუმჯობესოს. იმავე სოფელ თმოგვში სხვა ჯვრები, ასევე გიორგი წინიძისა და ავარის ნასოფლარების ქვა-ჯვრები, ტიპურად აღვილხეა აღმართული. მაგრამ აქ არ გვხვდება ლარეზი. ჩვენი მოსაზრება იქედან გამომდინარეობს, რომ ტექნიკურად შეუძლებელია საქმის დაქანების ფერდობზე ჯერ სვეტის დაყენება, შემდეგ კი ტერასის გაართვა, თანაც იმე, რომ სვეტი თავისი საძირკვლით ტერასის კედლის ძირში მოხედეს. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს სოფელ თმოგვში არსებული ლარის ტიპის ტერასების თარიღად შევექსე საუკუნე მივიჩნოთ.

ქართულ ეთნოგრაფიულ მანალებში არაფერი გვხვდება ტერასულ ნაკვეთებზე საზოგადოებრივი მფლობელობის შესახებ. ყველა შემთხვევაში მიწის საკუთრების ფორმა ტერასულ მიწათმოქმედებაში კერძო საკუთრული იყო. მიწათმოქმედების ამ სისტემას მსგავსი ტენდენცია თავდაპირველ საფეხურზე უნდა ჰქონოდა. ამას განაპირობებდა ტერასული მიწათმოქმედების ბუნება, შრომის დახარჯვის მაღალი კოეფიციენტი. მიწათმოქმედების ინტენსიურობა. მისი კავშირი ხელოვნურ მოწყობასთან. ამაზე მიუთითებს საზოგადოებრივი მფლობელობის მიწების კერძო პირთა ხელში გადასვლა ახოს აღების თუ უხვარ, ყამირ მიწებზე ტერასების გაჩენის შემდეგ.

მსგავსი გარემოება დასტურდება სხვა ხალხთა სამეურნეო ყოფაში. იქ, სადაც ადამიანი დაუფალავად ებრძოდა ბუნებას, მთა-ტყის ლანდშაფტის შეცვლით ქმნიდა მოვაკებულ ნაკვეთებს, გაჰყავდა სარწყავი წყალი, აგებდა ნიადაგსაკავ კონსტრუქციებს. მეურნეობრივ საქმიანობაში გადაწყვეტი მნიშვნელობა მიწათმოქმედებას და შრომის დახარჯვას ენი-

ქებოდა. ასეთ გარემოებას, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, შეეძლო გამოეწვია მიწაზე კოლექტიური მფლობელობიდან კერძომესაკუთრულ მფლობელობაზე გადასვლა.<sup>46</sup> მსგავსი მოვლენა, ვიშეორებთ, უთუოდ იმით აიხანება, რომ ტერაპულ მეურნეობაში ძალზე მაღალი იყო შრომის დანახარჯი. ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი ტერაპებს შრომის პროდუქტს უწოდებს.<sup>47</sup> ალლაროვის მოაზრებით, დაღესტანში ტერასულმა მიწათმოქმედებამ გამოიწვია გვაროვნული კოლექტივის სამეურნეო მთლიანობის მოშლა და პირველყოფილი თემური მფლობელობის რღვევა. ტერაპული ნაკვეთების აუცილებელი მითვისება მათი შემქმნელი მკირე ოჯახების მიერ, როგორც ალლაროვი ფიქრობს, განპირობებული იყო კადევ იმ გარემოებით, რომ ყოველი ცალკე აღებული ნაკვეთი არ იშეორებდა მეორეს არც მასზე გაწეული შრომის რაოდენობით და არც მიწის ნაყოფიერების დონით.<sup>48</sup>

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში დასაკუთრების ერთ-ერთ არგუმენტად გამოდის ტერაპების შექმნაზე გაწეული შრომის რაოდენობა და მიწის მაღალი ნაყოფიერება. ამ ორი ნიშნით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ სახმარი მიწის სხვა კატეგორიებისაგან და ამიტომაც მათ განსაკუთრებული ადგილი ეკირათ ოჯახის სამეურნეო ცხოვრებაში.

საშხრეთ საქართველოს აღრეული პერიოდის მიწათმოქმედებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური და ისტორიული ხასათის მონაცემები.

მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ენეოლითისა და აღრებრინჯაოს ხანის სამეურნეო ყოფის ამსახველი საინტერესო მასალა. დადგინდა სამოსახლო ბორცვებზე ძველი ტერასების არსებობა, ამასთან, ერთსა და იმავე სამოსახლოზე მცხოვრები ტომების სხვადასხვა ხანაში მკვეთრი აღმავლობა.<sup>49</sup> პირველი ასეთი აღმავლობა შენიშნულია მეტალურგიის განვითარების აღრეულ ეტაპზე, კერძოდ, სპილენძის იარაღის წარმოშობის დროს (ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულის პირველი ნახევარი). მეორე პერიოდის აღმავლობა მოდის რკინის ფართო ათვისებაზე (ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრული და I ათასწლეულის დასაწყისი).<sup>50</sup> როგორც ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, ახალციხის ამირანის გორის ნასოფლარი მთის ტიპიურ დასახლებას წარმოადგენს. ავტორის ეს მოსაზრება გამოქმდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ბორცვზე საცხოვრებელი სახლები ტერასულად ყოფილა განლაგებული.

46 Ю. В. Иванова. დასახ. ნაშრ., გვ. 87.

47 М. Агларов. დასახ. ნაშრ., გვ. 185.

48 იქვე, გვ. 186.

49 ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1962, გვ. 14.

50 იქვე, გვ. 15.



დასახლების მსგავსა განაშენიანება თავისთავად პირდაპირ როდი მეტყველებს ტერასული მიწათმოქმედების არსებობაზე, მაგრამ აშკარად მიუთითებს მთაგორიანი რელიეფის ხელოვნურ ბაქნებად გარდაქმნისა და მათი რაციონალურად გამოყენების დიდ ტრადიციასზე. როგორც განათხრობით დადგინდა, ამირანის გორას სამხრეთ კალთებია ნასოფლარზე სახლები ზედა ტერასებიდან ქვევით, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ საფუხვრებად ეშვებოდა. ზედა და ქვედა საფეხურს შორის განსტავება 15 მეტრს შეადგენდა, ფერდო დახრილობა კი 10°-ზე ნაკლები არ ყოფილა.<sup>51</sup> ნასოფლარია შემოჩენილ ნაწილში ათზე მეტი ტერასია დადასტურებული. ავტორი ვარაუდობს, რომ შეიძლება თითოეული ტერასა, ცალკეულ და დამოუკიდებელ უბანს წარმოადგენდა რაც შეეხება საცხოვრებელ შენობათა კედლის მშენებლობის ტექნიკას, იგი მარტივია. შენობის კედლები თიხის ხსნარზე წყებ-წყებად დალაგებული ქვებისაგან შედგებოდა და ე. წ. ნაკვას ქმნიდა.<sup>52</sup> დადგინდა აგოეთვე, რომ თითქმის ყველა ტერასზე არსებული სახლები ფასადით მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთით.<sup>53</sup> საცხოვრებელი სახლები ასეთი ორიენტაცია მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ მთის პირობებში მზიური ექსპოზიციის მნიშვნელობას ადგილობრივი ტოპები ჭერ კიდევ უძველეს დროში აქცევდნენ ყურადღებას.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: საქმე ეხება ტერასებისა და საკუთრივ სახლების დამკველი კედლების აღმოჩენას. ფერდობიდან წამოსული ნიაღვრისაგან სამოსახლოს დაცვის მიზნით, შენობათა ზევით, უკანა კედლის გასწვრივ, დამატებით ყოფილა კუთხით მიშენებული ქვის კედელი. ავტორი სწორად ფიქრობს, რომ იგი ნიაღვრის ასაქცევ კედელს უნდა წარმოადგენდეს.<sup>54</sup>

ნასოფლარ ნარჩანში და მილაბევში დაღვარვია და ქვის გორვიანგან ტერასების მთელი სიატემის და შენობებზე დაცვის მიზნით ახეთივე ნაგებობანი იყო გამართული. შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ ამირანის გორის მოსახლეობას ჭერ კიდევ იმ უძველეს დროში, მთის პირობებში, ნიაღვრისა და მიწის ჩამოშლა-დარეცხვით წინააღმდეგ ბრძოლის საკმაო გამოცდილება ჰქონია. ამასთან, ისინი შესანიშნავად იყენებდნენ მთის რელიეფს ნაგებობათა ტერასული განლაგებისა და მთელი დასახლების ამფითეატრული დაგეგმარებისათვის. ამისათვის საჭირო იყო მთის გვერდის ჩაქრა და შენობის შედგმა ქანობში, რომელსაც საფეხუ-

51 იქვე, გვ. 22.

52 იქვე, გვ. 22-25.

53. იქვე, გვ. 23.

54 იქვე, გვ. 22.

რევით მიჰყვებოდა მეორე, მესამე ნაგებობა და ასე შემდეგ. ამრიგად, თუ აღნიშნულ არქეოლოგიურ მონაცემებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მეხუთეში ტერასულ მიწათმოქმედებას საფუძველი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში ჩაეყარა, ვინაიდან ამირანის გორის განათხარი ძეგლები, რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურაშია მოქცეული, ძირითადი ნიშნებით აღნიშნულ პერიოდს მიეკუთვნება.<sup>55</sup> მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით დადგენილი საშუალომოქმედო კულტურის მაღალი დონე საფუძველს იძლევა იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ აღნიშნულ ხანაში ამ კულტურის მატარებელ ტომებს მიწათმოქმედების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ. ამიტომ, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამ რაიონში მიწათმოქმედების საწყისი უფრო ადრეულ, ნეოლითურ, ენეოლითურ კულტურებშია საძიებელი.<sup>56</sup> ამის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ადამიანის ცხოვრება და მისი სამეურნეო მოღვაწეობის კვალი ამ ტერიტორიაზე ქვის ხანიდან დასტურდება.<sup>57</sup>

ამირანის გორის გარდა ტერასული მიწათმოქმედების სიძველეზე მეხუთეში სხვა არქეოლოგიური მონაცემებიც მეტყველებს. სოფელ თმოგვის მახლობლად მდებარე „ვერთაყანა“ და ურავლის ხეობაში ელიას მთის აღმოსავლეთ ფერდობის გაყოლებაზე მდებარე „დაწყობილი ყანები“, როგორც ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, ამფითეატრის მსგავსად დიდ ფართობზე ძველად ნაკეთებ ტერასებს შეიცავს.<sup>58</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნასახლარების ირგვლივ წარმოდგენილია სხვადასხვა დროისა და კატეგორიის ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ადრეული ხანის კულტურის ერთიან, უწყვეტ არსებობასა და განვითარებაზე მიუთითებს.<sup>59</sup>

საქართველოს სამხრეთ ოლქების სამეურნეო ცხოვრების მიმართ საყურადღებოა ისტორიული ცნობებიც, რომლებიც შემონახულია ასურულ და ურარტულ წყაროებში.

ასურეთას მეფე აშურნასირპალი არაერთჯერ აღნიშნავს ურარტუს ქვეყანაში ღაშქრობისას ხელში ჩაგდებული ნადავლის შესახებ, სადაც მარცვლეულთან და საქონელთან ერთად ხშირად მოხსენებულია ღვინო. იმავე მონაცემებით დადგენილია, რომ ნაირი — ურარტუს ქვეყანაში

55 იქვე, გვ. 86.

56 Б. Б. Плотровский. Археология Закавказья. Л. 1949, стр. 82.

57 გ. ნორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. სახ. მეზ. მოაზრ. ტ. XIII, ნაწ. 6, გვ. 173; გ. გრიგოლია, ჭავჭავთის პალეოლითური ძეგლები, საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. საღმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, 1961. გვ. 17.

58 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

59. იქვე.

განვითარების მაღალ დონეზე იდგა შემინდვრეობა, შევენახეობა, მებაღეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგი. უხე მათას შეიცავს ასურეთის მეფის სარგონ მეორის ცნობილი ანგარიში, რომელიც ეხება მის ლაშქრობას ურარტუს ქვეყანაში 717 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქაც ხელში ჩაგდებულ ნადავლთა შორის არაერთგან მოხსენებულია პურული და ღვინო. ამ ლაშქრობისას სარგონ მეორეს აუოხრებია ნაირი-ურარტუს მთელი ქვეყანა, აუჩეხია ვენახები, მოუშლია სარწყავი სისტემები და სხვ. В его прекрасные сады, украшенные его города, полные плодовых деревьев и лоз во(рвали)сь мои славные воины и дали громить железным топорам, как Ададу. Многочисленные их плодовые деревья, они порубили... Их большой урожай, как тростник не имеющий счета, я вырвал с корнями, ни колоса не оставил для восстановления (после) разрухи<sup>60</sup>.

ერთი სიტყვით, როგორც ასურულ, ასევე ურარტულ წყაროებში არაერთგანაა ვაზი და ღვინო მოხსენებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიწათმოქმედების ამ ინტენსიურ დარგს მეტად საპატიო ადგილი ეკავა მეურნეობაში, ამასთან, იმავე მონაცემებიდან ირკვევა, რომ მიწათმოქმედება ძირითადად ხელოვნურ მორწყვაზე იყო დამყარებული. ნაირი-ურარტუს რიგ რაიონებში მორწყვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ცენტრალური ხელისუფლების ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. აქ არსებობდა არაერთი ტბა და წყალსაცავი. ურარტუს მეფის მენუს მიერ არხების გაყვანაზე მოგვითხრობს ჩვენამდე მოღწეულ თოთხმეტი წარწერა.<sup>61</sup> ერთ-ერთი სარწყავი სისტემა დღესაც არსებობს და ცნობილია შამირამ-სუს სახელწოდებით. ნაირი-ურარტუს დასავლეთით, მდ. ჰალისის აუზში, მდებარეობდა ხეთების სახელმწიფო, რომელიც ამ დროს ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად ითვლებოდა მახლობელ აღმოსავლეთში, მეურნეობის ისეთ დარგებთან ერთად, როგორცაა შესაქონლეობა, ხელოსნობა, მეტალურგია, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მიწათმოქმედებამ. ხეთური წყაროების მიხედვით, მიწათმოქმედება იქ წარმოდგენილია მისი თითქმის ყველა ძირითადი დარგით: შემინდვრეობით, მებაღეობით.<sup>62</sup>

მაღალი მთებით შემოზღუდული ანატოლიის პლატო გამოირჩევა მკაცრი კონტინენტური კლიმატით, ცივი, თოვლიანი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ამ ოლქის გაშლილი ზეგნები კარგ ბაზას წარმოადგენდა მე-

60 Г. А. Меликишвили. Папи-Урарту. Тбл., 1954, стр. 328, 329, 330.

61 სხვა არხების გაყვანას წყაროები მიაწერენ მეფე არგიშტი I, არგიშტი II, ლასხვ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 331.

62 Д. А. Менабде. Хетское общество. Тбл., 1965, стр. 38.

საქონლეობის განვითარებისათვის, ხოლო მდინარეთა ხეობების დაბლობებში გაშლილი იყო მიწათმოქმედება.

არქეოლოგიურმა გათხრებმა და წერილობითი წყაროების შესწავლამ ცხადყო, რომ ხეთები აგებდნენ მცირე მასშტაბის სარწყავ სისტემებს, წყალსაცავებს და სხვა ირიგაციულ ნაგებობებს. ეს ნაგებობანი მათი მასშტაბების თვალსაზრისით, თუმცა არ შეედრება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების, შუამდინარეთის, ეგვიპტის კლასიკურ სარწყავ სისტემებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი მნიშვნელობა დიდი იყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისათვის. კანონი სასტიკად კრძალავდა სარწყავი სისტემების მოშლას, დანაგვიანებას, წყლის სხვაგან მიშვებას. მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო წყლის არსებობას სახმარი მიწის ახლოს, არამედ იმას. თუ როგორ იყო იგი გამოყენებული სარწყავად. ამხე იყო დამოკიდებული მიწის ღირებულებაც.

ხეთური წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მნიშვნელოვან მინდვრის კულტურას წარმოადგენდა პურეული, უპირველეს ყოვლისა: ქერი. ქერის პური, მისგან დამზადებული ლუდი, ღვინო და ცხვრის ხორცი ძირითად და პოპულარულ საკვებად ითვლებოდა.<sup>63</sup> სამხრეთ საქართველოში, უძველეს დროშივე, მინდვრის აღნიშნული კულტურა ჩანს გაბატონებული, რაზედაც, სხვათაგან ერთად, ნათლად მეტყველებს აქარის სრნაპდვილუში დღემდე შემორჩენილი ხენა-თესვის აღმნიშნელი ტერმინი „ქერობა“.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ხეთები ვენახს. ხეთური კანონების დიდი ნაწილი უკავია ვაზის მოშენების და დაცვის საკითხებს, ხოლო მთელი რიგი მუხლები ეხება მევენახეობას.<sup>64</sup> იმავე მასალებიდან ირკვევა, რომ მოშენებულ ვენახს განსაკუთრებით მაღალი ფასი ჰქონდა. დაწესებული ყოფილა შრომითი ბეგარა სახელმწიფო ზვრებში ყურძნის მოპარვის, ვაზის დაზიანებისა და სხვა ზარალისათვის.<sup>65</sup> ხეთურ ხელნაწერ ძეგლებში ვაზისა და ხეხილის გვერდით ხშირად მოიხსენიება: ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ზეთისხილი, ლეღვი და სხვ.<sup>66</sup> ბალი და ვენახი ზოგჯერ ცალკე-ცალკედაა მოხსენებული, ზოგჯერ კი — ერთად.<sup>67</sup> შესაძლებელია ეს მიუთითებდეს სახმარი მიწის საერთო ფონდიდან ვაზისათვის ცა-

63 იქვე, გვ. 46.

64 იქვე, გვ. 46-47.

65 იქვე.

66 იქვე.

67 М. М. Дьяконов. Законы Вавилонии, Ассирии и Хетского царства. ВДП, № 4. М., 1952, стр. 285.

ლვე ადგილის გამოყოფას ან მოშენებული მიწა-წყლის მთლიანობაზე ცნებას ისე, როგორც ქართულშია ხოლმე „ბაღ-ვენახი“. ერთი სიტყვით, ამ ქვეყნის ეკონომიურ საფუძველს მეაქონლეობასთან ერთად იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი დონის მიწათმოქმედება შეადგენდა.<sup>68</sup> მეურნეობის ამ დარგის დიდ როლზე მეტყველებს ხეთური კანონმდებლობის მრავალი პარაგრაფი.<sup>69</sup> მიწათმოქმედების განსაკუთრებული მნიშვნელობის მაუწყებელია კანონების ის ნაწილი, რომელიც ეხება ნათესებისა და ნარგავების დაცვას. იგი ითვალისწინებს საკმაოდ მკაცრ ზომებს მიწა-წყალზე ზარალის მიყენებისათვის. მაგალითად, ვინც საკუთარი ყანის მორწყვის დროს დაუდევრობით წყალს სხვის ბაღში მოუშვებდა და აზარალებდა, წალკილი ნაკვეთი თავისთვის უნდა აეღო და დაზარალებულისათვის მიეცა უკეთესი მიწა, გაეშენებინა ახალი ხეხილი, მიეყვანა სარწყავი წყალი. ის გარემოება, რომ კანონი სარწყავი წყლის გაყვანას ცალკე პირს ავალდებულებს, სარწყავი სისტემის მცირემასშტაბიანობაზე მეტყველებს, რაც საზოგადოდ მთური ირიგაციისთვისაა დამახასიათებელი.

სარწყავი სისტემის მცირემასშტაბიანობა ხეთების ქვეყანაში აიხსნება ამ ქვეყნის გეოგრაფიული პირობებით, რელიეფის მთაგორიანობით, ღრმა ხეობების სიმრავლით. დიდ მდინარეთა სარწყავად გამოყენება სირთულით ხასიათდებოდა. ამიტომ, როგორც ჩანს, ძირითად როლს ამ საქმეში შთის ღელეები ასრულებდა. ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიწათმოქმედება და განსაკუთრებით ისეთ ძვირფას კულტურათა მოშენება, როგორცაა ვაზი, ზეთისხილი და სხვ., მთაგორიანობისა და კონტინენტალური კლიმატის გამო შესაძლებელი იყო მხოლოდ ხელოვნურ ტერასებზე დამყარებული მცირემასშტაბიანი სამთო ირიგაციული სისტემების გამოყენებით.

ასე რომ, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელზედაც განიერ-რკობოდა ხეთების სახელმწიფო, თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით საერთოდ ურარტუს ქვეყანას და, კერძოდ, სამხრეთ კავკასიას ემსგავსება.<sup>70</sup>

კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე ქვეყნის გეოგრაფიულ-კლიმატური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მოსახლეობის მეურნეობრივ საქმიანობაში და საბოლოო ჯამში თავის კვალს აჩენდა საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას.<sup>71</sup>

<sup>68</sup> П. М. Никольский. Хетские законы и их влияние на платинские. Еврейская старина, т. XII, КЛ., 1928, стр. 269.  
<sup>69</sup> იქვე, გვ. 232.

<sup>70</sup> Г. А. Меликишвили. დასახ. ნაშ., გვ. 322.

<sup>71</sup> Б. Б. Пиотровский. Ванское царство. М., 1959, стр. 181.

მამასაღამე, სამხრეთ კავკასიას, უნდა ვიფიქროთ, მეურნეობის სტრუქტურისა და წარმოების თვალსაზრისითაც ბევრი საერთო ჰქონდა ხეთების სამეურნეო კულტურასთან. ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ე. ი. უშუალოდ ხეთების მომიჯნავედ, ასურეთისა და ურარტუს სამეფოთა ხანაში, ცხოვრობდნენ ქართველური წარმოშობის ტომები მუშქები (შესხები) და თუბალები. მე-7 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცირე აზიაში მუშქების მეთაურობით არსებობდა დიდი გაერთიანება, რომელსაც ბერძნული სამყარო ფრიგიის სახელით იცნობდა.<sup>72</sup>

ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ მუშქებმა ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმოინაცვლეს და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დასახლდნენ.<sup>73</sup>

გამორიცხული არაა, რომ მიწათმოქმედების ტერაპული სისტემის არსებობა და მისი დაწინაურება კავკასიის ამ ნაწილში, ხეთების გვერდით, ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მობინადრე ძველი ქართველური ტომის მუშქების სახელს უკავშირდებოდეს. ეს მოსაზრება არც ისე უსაფუძვლო მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ მუშქები ძველ ხანაში ბერძნული სამყაროსათვის ცნობილი იყვნენ, როგორც მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მატარებელი ხალხი.<sup>74</sup>

განვითარებული სახის ძველი ტერაპული მიწათმოქმედება, რომელიც ასევე მორწყვის ინტერესებს ემსახურებოდა, ეთნოგრაფიული ძიებით დამოწმდა თრიალეთის ზოგიერთ უბანზე, მდ. ალგეთის და მდ. ხაპის ხეობებში, ქართლში მდ. მტკვრის შენაკად ხეობებში და სხვ.

ალგეთის ხეობის (თეთრი წყაროს რაიონი) სოფლები, უმთავრესად, ხეობის მარცხენა მხარეზე, ფერდობებსა და მცირე გავაკებაზეა გაშენებული. ხეობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ განივრცობა, ამიტომ მთის მარცხენა კალთები სამხრეთისაკენაა მიქცეული, რამაც განაპირობა დასახლების კონცენტრაცია ამ მხარეზე. სახნავ-სათესები განლაგებული იყო მდ. ალგეთის ორივე ნაპირზე, რაც შეეხება ბალ-ვენახს, იგი ძირითადად მოშენებული ჰქონდათ სამხრეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე. მინდვრის კულტურები ურწყავად ხარობდა, ხოლო ხეხილი, ვაზი და ბოსტნეული დრო და დრო აუცილებელ მორწყვას მოითხოვდა. სარწყავი მიწათმოქმედება ალგეთის ხეობაში ძველთაგან მოპლდინარეა. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, სოფელ ფარცხისში ძველი, თამარის დროინდელი

72 გ. მელიქიშვილი, ურარტუ. თბ., 1951, გვ. 138

73 იქვე, გვ. 139.

74 ესარელი, გეორგია, ტ. 111, თბ., 1965, გვ. 127.

არხის ნაშთები. სოფელ ფარცხისშივე შემოდრიოდა მეორე სარწყავი რუ (მას სასპელადაც ხმარობდნენ) ბირთვითიდან, რომელიც ფარცხისა ხევში მდებარეობს. იქვე, ძველი ციხის მიდამოებში, ნაპოვნია დიდი ზოვის თიხის მილები წყალსადენისათვის. სოფელ ბოგვი სარწყავად იყენებდა ბოგვისხევის წყალს, რომელიც მდ. ალგეთს მარცხენა მხრიდან შეერთვის. მორწყვის აუცილებლობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ბალ-ბოსტანი თუ ვენახი ხელოვნურად შექმნილ ბაქნებზე ჰქონდათ და აქვთ მოშენებული.

საერთოდ, ალგეთის ხეობის სოფლების თავისებურებას წარმოადგენდა ბაღისა თუ ვენახის არსებობა დასახლების გარეთ. იგი სოფლიდან 1-2 კმ-ზე, ალგეთის ჭალებსა და მის მიმყოფ ფერდობებზე, იყო მოშენებული. დაბლობში ვენახი მდ. ალგეთის წყლით ირწყვებოდა, ფერდობებზე კი მახლობელი ხეებიდან გამომდინარე წყლებით. სახნავე-სათესები განიცრცობოდა ბალ-ვენახების ზევით მთის მოვაკებებზე. საკუთრივ დასახლების ფარგლებში მდებარე საკარმიდაპო ნაკვეთებზე მოჰყავდათ ბოსტნეული, ჰქონდათ ხილის ნარგავებიც. ეს იყო ე. წ. ბ ა ლ ჩ ა. ბალჩა გულმოდგინედ მუშავდებოდა და რეგულარულად ირწყვებოდა.

ალგეთის ხეობაში ტერასები სოფელ ფარცხისში, ბოგვსა და საღრაშენში იქნა დადასტურებული და დღეს ერთეულ საკარმიდაპო ნაკვეთებშია შემონახული. რაც შეეხება სხვა სოფლებს, ტერასები არც ძველად ჰქონდა, რადგან მათი სახმარი მიწები შედარებით ვაკე ადგილებზე მდებარეობდა.

ტერასული ნაკვეთები წარმოდგენილი იყო ფერდობზე ხელოვნურად შექმნილი მიკროვაკისების სახით, რომლებსაც ადგილობრივად ტ ა ხ ტ ე ბი<sup>75</sup> ეწოდება. ტერასების აგების ძირითადი მიზანი იყო ფერდობზე მორწყვის შესაძლებლობა და მიწის დარეცხვის თავიდან აცილება.

ალგეთის ხეობაში არ ხდებოდა დატერასებული ადგილის ერთნაირად გადმოთხრა ისე, როგორც ეს მესხეთში იცოდნენ დარეცხვის აგებისას. ფერდობის ტახტებად გარდაქმნას ათეული წლები სჭირდებოდა. ერთი რომელიმე ტერასის ჩამოყალიბების პროცესიც საკმაოდ ხანგრძლივი იყო. სატერასედ გაშიზნულ ადგილზე მიწას ქართული ბარით ამუშავებდნენ. ბარვისას ყოველ მორღვეულ ბელტს ადგილზე კი არ ჩააბრუნებდნენ, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, არამედ ქანობისაკენ, წინ რაპდენიშე მეტრზე ყრიდნენ. როდესაც სასურველი სიგრძისა და სიგანის ზოლი დამუშავდებოდა ფერდის პორიზონტალურად, დაუბარავად დატო-

<sup>75</sup> ტახტი არ გვეშენა, ხეხილს ვერა გავზრდიდით, მიწას ვერ მოვრწყავდით, — აღნიშნავენ ადგილობრივი მცხოვრებლები. სოფელი ფარცხისი, 1975, სველე მუშაობის დღიური.

ვებდნენ 1-2 მეტრის სიფართის ზოლს, რის შემდეგ მომდევნო სატახტე ნაკვეთის დამუშავება იწყებოდა. ასე, ყოველ წელს, ხდებოდა მიწის გადატანა შემალღებელი ადგილიდან დაქანებისაკენ ანუ ტერასის მოპოვებით კედლის მხრიდან ტერასის პირისაკენ. ტერასის პირის ამალღებას და დამკვეთ კედლის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა წვიმის თუ თოვლის მდნარი წყლით ჩამოტანილი მიწის დაგროვება დაუშუშავებელი ბალახოვანი ზოლის გასწვრივ. ნაკვეთის სამეურნეოდ გამოყენება ტახტების ჩამოყალიბებაზე დაშორებული არ იყო. პირველსავე წელს და შემდეგაც, ვიდრე ტახტი სანახევროდ გაფორმდებოდა, თესავდნენ მარცვლეულს, მოპყვადათ ბოსტნეული, ერთი სიტყვით, მიწა არ მოცდებოდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ნიადაგის ფენა საკმაოდ ღრმაა, 1-2 ბარის პირზე მიწა გადმონაცვლებით საერთოდ არ ირღვევა ნიადაგური სტრუქტურა და მიწაც მნიშვნელოვან სიღრმეზეც ნაყოფიერია, ამიტომაც შესაძლებელი ხდებოდა ქვემო ფენიდან ზევით მოქცეულ მიწაზე თესვა და მისი გამოყენება პირველივე წელიწადს. შესაძლებელია სწორედ ამ გარემოებით აიხსნას თრიალეთსა და ქართლში არსებული ტახტების შენების ტექნიკის თავისებურებანი.

ხანგრძლივი შრომის შემდეგ, როდესაც ტახტის დახრილობა დასაშვებს ვახდინა მიწის მორწყვას, ჩაყრიდნენ ხეხილს თუ ვაზს. ტახტი საბოლოოდ ჩამოყალიბებულად ითვლებოდა, როდესაც მისი ზედაპირი სრულყოფილად მოვადებოდა და მიწის დარეცხვას პრაქტიკულად ადგილი აღარ ექნებოდა.

ალგეთის ხეობაში იშვიათად შეხვდება ადამიანი ქვით ან სხვა მასალით ნაგებ ძველ ტერასებს. ნიადაგი იქ უმთავრესად უქვოა, ამიტომაც მეტი განვითარება კორდის კედლიანმა ტერასებმა მიიღეს. კედლები მას ოდნავ გადახრილი აქვს დაქანების საწინააღმდეგო მიმართულებით, ხოლო ბაქნები ჰორიზონტალურია. მეორე თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ თრიალეთში და, როგორც ირკვევა ქართლში, ტახტები კიდევ დანაწევრებული იყო ცალკეულ მცირე ელემენტებად. ამ ელემენტებს შეადგენდა ყ ა თ ა რ ი, ბ ა ზ ო, შ ა რ ი, კ ვ ა ლ ი და სხვ. თითოეული მათგანის დანიშნულებას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

სოფელ ფარცხისში აღწერეთ და გეგმაზე გადმოვიტანეთ ვანო გონგაძის კარმიდამო, რომელიც შედგება ორი საკმაოდ დიდი ზომის ტახტისაგან. ზედა ტახტზე გაშენებულია ხეხილი: ვაშლი, თუთა, ალუბალი, შინდი, ატამი; ქვედა ტახტზე — ჭერამი, ქლიავი, ვაშლი, ატამი. ხეხილის ნარგავებს შორის კი აშენებდნენ ბოსტნეულს: ლობიოს, კიტრს, პამიდორს, წიწაკას და სხვ. ვ. გონგაძის კარმიდამო ახალია. იგი დაახლოებით 30 წლის წინათაა გაშენებული და ცხადია, ვერ გვაძლევს ტერასებზე ნარგავთა განლაგების ტრადიციულ სახეს. იგივე შეიძლება ითქვას სოფელ ბოგ-



ვში მცხოვრებ გაბრიელ მელქაძის ნაკვეთზე. ეს უკანასკნელი სამი, საკმაოდ დიდი სიგანის (40-60 მეტრი) ტახტისაგან შედგება. ტახტებზე წყვილებში და რიგში გაშენებულია ვაშლი და მხახალი. ნარგავთა შორის მანძილი ტახტზე 6-8 მეტრია. ასეთი დიდი ინტერვალი, როგორც ადგილზევე დამოწმდა, ნხოლოდ სააწყავ ბაღებშია დაშვებული, ურწყავში ნარგავები უფრო ახლოსაა ერთმანეთთან. ნარგავთა შორის მდებარე ფართობი საკარტოფილედია გამოყენებული. ნიადაგი ტახტებზე ყოველ გაზაფხულზე რეგულარულად იბარებოდა და ნაკელით მდიდრდებოდა. ტერასებზე კაკისებს მცირეოდენი დახრილობა აქვთ, კედელი კი უმნიშვნელოდ დაქანებული და შეუმოსავია.

გარკვეული ინტერესის შემცველია ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელიც სოფელ შეხვეტილშია მოპოვებული. ამ სოფლის შემოგარენში შემორჩენილია კარგად გამოხატული ლარის ტიპის ტერასები, რომელსაც ბექს ეწახიან, ხოლო ბექებს შორის დაკორდებულ კედლებს გალახუ გს, მათ ხანგამოშვებით ჩამოთიბავდნენ. ბაქნების ჩამოყალიბება ხდებოდა ნაკვეთის ერთ და იმავე მიმართულებით მოხვით, ე. წ. ც ა ლ ნ ა ფ თ ი ხ ვ ნ ი თ. ეს პროცესი ხანგრძლივი იყო. ადგილზე ფიქსირებული მასალის თანახმად ბექი, როგორც სახნავი მიწის გარკვეული კატეგორია, ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, მაშინ როცა სხვა სახის სახნავები, სათიბ-აბაბლახო ტყე და ა. შ. სოფლის საერთო კუთვნილებად ითვლებოდა.

ტერასული მიწათმოქმედების ძველი კულტურის ამსახველი ძალზე საყურადღებო მასალა გამოვლინდა კასპის რაიონში. იქ მეურნეობაში წამყვანი ადგილი ძველად მიწათმოქმედებას ეჭირა, რომლის ინტენსიური დარგები მოაწყვაზე იყო დამყარებული. ამიტომაც მთის ძირის მთელი რიგი სოფლები, რომლებიც ფერდობზეა შეფენილი, ბალ-ვენახებისათვის ხელოვნურ ტერასებს იყენებდა. მიწათმოქმედების ტერასული სისტემა მესხურ-აჭარულთან შედარებით რიგ თავისებურებას შეიცავს. აქაც ეს თავისებურება ვლინდება, როგორც ტერასების მშენებლობის ტექნიკაში, ასევე მათ ტიპოლოგიასა და მდიდარ ტერმინოლოგიურ მასალაში.

ტერასული მიწათმოქმედების ანალოგიური ტიპი იმავე ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, არსებობდა თბილისის,<sup>76</sup> მცხეთის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონებში, განსაკუთრებით მათ მთაგორიან სოფლებში, სადაც დაწინაურებული იყო მებაღეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა. ახლა, როდესაც ჩვენს განკარგულებაში საკმაო რაოდენობით დაგროვდა საველე ეთნოგრაფიული მასალა, შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ მიწათმოქმედების ეს ძველი და რთული სამეურნეო სისტემა (ააწყვა-

76 ქ. სონღულაშვილი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959.

ტერასული მიწათმოქმედება) ძირითადად ლოკალიზებული იყო მტკვრის ხეობაში მთლიანად, მისი ზემო დინებიდან აღმოსავლეთით, ვიდრე საქართველოს საზღვრებამდე. იგი განივრცობოდა სიღრმითაც მტკვრის შენაკად ხეობებში (ურავლის, ფარავნის, ქვაბლიანის, გუჯარეთის, თეძეპის, ლიხვის, ქსნის, არაგვის, ალგეთის, ხრამის და სხვ.) საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. გამორიცხული არაა, რომ ტერასული მიწათმოქმედება მტკვრის ხეობაში სცილდებოდეს საქართველოს საზღვრებს, რასაც უთუოდ შემდგომი კვლევა გვიჩვენებს.

კასპის რაიონში ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ახალციხის საოფლო-სამბქოში შენაკადი სოფლები. ისინი ძირითადად მტკვრის მარჯვენა ხეობაში, თეძეპის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული. ეს სოფლებია: ერთაწმინდა, გუდალეთი, წინარები, თელათგორი, კავთახევი და სხვ.

სოფელ ერთაწმინდის სახნავეები განლაგებული იყო სოფლის ზემოთ მდებარე ტერიტორიაზე და ქვემოთაც, მდ. თეძეპის ქალღებზე. ქვემო სახნავეებს შეადგენდა: ფ ა ვ ე ნ ი ს ი, ნ ა ფ უ ძ რ ე ბ ი, ჩ ხ ი ე თ უ რ ა, კ ა დ ი ა ე ბ ი, კ ა კ ა ლ ა უ რ ი, ხ ო დ ა პ უ ნ დ ე ბ ი, ზ ე დ ა ჯ ვ ა რ ი. ზედა სახნავეებს შეადგენდა: ც უ ც უ პ ა ნ ი, თ ე თ რ ა წ ყ ა რ ო, ც ხ ი რ ე თ ი, ზ ე მ ო ც ი ხ ე, ს ა მ ე ბ ა, ფ ა ფ ი ე ბ ი, ჯ ვ ა რ ა, ს ა ბ უ რ თ ა ლ ო და სხვ. სოფელში, ეზო-კართან მდებარე მცირე ნაკვეთები ბოსტანს წარმოადგენდა, მტკვრის მხარეზე სახნავ-სათესების მომდევნო ტერიტორია ხეხილს ეკავა, ხოლო მისი მიმყოფი ზოლი ფერდობებზე — ვენახს. ზვრებიცა და ბაღებიც სოფლიდან 3-3,5 კმ-ით იყო დაშორებული. ეს მანძილი ხელს არ უშლიდა მეურნეობის მართვას, ნათეს-ნარგავების მოვლა-პატრონობას. პირიქით, სახმარო მიწების გამოყენება კულტურათა მოთხოვნალების შესაბამისად სწორედ ამ ინტერესს ემსახურებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ერთაწმინდაში თუ მის მახლობლად მდებარე სოფლებში, ბალსა და ვენახს, როგორც წესი, სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიქცეული ფერდობები ეკავა.

სოფელ ერთაწმინდაში დამოწმდა, რომ ძველად მარან-საწნახლები ვენახში ჰქონდათ გამართული. ახლა იმავე ზვრებში ამ ნაგებობათა ნაშთებია დარჩენილი. დაკრეფილ ყურძენს ადგილზე, ვენახშივე წურავდნენ, ხოლო ტყბილი სოფელში გადაჰქონდათ და იქ აღვინებდნენ. ეს წააგავს იმ წესს, რომელიც ძველად არსებობდა თრიალეთის ზოგიერთ სოფელში, რაზედაც ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა და ეთნოგრაფიულადაც დადასტურდა.

იმავე ეთნოგრაფიული მონაცემების მეორე ვარიანტი, ძველად, ერთაწმინდაში აქონდათ დადუღებული ღვინო პირველი გადაღების შემდეგ და არა ტყბილი, ისიც იმ რაოდენობით, რაც ოჯახს ყოველდღიურად სჭარ-

რდებოდა. ამ ვარიანტის სასარგებლოდ მეტყველებს მარან-საწინახლების სიმრავლე და მათი კაპიტალურობა. მარან-საწინახლები წარმოადგენდა 20-25 კვ. მეტრის ქვეითკართ ნაგებ მოპიწულ სახურავიან შენობას. აქ ჩამარხული იყო სხვადასხვა მოცულობის მქონე ქვევრები.

ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში ტერასის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერძინი იყო ხმარებაში. განასხვავებდნენ ბოსტინსა და ვენახის ტერასებს. ზოგადად მათ ბაქნეტი ეწოდება. იტყვიან „საბოსტნე დაებაქნე, მიწა ბაქნებად ან ბაქან-ბაქანად დავაყენო“ და სხვ. ბოსტნის ტერასი ყველა შიში შემადგენელი ნაწილით ტახტია, ხოლო მის ვაკისზე გამოცალკევებულ ნაკვეთს კვალი ჰქვია, კედელს კი, რომელიც ტერასას იცავს, ბაქანს უწოდებენ, ვენახში მდებარე ვაკისს — ეტს. საბოსტნე ტერასების ტერძინოლოგია უფრო მრავალფეროვანია. ეს უთუოდ იმით აიხსნება, რომ საბოსტნე კულტურების მოშენება და განსაკუთრებით მათი ინტენსიური რწყვა მოითხოვდა ტერასის უფრო მეტად დანაწევრებას ცალკეულ ელემენტებად. ესენია: ყათარი, ბაზო, შარი და სხვ. ტერძინები მომდინარეობს მიწის დამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებიდან (მიწის დაყათრვა, დაბაზოება, დაშარვა და სხვ.), რომელიც დამკვიდრებული იყო ქართლის მეზოსტეპობაში. ყათარი არის ტახტზე დამუშავებული და სანაკედლოთი გამოყოფილი მიწის ერთი მონაკვეთი ანუ კვალი, იგი თავის მხრივ კიდევ იყოფა მცირე სიდიდის კვლებად — ე. წ. ბაზოებად, სანაკედლოდან ამ ბაზოებში შედის წყალი, რომელიც თავის მხრივ შარებში ნაწილდება. შარი წარმოადგენს მიწის მცირე ზვინულს, რომელიც წყლის ნაკადს დაქანების მხრიდან ეღობება. ამ ზვინულებზე ანუ დაშარულ ზოლებზე ხდებოდა ბოსტნეულის (კომპოსტო, ხახვი, პრასი, წიწკა, ნიორი, პამიდორი და სხვ.) დარგვა.

დაშარვა ანუ კვლის დაყოფა ერთიშეორის პარალელურ სწორხაზოვან ზოლებად ხდება თოხის წვერით (ნილურით). შარები კეთდება ბაზოებზეც და ყათრებზეც. ყათარი და ტერასის სხვა მომდევნო ელემენტებიც შეიქმნება სხვადასხვა ზომისა იყოს. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა სიდიდისაა თვით ტახტი. ტახტის სიდიდეს კი განსაზღვრავდა რელიეფის ხასიათი, ადგილმდებარეობის დაქანება და ნიადაგის თვისება.

კასპის რაიონის აღნიშნულ სოფლებში ტერასის ვაკისების სიფართოვება 3 მეტრიდან 15 მეტრამდე აღწევს, სიგრძე კი ზევრად მეტია. ფერდის დატერასების ხალხური ტექნიკა, რომელიც ჩვენ კასპის რაიონში მტკვრის შენაკადის ხეობების მოსახლეობაში დავადგინეთ, ძალზე წააგავს ალგეთის ხეობის სოფლებში არსებულ წესს. ირკვევა, რომ ფერდობების დატერასების ტრადიცია აქაც საკმაოდ ძველია. იგი ორგანულად იყო დაკავშირებული სარწყავ მიწათმოქმედებასთან, რომელსაც ქართლის მთის-

ძირის მოსახლეობაში ძალზე დიდი ხნის იატორია აქვს.<sup>77</sup> ამ გარემოებაზე. სხვათადად, მეტყველებს კვლევის ობიექტებზე დადასტურებული უძველესი დროის იმ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა გადმონაშთები, რომლებიც გვაღვინა და ამინდის მაგიური მართვის ცერეპონილს უკავშირდება.

ეთნოგრაფიულ მონაცემებში ყველგან მითითებულია, რომ ქანობის მორწყვა მისი ბაქნებად გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო. ანიტომაც ყველა ოჯახი ცდილობდა, რომ როგორც სავენახე, ასევე საბოსტნე და ხეხილის მოსაშენებელი ნაკვეთები „დაებაქნა“. დაბაქნება იწყებოდა ფერდის ძირიდან ბარით და წერაქვით. ბარით მორღვეულ მიწას 1-2 მეტრით წინ გადაყრიდნენ, ე. ი. გვერდის მიმართულებიდან მიწას აკლებდნენ და ქანობის მიმართულებით უმატებდნენ. ფერდზე ტერასის შენება სიგრძითა და სიგანით ერთდროულად ხდებოდა. სიგრძივ დამუშავება ნებისმიერ მანძილზე შეიძლებოდა, განით ფორმირება კი შეზღუდული იყო. მას განსაზღვრავდა თვით რელიეფის ხასიათი, ქანობის სიდიდე-სიპცირე. ცხადია, არც პირველ და არც მეორე წელს ტერასა საბოლოო სახით არ ყალიბდებოდა. მისი ფორმირება ათეული წლის მანძილზე ხდებოდა. ამასთან, ფერდს იმგვარად არღვევდნენ, რომ მიწა გამოუყენებელი არ დარჩენილიყო და შესაძლებელი ყოფილიყო მისი მორწყვა. ტერასისათვის სრულყოფილი სახის მიცემა დიდ დროსა და მუშაჯგულს მოითხოვდა, ანიტომ გვერდიდან მიწის გადაღება ხდებოდა 1-2 ბარის პირის სიღრმეზე, ისე, რომ უნაყოფო ქვენიდაგური ფენა ერთიანად ზევით არ ექცეოდა. ეს გარემოებაც ნაკვეთის იმთავითვე ექსპლუატაციის საშუალებას იძლეოდა. ქართლის სინამდვილეში ტახტები ჭერ მცირე სიდიდისა იგებოდა, ასე, დაახლოებით 2-3 მეტრის სიგანისა. მიწას ჭერ 1-2 ბარის პირზე და 2-3 მეტრის სიგანეზე გადაილებდნენ, შემდეგ დაახლოებით ერთი მეტრის სიფართის საკედლე ზოლს გამოტოვებდნენ და ზედა ტახტის აგებას დაიწყებდნენ. ასე, ერთდროულად აშენებდნენ ორი ვიწრო სიგანის ტახტს. ამას წმინდა პრაქტიკული მოსაზრება ედო საფუძვლად,

77 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 32.

\* უკანასკნელ წლებში ქვემო ქართლში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაღვინა ადრესამიწათმოქმედო დასახლებანი (მულავერის გორა და იმჩის გორა). გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქვემო ქართლში იმ უძველეს ხანაში მიწათმოქმედება ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა. თუმცა მიწა ხელის იარაღით მუშავდებოდა, მაგრამ ათვისებული იყო სოფლის ირგვლივ მდებარე ფართობები. მიწის დამუშავებაში გამოყენებული იყო რაკიონალური საშუალებანი და როგორც ფიქრობენ, პრიმიტიული მორწყვა, ო. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ა. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ. 1971. გვ. 93.

იგი მიწის უქმად დარჩენას გამოიციხავდა. ბაჩით გადმოღებულ მიწას ისე გაავაკებდნენ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წყლის მიშვება, მორწყვა. შეჰდევ ნაკელს შეიტანდნენ და დათესავდნენ: სავინდას, ლობიოს, გააშენებდნენ ბოსტანს.

ტახტის კედლები როგორც წესი, შეუქმოსავე იყო. მეტი მდგრადობისათვის იგი რამდენადმე გადახრილი განოყავდათ. შესაძლებელია, შეკამოაი მანალოა უქონლობით აიხსნას ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ცდარობდა რაც შეიძლება ნაკლები საფეხურები, მაშასადამე, კედლები ყოფილიყო ტერასირებულ ტერატიორიაზე. ამიტომაც ახალნაგებ მცირე მასშტაბის, მაგრამ უკვე ფორმირებულ 2-3 ტახტს, მომდევნო წლებში, თანდათან ერთ დიდ ტახტად დააყენებდნენ, ზემო ტახტს, მიწის გადაღების იპავე წესით, ქვედა ტახტის დონეზე დაუშვებდნენ და ასე შეპიცირებდნენ საფეხურს. ამ ტენდენციას ადგილობრივი გლეხები ხსნიან იმ გარემოებით, რომ დიდი ვაკისა მქონე ტახტებზე მიწის ექსპლუატაცია, მისი დამუშავება და მორწყვა უფრო იოლია. ამასთან, ენახის მოაშენებლად უფრო მიზანშეწონილად დიდი მასშტაბის ტერასები მიჩნეიათ.

ნორმალურ ნიადაგურ-რელიეფურ პირობებში (როდესაც ნიადაგი გამოირჩევა კარგი სტრუქტურით და სიღრმით, ხოლო ადგილი — ნორმალური დაქანებით) ერთ მუშაკს, როგორც ამას ადგილობრივი გლეხები აღნიშნავენ, ერთი კვირის განმავლობაში შეეძლო 4-5 მეტრის სიგანისა და 20 მეტრის სიგრძის ტახტი გაეკეთებია. მაგრამ ყველა ადგილი არ იძლეოდა ასეთი ინტენსივობით მიწის მოვაკების საშუალებას. სოფელ ერთაშენდის მცხოვრებს, გამოცდილ მეურნეს, სინკო-პაპა ბარნოს (103 წ.) ე. წ. „მკედლიანთ“ ადგილზე 1924 წელს, მაშასთან ერთად, დაუწყია ტახტების შენება. იქ სულ ოთხი ტახტია, რომელთა საბოლოო ფორმირება მხოლოდ ორმოცდაათიან წლებში დაუსრულებიათ.

ჭალებისა და ვაკე ადგილების გარდა ქართლში პურის სათესად მთის ძირის ფერდობებსაც იყენებდნენ. მიწა გუთნით იხვენებოდა და რამდენიმე უღელ ხარს მოითხოვდა. მას ფრთიანი ქუსლი ჰქონდა, რომლის წყალობით მოხნული მიწის ბელტი ბრუნდებოდა და ერთ მხარეზე წვებოდა. ამგვარ ხვნას ცალ ფთა, ხოლო ნახნავს ნა ფთ ე ვ ი ეწოდებოდა.<sup>78</sup> გუთანი ცალფა ხენით ერთ ხენაზე გვერდიდან ქანობისაკენ დაახლოებით სამ-ოთხ ვერშოკზე დასწევდა მიწას. ერთდამავე ნაკვეთის სისტემატური ხენა თანდათან ავაკებდა ფერდს, ავალიბებდა ტერასას, ზემოთაღნიშნულ

78 შდრ. „ცალნაფთი ხენა“ — ალკეთის ხეობა. ფერდზე გუთნით ხენას გარკვეული სიძნელე ახლდა. კვალის გატანა მხოლოდ ერთი მიმართულებით ხდებოდა. კვალის დასასრულს, შემობრუნებისას, გუთანს — გადააქცევდნენ“ და საწყის ადგილამდე უქმად გამოატარებდნენ. დუშეთის რაიონში ასეთ სახნავენს „საცალკვალ მამულს“ ეძახდნენ.

სოფლებში ბევრია ისეთი ადგილები, ნაყანევი მინდვრები, რომლებიც ერთ-მეორას მიმდევარ საკმაო სიდიდის ტერასებს წარმოადგენს და გაჩენილი არის ხენის ზემოთაღნიშნული წესით. ეს ტერასები ერთმანეთისაგან გამიჯნული არის კორდიანი კედლით. ნაფთევი ფაქტიურად ტერასის ტიპია, რომელაც ალგეთის ხეობაში ბეჭის, ხოლო მესხეთში ლარის სახელწოდებით იყო ცნობილი. გუთნით ფერდის დავაყება დიდი დრო სჭირდებოდა. ამიტომაც ზოგიერთ ადგილზე ტერასები სრულყოფილად ჯერაც არაა ჩამოყალიბებული.

ტერასის სრული გავაყების შემდეგ მიწა პირველ წელიწადს ერთი მაშართლებით იხვენებოდა, მომდევნო წელს — საწინააღმდეგო მხარეს, ე. ი. თუ ერთხელ ბელტი გარეთ გადადიოდა, მეორე წელს შიგნით უნდა ჩაბრუნებულიყო, რის გამოც აღარ ხდებოდა მიწის მხოლოდ ერთ მხარეზე გადანაცვლება. ხენის ეს წესი იგივეა, რაც ნახურგზე და ნალარზე ხენა, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. საერთოდ, ამ ტექნოლოგიით მიწის დამუშავების პრაქტიკული მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო. იგი ითვალისწინებდა ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას, ტენიანობის ამაღლებას, ამავე დროს წარმოადგენდა ეროზიის წინააღმდეგ მიმართულ ეფექტურ აგროტექნიკურ საშუალებას.<sup>79</sup>

ეტი. როგორც ითქვა, დიდი ფართის მქონე ტერასია და განკუთვნილი იყო ვაზის მოსაშენებლად. ვენახი (დაბლარი) ერთიმეორისაგან 80-100 სმ. დაშორებით ირგვებოდა, ამასთან, მწკრივის და რიგს ისეთი სიმკაცრით არ იცავდნენ, როგორც დღეს. ამათ იმ გარემოებით ხსნიან, რომ ძველად ვაზი არ იწაშლებოდა, ერთხელ იბარებოდა და ორჯერ ითოხნებოდა. გამრავლება ხდებოდა გადაწონდვით. რქას, საითაც იგი გადაწვებოდა ან რომელ მხარესაც იყო გადასაწინდავი ადგილი, იქით ამოუშვებდნენ. სხვა ნარგავებიდან ვენახში მხოლოდ ატამა თუ მოაშენებდნენ. ეს ტრადიცია თუკა ძველია, მაგრამ დღესაც ცოცხლობს. აღსანიშნავია, რომ ატამი ზანანა არ აყენებენ ვენახს. ჯერ ერთი, იგი დაბალტანაანი მცენარეა, ტოტები გაშლილი, მენჯური აქვს და ჩერო სუსტი, ამასთან იგი 5-6 წელიწადზე მეტს არ ცოცხლობს.

სოფელ ერთაწმინდის ზვრები მდ. თემების მარჯვენა სანაპიროზე მთლიანად ტერასებზეა გაშენებული. თითოეული ტერასის სიგანე საშუალოდ 7-დან 15 მეტრს აღწევს. საერთოდ, მთელი ტერიტორია გრანდიოზული კიბის შთაბეჭდილებას სტოვებს. ცალკეულ კომლთა დატერასებული ნაკვეთები ერთმანეთზეა გადაბმული, მაგრამ გამაჯნულია ე. წ. სამი-

<sup>79</sup> ეს საკითხი ჩვენ უკვე გვქონდა გაშუქებული, როდესაც მესხეთის ტერასულ მიწათმოქმედებას ვიხილავდით, ამდენად, აქ მასზე აღარ ვამახვილებთ ყურადღებას.

ჯნე ნიშნით „სამანითა და მოწმით“. სამანი წარმოადგენს ვერტიკალურად დაყენებულ ქვის სვეტს; სხვა ქვისაგან გამოსარჩევად მის გვერდით მკირე ზომის მეორე ქვა მოწმეა დაყენებული. ტერაზებზე დაბლარი ვაზია გაშენებული, ხოლო აქა-იქ ატაში. ნარგავთა შორის ლობიო ეთესათ. ტერაზა კედლები, რომელთა სიმაღლე მეტრზე ნეტა, შეუმოსავეია და ყველგან დაფარულია კორდით. ყოველი ტერაზის კედლის ძირში გაყვანილია წყლის შემოსასვლელი მიწა რუ ე. წ. სანაკედლო.

ჩვენი კვლევის ობიექტზე ვაზის გავრცელებული ჭაში იყო ჩინური, საფერავი და თავკვერი. ხილის ნარგავებს ტერაზის პირისა და კედლის ძირის გაყოლებით აშენებდნენ. ნარგავთა შორის ადგილი უქმად არ რჩებოდა. დაბარვისა და დათხნის შემდეგ იქ ბოსტნეული და სხვა ქირანახული მოჰყავდათ. დიდი სიფართის მქონე ვაკიებზე ხეხილს 2-3 რიგად, ქადრაველი განლაგებით, ერთმანეთიდან 6-8 მეტრით ინტერვალით აშენებდნენ.

განხილული მონაცემების შედეგად შეიძლება მტკიცედ დავასკვნათ შემდეგი: ქართლსა (კაპის რაიონი) და თრიალეთში (თეთრიწყარო რაიონი) არსებული ტერაზული მიწათმოქმედების ძირითად თავისებურებად მიჩნეული უნდა იქნას ის, რომ იგი დაკავშირებული იყო არაბაბტო მიწათმოქმედების ისეთ ინტენსიურ დარგებთან, როგორცაა მევენახეობა და მეზღლეობა, არამედ ასევე მებოსტნეობასთან. მეურნეობის ეს დარგები ხელოვნური მოარწყვის საფუძველზე ვითარდებოდა.

საბაბტო ბალ-ვენახის ტერაზები, რომლებსაც ქართლსა და თრიალეთის აღნიშნულ რაიონებში თახტები ეწოდება, კედელშემოსავლია და ამ მხრივ განსხვავდება მესხური დარეჯებისაგან. მიუხედავად ამისა, ტერაზის ტიპებსა და, რაც მთავარია, ტერაზული მიწათმოქმედების ხასიათს შორის ბევრი საერთო ნიშანი დასტურდება, რაც ამ კულტურის განვითარების ერთიანი ჭაჭვის მაჩვენებელია.

თახტების მშენებლობის ტექნიკა ეტაობრივი და რთულია. ტერაზების ეს ტიპიც ერთ-ერთი უძველესია საქართველოში.

აღნიშნულ რეგიონში ცალკე გამოყოფა კორდის კედლიანი ანუ ლარის ტიპის ტერაზები. მათი ცალკე გამოყოფის საფუძველს გვაძლევს კონსტრუქციული და სხვა თავისებურებანი. ეს ნაკვეთები წარმოადგენდა ცალკეულ ოჯახთა მფლობელობაში არსებულ სახანგ-სათესა ბაქნებს, რომლებსაც ერთმანეთისაგან მიჯნავდა უხნავი, დაკორდებული ზოლი.

ამგვარად, ტერაზულმა მიწათმოქმედებამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მტკვრისა და მათი შენაკადი მდინარეების ხეობებსა და ხევისპირებში. ამ რეგიონში ტერაზული მიწათმოქმედება ირიგაციული ხასიათისა იყო.

თუ არათერს ვიტყვით მდინარის პირის ბაქნებზე, აღმოაველეთ საქართველოში ძირითადად ჰამი სახის ტერასი გამოიყოფა: ქვისკედლიანი (დარეჯი, სეჟვი) ბალ-ვენახისათვის, მიწისკედლიანი (თახტი) ბალ-ბოსტან-ვენახისათვის და კორდისკედლიანი ლარის ტიპის ტერასი ხნავ-სათესისათვის. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია ურწყავი მიწათმოქმედებისათვის. იგი თავისი ბუნებით განსხვავდება ზემოთაღნიშნული ტიპის ტერასებისაგან და წარმოშობის თვალსაზრისით მიწის საკუთრების ფორმასთან დაკავშირებული ჩანს.

## II. მიწათმოქმედების დარგთა ორგანიზაცია და კულტურათა გამოშვების წესი

საქართველო გამოირჩევა გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობით. სხვადასხვა კლიმატურ ზონაში მოქცეული მისი ცალკეული კუთხეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არამარტო ბუნებრივი პირობების თავისებურებებით, არამედ მეურნეობრივი პროფილით. საქართველოს რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ, მისი ცალკეულ მეურნეობრივ დარგთა განვითარება მიმდინარეობდა მეურნეობის იმ უპირატესი ნიშნით, რომელიც უფრო მეტად პასუხობდა მოცემული გარემოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს. ზონალურად და, მაშასადამე, მეურნეობრივი პროფილით ამ განსხვავებულ კუთხეებს ისტორიულად ახასიათებდათ ის მკვიდრო კულტურულ-ეკონომიური კავშირი, რომლის წყალობით ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო დარგთა ნიველირება. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ საყურადღებო გარემობასაც, რომ მეურნეობრივ-დარგობრივი განსხვავება და დაყოფა განცალკევებული, იზოლირებული კი არ იყო, არამედ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული.<sup>80</sup>

აღნიშნულს გარდა, ეთნოგრაფიული მონაცემებით აშკარად ვლინდება განსხვავებულ სამეურნეო-გეოგრაფიულ ზონებში ერთდამივე ჰაზო-გადობის მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის მეურნეობრივ-დარგობრივი საქმიანობის ძველად არსებობა. იგი დარგობრივად რთულ, მაგრამ ერთ მთლიან სამეურნეო სისტემით არის წარმოდგენილი. ეს არის ქართული სამიწათმოქმედო ყოფის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება.

საქართველო მთად და ბარად იყოფოდა. ამასთან, მთას კიდევ თავისი მთა და ბარი ჰქონდა, მაგრამ მთის ზონის ბარი კლიმატურად მკვეთრად

<sup>80</sup> მ. გ. გ. გ. შ. შ. შ., აკად. ივ. ჭავჭავაძის საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირ-ურთიერთობის შესახებ, მაცნე, 1973, № 2, გვ. 41.



განსხვავდებოდა დაბლობისაგან და არ იძლეოდა მიწათმოქმედების ყველა დარგის განვითარების საშუალებას. იქ არ ხარობდა ვაზი, აუ მოდიოდა ხეხილი. ამ გარემოებათა გამო ძთელ რიგ კუთხეებში მთის ზონის სოფლები ვაზისა და ბალ-ბოსტანის მოსაშენებლად იყენებდა დაბალ ზონაში, ძდინარეთა ხეობების ძირში მდებარე მიწებს. ეს მიწები ახლოს მდებარეობდა სოფელთან, მაგრამ მთა-ბარის გამო მათ შორის საგარძნობი იყო ზონალური სხვაობა.

ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელიც მოპოვებულ იქნა ჭავჭავთში, მესხეთში, თრიალეთში და სხვა კუთხეებში.

„...ჭავჭავთი არს, ვითარცა თრიალეთი უვენახო, უხილო, უტყუო, ვიეთთა ადგილთა სწუენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთივე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუტდენელი. ზამთარი დიდი თოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი“.<sup>81</sup> ასე ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი ბუნებრივ და მეურნეობრივ პირობებს.

ვახუშტი საქართველოს სამხრეთ პროვინციების აღწერისას არაერთგან აღნიშნავს ამ კუთხეების ბუნებრივი პირობების თავისებურებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აღწერის ის ნაწილი, სადაც საუბარია გეოგრაფიულ ზონალობასა და რელიეფურ სიტუაციაზე, რომელიც განაპირობებს კლიმატური პირობების თავისებურებას. „არს სამცხე შიგნით მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ეკლიან-კლდოვანი, მაგარი, მთა-ბართა სიახლოვითა, ვენახიანი, ხილიანი მრავლად მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ“.<sup>82</sup>

იქ, სადაც საუბარია სამხრეთ საქართველოს კუთხეთა ზოგად დახასიათებაზე, ვახუშტი ამბობს: რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ეძმისა ანუ ნახევარეძმისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“.<sup>83</sup> ე. ი. აღნიშნულ კუთხეებში მთა და ბარი იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ მათ შორის მანძილი ნახევარ ან ერთი დღის სავალს შეადგენსო. ვერტიკალური ზონალობა, რაშიც ავტორი კლიმატურ პირობებს გულისხმობს, მკვეთრადაა გამოხატული დახასიათებაში.

მთა და ბარის ასეთი სიახლოვე, რომელსაც არაერთგზის აღნიშნავს ვახუშტი, იყო ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების თავისებური ტიპის ჩამოყალიბება. მისი ძირითადი ნიშანია მთა-ბარული მიწათმოქმედება, მიწათმოქმედების სპეციალიზაცია (მემინდვრეობა, მევენახე-

<sup>81</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ, 1941, გვ. 131.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 129.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 121, 134. 136.

ობა-მებაღეობა) ზონების შესაბამისად და მესაქონლური მეურნეობა. მაგრამ ეს მესხეთის და საერთოდ სამხრეთის პროვინციების სამეურნეო ყოფის მხოლოდ ერთი მხარეა. აქ ხაზი უნდა გაესვას მიწათმოქმედების თავისებურ ტიპს, რომელიც მესხეთისა და ჭავჭავეთის მთის სოფლებში ისტორიულადაა ჩამოყალიბებული. ეს არის მეურნეობის საკმაოდ რთული ფორმა, რაც გამოიხატება არამარტო დარგთა მრავალფეროვნებით (მეზინდერეობა, მევენახეობა, მებაღეობა და სხვ.), არამედ მიწათმოქმედების ზონალური ხასიათით. ველზე მუშაობისას გამოირკვა, რომ ჭავჭავეთის ზეგნისა და მესხეთის მთის ზოგიერთი სოფელი ორი განსხვავებული ზონის სამიწათმოქმედო მეურნეობას მისდევდა. ავიღოთ თუნდაც ჭავჭავეთი. იგი მართლაც უხილო და უვენახო იყო თავისი მკაცრი კლიმატური პირობების გამო.<sup>84</sup> ის წარმოადგენდა ძირითადად პურისა და მესაქონლეობის მხარეს. მაგრამ ზემოთ, პლატოზე მდებარე ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა მევენახეობასა და მეხილეობასაც მისდევდა, რისთვისაც იყენებდა მტკვრისა და ფარავნის ხეობის ძირში მდებარე მიწებს („ბაღები ხრამებში გვექონდა“. — აღნიშნავენ დღესაც), რომელიც რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული სოფელს. მესხეთ-ჭავჭავეთი იძლეოდა მეტად ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგთა განვითარებისათვის. მისდევდნენ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის მოშენებას. ვაკე ადგილებზე მარცვლეულის თესვას, მდინარეთა ხეობებში, მთის ქვედა და შუა კალთებზე ინტენსიური კულტურების ვაზისა და ხეხილის მოშენებას. ოსმალთა ბატონობის გარკვეულ პერიოდში ჭავჭავეთში არსებობდა მევენახეობა, რისი მალწყებელია ტბილის ანუ შირის გადასახადის გაწერა მევენახეობის მიმდევარ გლეხებზე.<sup>85</sup> მაგრამ საკუთრივ ჭავჭავეთის პლატოზე ვაზის არსებობა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს,<sup>86</sup> ნაკლებ რეალურად გამოიყურება. საველე მონაცემებით. მართალია, ჭავჭავეთის ზოგიერთი სოფელი მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მისდევდა მევენახეობასაც, მაგრამ არა ჭავჭავეთის გაშლილ ზეგანზე, არამედ დაბალ ზონაში, მტკვრისა და ფარავნის ხეობებში, მთის ფერდობებზე. მეორეს მხრივ, მიწათმოქმედების აღნიშნული

84 ახალქალაქი ზღვის დონიდან 1715 მ. მდებარეობს.

85 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. III, თბ., 1941, გვ. 215.

86 შ. წიქვაძეს ახალქალაქის მიდამოებში ვაზის არსებობის საბუთად მიაჩნია ზემოთაღნიშნული შირას გადასახადი და კლიმატური პირობები, რაც ადრე აქ ტყის სიუხვის გამო სხვა უნდა ყოფილიყო (შ. წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში, თბ., 1958, გვ. 118). ტყის ლანდშაფტი, უდაოა, ქმნის ხელსაყრელ მიკრო-კლიმატურ პირობებს და არეგულირებს წყლის რეჟიმსაც, მაგრამ ვაზის არსებობა პლატოზე არც ეთნოგრაფიულად და არც ისტორიულად არ დასტურდება.

დარგების (მევენახეობა-მებაღეობა) განვითარება მესხეთში შეაძლებელი იყო ხელოვნური მორწყვის წყალობით, რაჲც ტერასული მიწათმოქმედების მძლავრი აღმავლობა განაპირობა.

ხეობათა ფერდობები და მდინარეთა ქალები წარმოადგენდა აგრეთვე სახანძრო საძოვრებს. ადგილობრივ მოსახლეთა სამეურნეო ცხოვრება მიმდინარეობდა ეკოლოგიურ პირობათა განახევებულ, მაგრამ გეოგრაფიულად ახლო მდებარე მიკროზონაში: მთასა და ბარში (ზეგანსა და ხრამში) მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების რთული პროფილებით. მეურნეობას აქ მყარი საფუძველი ჰქონდა, აშკარად გამოხატული ინტენსიური მიწათმოქმედების ყველა ნიშნით.

დღეს არავის ახსოვს თუ რა დროიდან იყო შემუშავებული საქონლის მოვლა-პატრონობისა და მიწათმოქმედების ორგანიზაციის აღნიშნული წესები. მეურნეობის სირთულე როდი აიხსნება მხოლოდ ბუნებრივ პირობათა თავისებურებით. იგი ბევრ შემთხვევაში ნატურალური მეურნეობის ბუნებიდან გამოქმდინარეობდა. წვრილ მეურნეობას საკუთარი მოხმარებისათვის უხდებოდა სხვადასხვა დარგის წარმოება, ამიტომ ყველა საგლებო ფუძე შეაძლებლობის შემთხვევაში მისდევდა როგორც შემინდვრეობას, მევენახეობას, მეხილეობას, ასევე შესაქონლეობას, მეფუტკრეობას და სხვ. ამათგან რომელიმეს დაწინაურება დამოკიდებული იყო კონკრეტულ ეკოლოგიურ ფაქტორზე.

სახმარი მიწის ძირითადი ნაწილი მესხეთ-ჭავჭავთვში განლაგდებოდა დასახლებების, ეზო-კარის მახლობლად; მას ნაფუძარი ეწოდებოდა. მესხეთ-ჭავჭავთვი ნაფუძარი განსხვავდება აკრული, რაკული და, საერთოდ, დასავლურ-ქართული საკარმიდამო მეურნეობისაგან. ამ განსხვავებას ქმნის თვით დასახლების ფორმათა ლოკალური თავისებურებანი. ერთი მხრით (დას. საქართველო) გვაქვს კარმიდამული ანუ გაფანტული, როდესაც საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ნაფუძარზეა განლაგებული, მეორე მხრით (აღმ. საქართველო), შემჭიდროებული დასახლება, სადაც ყველა სამეურნეო ნაკვეთი დასახლების ფარგლებს გარეთაა მოქცეული. განსხვავებას ქმნის აგრეთვე მეურნეობის სტრუქტურა. მესხეთ-ჭავჭავთვში ნაფუძრები წარმოადგენდა მარცვლეული კულტურების მოსაყვან ნაკვეთებს, მცირე ადგილი ბოსტანსაც ეთმობოდა. ბაღ-ვენახი კი „ხრამში“ მთის ძირის ფერდობებზე იყო მოშენებული, რომელიც დასახლების ქვევით, მისგან საგრძნობლად დაშორებით მდებარეობდა; ტერატორიის ამგვარი ორგანიზაციის ცალკეული შემთხვევები დამოწმდა ქვემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის მთის სოფლებში. საყურადღებოა მტკვრისა და ფარავნის ხეობებში მოპოვებული ახალი მასალა.

როგორც მეურნეობის სტრუქტურის, ასევე სახმარი მიწის ორგანიზაციის თვალსაზრისით მეტად საინტერესო სურათს იძლევა გოგაშენის,

კრწქარის, თმოგვის, ვარგაის, თოკის და სხვა სოფლების შესწავლა. სოფ-  
ლები: კიშკარი და გოგაშენი ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებ-  
აა. სოფელი გოგაშენი მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეზე ჭავჭავ-  
თის პლატოზეა გაშენებული, სოფელი კაჭკარი კი მტკვრის ნარცხენა მხა-  
რეზე მცირე კონუსისებური ხევის ქვაბულზეა განლაგებული. მაშასადამე,  
ისინი ჰავით და კლიმატური პირობებით განსხვავებულ მიკროზონაში არის  
მოქცეული. ამ ორ სოფელს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშო-  
რებული არიან დაახლოებით ხუთი თუ ექვსი კილომეტრით, სიმაღლის  
სხვაობა შეადგენს 500-600 მეტრს. ამიტომაც ისინი ერთმანეთისაგან მეუ-  
რნეობის პროფილითაც განსხვავდება. თუ სოფელი გოგაშენი წარმოად-  
გენდა მეზინდვრობისა და მესაქონლეობის მნიშვნელოვან ობიექტს, სო-  
ფელი კაჭკარის ძირითადი სამეურნეო ასპექტი იყო მევენახეობა და მე-  
ბაღეობა. ერთიც და მეორეც ისტორიულად ჩამოყალიბებული, დასრუ-  
ლებული სახის დაახლებული პუნქტებია. გლეხის საოჯახო მეურნეობა,  
მთლიანად ეკონომიკა განპირობებული იყო ორივე პუნქტში წარმოებუ-  
ლი სამეურნეო პროდუქტით. ამ სოფელთაგან ერთ-ერთი მეორისათვის  
სამეურნეო ბაზის წარმოადგენდა, რომლის გაჩენა და განვითარება სა-  
არსებო პირობების აუცილებლობას განაპირობებდა, მაგრამ დღეს  
ძნელი დასადგენია თუ რომელი იყო ძირითადი და რომელი დამხმარე  
სამეურნეო ობიექტი. ერთი ვარიანტით, უძველესია სოფელი გოგაშენი,  
რომლის მოსახლეობა ძველად, თამარ მეფის დროს ბარში (სოფელ კაჭ-  
კარში) ვაზის მოშენებას მისდევდა, ხოლო ზეგანზე, ე. ი. საკუთრივ გო-  
გაშენში სახნავ-სათესები და სათიბ-საძოვრები ჰქონდა. მეორე ვერსიით  
უძველესი სოფელია კაჭკარი. მისმა მოსახლეობამ მიწის ნაკლებობის გა-  
მო გოგაშენზე გაიჩინა სახნავ-სათესები. პირველ ვერსიას მხარს უჭერს  
ის გარემოება, რომ სოფლის ძველი სასაფლაო ჭავჭავთის პლატოზე ე. ი.  
სოფელ გოგაშენზე ჰქონდათ და არა სოფელ კაჭკარში. ინფორმატორებმა  
დასძინენ: „ჩვენი მოხუცები რო სიკვდილის მოახლოებას იგრძნობდნენ,  
გოგაშენს ითხოვდნენ წაყვანას, იქ ირჩევდნენ დასაფლავებას, პაპათა სა-  
საფლაო იქა იყო“. ჩვენს ხელთ ჭერ-ჭერობით ეს ერთადერთი მონაცემია,  
რომელიც პირველადობას გოგაშენს მიაწერს, ამას გარკვეული მნიშვნე-  
ლობა აქვს მეჩხეთ-ჭავჭავთის მოსახლეობის სამეურნეო კულტურის შეს-  
წავლა-ათვის. ვამოდის, რომ მეზინდვრობისა და მესაქონლურ მეურნე-  
ობას მიმდევარი მთის სოფლის მოსახლეობა, რომელთა სამოქმედო სფე-  
რო კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო შეზღუდული იყო, მი-  
წათმოქმედების სხვა დარგთა (მევენახეობა, მეხილეობა) წარმოებისათ-  
ვის დაბლობში ეძებდა და იჩენდა სამოქმედო ობიექტს. აქვე შეიძლება  
ითქვას, რომ მეჩხეთში, დაავლეთ საქართველოს კუთხეებთან შედარებ-  
ით, სადაც დამხმარე სამეურნეო ბაზის გამოძებნა მესაქონლეობის ინტე-

რესებით იყო ნაკარნახევი, არსებითად საწინააღმდეგო მოვლენათან გვაქვს საქმე.

სოფელ ქაჭკარს თავისი სარწყავი წყალი ჰქონდა. ეს იყო ხრამის თავში გამოძინიარე „მახარულას წყალი“. მას სხვა მცირე წყაროებიც უფროდებოდა და სოფლის ზემოთ ხელოვნურ საგუბარში იყრიდა თავს. საგუბარიდან გატანილი იყო სარწყავი რუ. რომელიც გზადაგზა ცალკე ტოტებად იყოფოდა და ყველა კარშიდამოში აღწევდა.

სოფელ ქაჭკარის ქვაბისებური მდებარეობის გამო ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობები იქმნებოდა ვაზისა და ყოველგვარი ხეხილის მოსაშენებლად. ძველად იქ ძალზე განვითარებული იყო მევენახეობა და მებღლეობა. ამ ინტენსიურ კულტურათა ფართო მამტაბებსა და განვითარებაზე ძიგვითითებს არამარტო ეთნოგრაფიული მონაცემები, არამედ მატერიალური კულტურის ნაშთები და ასწლოვანი ვაზის ეგზემპლარები. ერთ-ერთი ასეთი ვაზი აკაკი ხუციშვილის ბღში ე. წ. „ვედრულაზე“ ხარობს და დღესაც ნაყოფს იძლევა. იქვე არის კლდეში ნაკვეთი საწნახელი. ამჟამად საწნახლის ფასადის ერთი ნაწილი ქვის მშრალი წყობითაა ამოშენებული და თივის შესანახად არის გამოყენებული. საწნახელი სწორკუთხა ფორმისაა. წვენი გასაყვლეღად ერთ ბოლოში დატანებული ჰქონდა ხერელი, საღდანაც წვენი ქვისავე ორმოში გროვდებოდა. საწნახლის წინ მდებარე მცირე ვაკობი მარანს წარმოადგენდა, სადაც რამდენიმე ქური იყო. აღნიშნულის გარდა, სოფელ ქაჭკარში დამოწმდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის კლდეში ნაკვეთი ათზე მეტი მარან-საწნახელი: ცოკარიძეებისა — „მახარულზე“, ნათენაძეებისა — „წალკოტში“, „ბიბელაურში“, „ქვემო ნაწყაროვზე“ და „ვენახეში“ ლაზიშვილებისა, ხოსტაშვილებისა, თაქთაქიძეებისა და სხვა. ამგვარად, კლდეში, რომელიც სავი მხარიდან რკალისებურად ეკვრის სოფელს, შექმნილია საწნახლების მთელი სისტემა, რომელთა მშენებლობის შესახებ დღეს არაფერი ანსოვთ, თუმიცა მოსახლეობა ამ კულტურის შექმნას თამარ მეფის პერიოდსა და ვარძიის აყვავების ხანას მიაწერს.

ბღებში ყველა ოჯახს ედგა მიწური საცხოვრებელი სახლი, სათანალო საოჯახოებით და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებათ (მარანი, საწნახელი, ფურნე, საბღელი და სხვ.). სახლთან მდებარე მიწა-წყალი ხელოვნურად იყო დატერასებული. ვენახს ძირითადად მალღარს ამენებდნენ. ძველად ყურძნის ათამდე ჭიში არსებულა, ამათგან ახლა მხოლოდ რამდენიმეს ანახელებენ: „ცხენის ძუძუ“, „ხარისთვალა“, „შავი“ და სხვ. ხალხის მესსიერებაში ძირითადად იმ ვაზის სახელებია შემორჩენილი,

რომლებიც გადაურჩა უამთა მსველელობას.<sup>87</sup> ვაზს კაკალზე, მსხალზე, თუ-  
 თაზე და სხვა მაღალ ხეებზე უშვებდნენ. „ხე დაბერდებოდა, წაიქცეოდა,  
 ვაზიც ჩამოვარდებოდა და მიწაზე ეგდო დიდხანს. იმ ადგილზე სხვა ხე ამ-  
 ოვიდოდა. ვაზი ახლა ამ ხეს აპყვებოდა და ისევ ხარობდა. შემდეგ ის ხეც  
 დაბერდებოდა, წაიქცეოდა, ვაზიც ჩამოვარდებოდა და ეგდო სანამ იქ  
 ახალი ხე არ გაჩნდებოდა“. ასე მოგვითხრობენ ადგილობრივი მცხოვრებ-  
 ლები გადარჩენილი ვაზის ეგზემპლარებზე. მევენახეობა-მეღვინეობის  
 ფართო მასშტაბებისა და განვითარების მაღალი დონის მიუხედავად ბო-  
 ლო საუკუნეებში ეს კულტურა მესხეთის ზოგიერთ ადგილზე მივიწყებუ-  
 ლი აღმოჩნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2-3 სოფელს. „ღვინო მა-  
 მა-პაპისაგან დაიწყებული იყო და ჩვენც აღარ ვეტანებოდით ღვინას  
 წურვავა. იმდენხანს ვიყავით თათრის ხელში, 300 წელიწადი, ღვინოს  
 ვინ დაწურავდა. თათრების შემდეგ აქ სულ განადგურდა ვაზი“,<sup>88</sup> — აღ-  
 ნიშნავენ გლეხები. ჩანს, ხალხის მეხსიერებაში შემონახულია ის ბარბა-  
 როსული თარეში, რომელიც თან ახლდა მტრის ყოველ შემოსევას. თუ-  
 რაქებმა ადრე არსებული ვაზის ჯიშები გაჩეხეს, გადაწვეს ტყეები, რამაც  
 უფრო მეტად შეუწყო ხელი ვაზის მოსპობას. მიუხედავად ამისა, ოსმალ-  
 თა ბატონობის დროს ვაზი სავსებით არ გაქრალა მესხეთში. ამაზე მეტ-  
 ყველებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაცული მასალა  
 ტკბილის გადასახადის შესახებ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილო-  
 ბრივი გლეხობა ვაზს აღარ უთმობდა დიდ ყურადღებას, აღარ უვლიდა  
 მას ძველებურად. „ვაზის ცალკეული ნარგავები ხეებზე ბუნებრივ მდგო-  
 მარეობაში დიდხანს ინარჩუნებდა სიცოცხლეს და ამ ერთეულმა ნარგა-  
 ვებმა ჩვენამდეც მოაღწია, როგორც ისტორიულმა მოწმემ იმ დიდი ტა-  
 ნჯვისა, რაც თავს გადახდა ქართველ ხალხს უცხო დამპყრობლებისაგამ“.<sup>89</sup>

ვაზფხულზე ოჯახის წევრები, მეტწილად ხანშიშესულები, მთის  
 სოფლიდან „ხრამში“ ინაცვლებდნენ, მათ თან მიჰყავდათ 1-2 მეწველი  
 ძროხა, რათა ყოველთვის ჰქონოდათ რძისა და რძის ნაწარმის გარკვეული  
 მარაგი. ბარში ჩასულები ბალ-ვენახს უვლიდნენ, წმენდდნენ არხებს, ბა-  
 რავდნენ მიწას. სხლავდნენ ვაზს, რწყავდნენ და სხე.

ხრამის მიწა-წყალმა, როგორც ერთ-ერთმა ძირითადმა და მუდმივმა  
 სამეურნეო ობიექტმა, დიდხანს შეინარჩუნა თავისი ეკონომიური მნიშე-

87 ვაზის ძველი გავრელებული ჯიშები ნაპოვნია ახალციხის რაიონის სოფ. აწყუ-  
 რის, წინუბნის, გურჯელის, კლდის, წოხეტევის, ანდრიაწმინდის, ოხერას, ტობის,  
 წყორძის, მუსხის, წრიოხის, ახალციხის, მარტის, რაბათის, საფარის და აგარის მონას-  
 ტრის მიდამოებში (შ. წიქვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24).

88 ილარიონ ლუარსაბის ძე ოსანაძე, 77 წლის, სოფელი ზემო თმოგვი, 1973, ეთ-  
 ნოგრაფიული მივლინების დღიური.

89 შ. წიქვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

ნელობა. ზოგიერთ სოფელში ახლაც იყენებენ ხრამის მიწებს; მახალა, ვაშლი, თუთა, ქლიავე, ჭერაში, შინდი, კაკალი და სხვ ხეხილი შესანიშნავად ხარობდა და კარგ მოსავალსაც იძლეოდა; ხეხილს ჰქონდა როგორც ნატურალური მოხარების, ასევე სასაქონლო მნიშვნელობა თითოეული ინდივიდუალური მეურნეობისათვის. ნედლი და მითუმეტეს ხმელი ხილი, ხილის ნაწარმი, ბაქმაზი, ტყლაპი, ჩირი და სხვ. ვასაყიდად მიჰქონდათ ჯავახეთში, სომხეთში და სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებში.

სოფლად დარჩენილი ოჯახის წევრთა მთავარ საქმიანობას გაზაფხულზე შეადგენდა ხენა-თესვა, საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება. თუ მთელ ზაფხულს საქონელი მთის საძოვრებზე ძოვდა, შემოდგომაზე თანდათან დაბლა, ბარისაკენ ინაცვლებდა. ზამთარში წვრილფეხა ხრამში ჩაჰყავდათ და ფერდობებზე აძოვებდნენ, მსხვილფეხას კი მთის სოფლებში აბინავებდნენ.

მევენახეობა და მებაღეობა მესხეთში უმთავრესად ქვაბლიანის, ფოცხოვის, ურავლას და მტკერის ხეობებში იყო თავმოყრილი. რაც შეეხება ფარავნის ხეობას, იქ ბაღები და ვაზი ხერთვისის ზევით ხეობის შეყოლებით მხოლოდ 9-10 კილომეტრზე განივრცობოდა. ეს საზღვარი დაახლოებით იქ გადის, სადაც კობრეთის წყალი მდინარე ფარავნს ერთვის. კობრეთის წყალს ზევით, აღმოსავლეთის მიმართულებით ე. წ. ვარიჭალის შემდეგ რელიეფი შესაჩინევად მალღდება. მკვეთრად იცვლება კლიმატური პირობები, ტემპერატურის რეჟიმი, რის გამო არა თუ ვაზი, სხვა სახის ხეხილიც არ ხარობს.

ბალ-ვენახები ფარავნის ხეობის ორივე მხარის ფერდობებზე კიბისებურ ტერასებზე იყო შეფენილი. უფრო მეტად მოშენებული ჰქონდათ ხეობის მარჯვენა მხარე, რადგან ამ ფერდობებზე იგრძნობოდა სარწყავი წყალის სიჭარბე, რომელიც მთის ზემო კალთებიდან მომდინარეობდა.

ჯავახეთის პლატოზე მდებარე სოფლებს: თოკს, ჩუნჩხას, ვარგავს, ჰეტხას, ვარევენს ბაღები სწორედ ამ ხეობის ძირში ჰქონდათ. მაგალითად, სოფელ თოკის ბაღები განივრცობოდა ხეობის მარჯვენა მხარეს, მონასტრის ციკაბო ფერდობზე — კირიქალაზე, სოფლიდან სამი კმ-ის მოშორებით. სოფელ ჩუნჩხას ეკუთვნოდა ფარავნის ხეობის მარჯვენა მხარეზე მთას კალთა ე. წ. „ნაისია“. ნაისია აღმოსავლეთის ექსპოზიციის ბუნებრივი ტერასია, რომელიც თავის მხრივ, ხელოვნურად არის დაკბული ქვის კედლიანი ბაქნებით. სოფელი ჩუნჩხა ნაისიას მოკლე საცალფეხო გზით (4 კმ) უკავშირდებოდა. სოფელ ვარგავის მამულები განლაგებული იყო ფარავნის ხეობის მარჯვენა მხარეს „ნაძვრევეზე“, რომელიც სოფელს უმოკლესი გზით შვიდი კილომეტრითაა დაშორებული.

სოფელ პეტნას, რომელიც სოფელ ჩუნჩხას აღმოსავლეთით იმავე პლატოზეა განლაგებული, მცირე ბალ-ვენახი ხეობის ძირში, მის მარჯვენა

ნა მხარეზე ჰქონდა, მარჯვენა სანაპიროზე კობაძეთის ლელესთან კი მცარე ბალები სოფელ ვარევენს ეკუთვნოდა. რაც შეეხება ჭავჭავთის სხვა სოფლებს: კოთელიას, გოკიოს, აფნიას, ოკამს, ბარალეთს და სხვ. ხრანში მიწები არ გააჩნდათ, მაგრამ ეს სავსებით ვერ ცვლიდა მეურნეობის იმ რთული სტრუქტურის სურათს, რომელიც ისტორიულად მესხეთ-ჭავჭავთის დიდი ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი. ამრიგად, მესხეთ-ჭავჭავთის რიგი სოფლები სახნავ-სათესად იყენებდა დაახლოებითა და მის მალე მდებარე ზონის მიწებს, ხოლო ბალისა და კენახის მოსაშენებლად დაბლა, ხრამის მიწებს, სადაც ეს კულტურები ხელოვნურ ტერასებზე იყო გაშენებული და, როგორც წყაი, ირწყვებოდა. დასახლების ზევით მდებარე ზონა ქვედა მთა წარმოადგენდა საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვარს, ნაწილობრივად სახნავ-სათეს და სათიბს, ხოლო უფრო ზევით მდებარე ტერიტორია ზედა მთა საზაფხულო საძოვარსა და „ყორულს“ ე. ი. სათიბს.

მესხეთის სამეურნეო ყოფის თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედება არ წარმოადგენდა მესაქონლეობის დანაშაქს. ამ დარგს იქ საქონლო მყარი საფუძველი გააჩნდა. იგი თავისი მრავალფეროვანი დარგებით ისევე იყო განვითარებული, როგორც მესაქონლეობა, ამიტომ ძნელია მსჯელობა იმაზე, თუ მესხეთ-ჭავჭავთის ჩვენს მიერ განხილულ სოფლებში მეურნეობის ძირითადი დარგებოდან ისტორიულად რომელს ეკუთვნოდა წამყვანი ადგილი. ერთი კი ცხადია, მესაქონლეობის ზრდა არ ხდებოდა მიწათმოქმედების შეზღუდვის ხარჯზე და პირიქით, მაგალითად, ადგილს მრავალწლიან კულტურულ მცენარეთა მოშენებისათვის იჩვენებდნენ მდინარის სანაპიროებზე და ზეობებში მთის ფერდობების ქვედა ზონაში, მაშინ, როდესაც საქონლის გამოკვების ბაზას მთელი დანარჩენი ტერიტორია შეადგენდა. საქონლის გამოკვება წლის ზოგიერთ პერიოდში, მაგალითად, ზაფხულსა და ზამთარში, პრობლემურ ხასიათს ღებულობდა. მაგრამ მისი რეგულირებულება ხდებოდა საქონლის სეზონური გადანაცვლებით ერთი პუნქტიდან მეორეზე. ზაფხულში საქონელი მთის საძოვრებზე მიჰყავდათ. ეს იყო ერთადერთი სწორად გადაჭრილი და უქველესი დროიდანვე შემუშავებული წესი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ურთიერთობის სფეროში.

საკვები მარაგის სიუხვით განიზღვრებოდა როგორც მოსავლიანობის დონე, ასევე მიწათმოქმედების მასშტაბიც. ეს იყო ერთ-ერთი ნიშანი ამ ორი დარგის სიმბიოზური ურთიერთობისა. აქვე, შედარების მიზნით, გვინდა გავიხსენოთ აქარაში არსებული ვითარება. ზემო აქარის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში ზოგჯერ იქმნებოდა ისეთი მომენტი, როდესაც ირღვეოდა წონასწორობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას შორის, რომლის აღდგენა ხან მესაქონლეობისათვის საკვები ბაზის გაჩენას



მოითხოვდა, ხან კი საძოვარ-სათიბების შემცირებით მიწათმოქმედების მანუშტაბების გაზრდას. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ განაახლებას ის ტიპი, როდესაც სახეზეა ალპური საძოვრების ქვედა საზღვრის ხელოვნური დაწევა სუბალპურ ზონაში ტყის გაჩეხვის ხარჯზე და იქ სეზონური დასახლების შექმნა მესაქონლების პროფულით. აეე ხდებოდა ერთგვარი ნიველირება მესაქონლეობაა და მიწათმოქმედებას შორის. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, მოახალეობის მატებას თან სდევდა ამ წონასწორობის დარღვევა. მიწის სიმცირის გამო ხდებოდა საშემოდგომო საძოვრების თანდათანობითი ათვისება მიწათმოქმედებისათვის.<sup>90</sup> საბოლოოდ სეზონური დასახლებანი მუდმივ დასახლებულ ერთეულებად, სოფლებად ყალიბდებოდა. ამის არაერთი მაგალითია დადგენილი აქარასა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში.

მსგავსი მოვლენები ისტორიულად ცნობილია კავკასიაში, აქვეე სხვა ქვეყნებშიც: იუგოსლავიაში, ალბანეთში, ესპანეთში, სარდინიაზე და სავართოდ სამხრეთ ევროპის ქვეყნების მთიელებში.<sup>91</sup>

ცხადრა, უხვარი მიწის ნაკვეთების ათვისება სახნავ-სათესად როდი იყო გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად მიმდინარე პროცესი. მას სტატიური ხასიათი ჰქონდა. ამასთან იგი ადვილად ქმნიდა აგარაკული ურთიერთობის მუვავე კონფლაქტებს, ვინაიდან ტყე, საძოვრები ჩვენი კვლევის ობიექტებში სათემო მიწა-წყალს წარმოადგენდა, მაგრამ სისტემატური დამუშავების შემდეგ ცალკე ოჯახების განკარგულებაში გადადიოდა. საბოლოოდ კი კერძო საკუთრებად იქცეოდა.

ამრიგად, სახვარი მიწის გამოყენების სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ იგი (მხედველობაშია მიწათმოქმედებაში გამოყენებული მიწა) ორი ძირითადი ჯგუფისაგან შედგებოდა — ერთი განკუთვნილი იყო ინტენსიური კულტურებისათვის, მეორე კი მემინდერეობისათვის.

სახვარი მიწის მსგავსი ორგანიზაცია სავსებით შეესაბამებოდა სამხრეთ საქართველოს, სადაც მთა და ბარის, ამ განსხვავებული გეოგრაფიული ზონების ახლო მდებარეობა ერთმანეთთან, ისტორიულად აპრობებდა მეურნეობის განხილულ ფორმათა ჩამოყალიბებას. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოებაც. მესხეთ-ჯავახეთში და სავართოდ, სამხრეთ საქართველოში მე-16-17 საუკუნეებში მეურნეობის აღნიშნულ სფეროში

90 მსგავსი მოვლენებს შვეიცარიის ალპებშიც ჰქონია ადგილი. ჰანს კელერის ცნობით, იქ ბევრგან აღამიანის მეურნეობრივი საქმიანობის გამო ტყის ზედა საზღვარი ვერტიკალურად 160-200 მეტრის სიმაღლეზეა დაწეული. თავდაპირველად ტყის კავვა სახნავ-სათესების გაფართოებით იყო გამოწვეული. შემდეგ კი იმავე მიზნისათვის საძოვრების შემცირებაც დაწეულია. Ганс Келлер. Русские потоки в Альпах. Наука и человечество. Международный ежегодник. М., 1975. стр. 111-112

91 П. Биро и Ж. Дерш. Средиземноморье., т. I, М., 1960, стр. 87.

უნდა მომხდარიყო გარკვეული ცვლილებანი. მევენახეობა-მელენეობას-  
დარგის ამოვარდნის შედეგად ზოგიერთ სოფლებში დაიარღვა სასოფლო-  
სამეურნეო ტერიტორიის ძველი ორგანიზაცია. ვენახები იქცა სახნავ-სა-  
თესად, სამოვრად ან გავერანებულ უხმარ მიწად. ამაზე მეტყველებს ძვე-  
ლი ტერასებისა და ნასოფლარების ნაშთების სიპრაველე, ასევე ტოპონი-  
მიკური მანაალა. მსგავსი ცვლილებანი უნდა გამოეწვია აგრარული ურთი-  
ერთობის ახალ სისტემას — მიწათმფლობელობის თურქულ წესს. გლეხს,  
რომლიანთვინაც ვენახი აღარ წაჩამოადგენდა ოჯახის ძლიერების საფუძ-  
ველს, რამდენაღმე უნდა შეეცვალა მის განკარგულებაში მყოფი სახმარი  
მიწის ორგანიზაცია, მოეყვანა იგი არსებული ეკონომიური რეჟიმის შე-  
საბამისობაში:

ვაზისაღმა ღიდი კურაღლებს გამოჩენა, მისი მოშენება ყველგან,  
'აღაც კი ეს შესაძლებელი იყო ნიადაგური თუ კლიმატური პირობებით,  
ნაჯარხახევი ჩანს არამარტო ქართული კაცის განსაკუთრებული სიყვა-  
რულით ღვინისაღმა, არამედ აიხსნება ძირითადად იმ ეკონომიური მნიშვნე-  
ლობით, რომელიც მას ჰქონდა ყოველთვის. ვაზი ერთადერთი კულტურ-  
ა იყო, რომელსაც ძალა შესწევდა განმეტკიცებინა სოფლის ეკონომიკა  
საერთოდ, და კერძოდ, გლეხის ოჯახისა. მაგრამ ვაზის კულტურის არსე-  
ბითი მნიშვნელობა თანდათან შეიზღუდა. მეახეთში და აჭარაშიც მელეი-  
ნეობის დაკემა უნდა აიხსნას არამარტო ისლამის რელიგიის გავრცე-  
ლებით, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ამ პროდუქტმა თურქეთის ბა-  
ტონობის პერიოდში დაჰკარგა სასაქონლო მნიშვნელობა. ღვინოს აღარ  
ჰქონდა გასაღება მოსახლგზე სამხრეთ თემებში, ამიერკავკასიის სხვა-  
კუთხეებიდან კი მთელი ეს მხარე მოწყვეტილი და იზოლირებული აღმო-  
ჩნდა

სასაქონლო მნიშვნელობის დაკარგვას, ცხადია, თან უნდა მოჰყოლო-  
და და მოჰყვა კიდევ ვაზის კულტურის მასშტაბების შემცირება.

აღნიშნული პოლიტიკური და ეკონომიური ვითარებით უნდა აიხსნას  
ის გარემოებანი, რომ აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთში ვაზის ბევრი ჭიშო,  
მათ შორის ამორიგენული ჭიშები, გაველურდა, ვადაგვარდა ან სავსებით  
დაიკარგა.<sup>92</sup>

მესხეთ-ჯავახეთში დადგენილი მიწათმოქმედების ეს ტიპი არ წარმო-  
ადგენდა ლოკალურ მოვლენას. მთა-ბარული მიწათმოქმედების მკვეთრად

92 მსგავს გარემოებას ადგილი ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნებშიც. ოსმალთა ინტერ-  
ვენციამ და დაპრობებმა ღიდი ზიანი მიადგინა ამ ქვეყნების მეურნეობრივ ცხოვრებას.  
„ფეოდალურ ბრძოლებსა და სახელმწიფოთა შორის ომებს, — აღნიშნავენ ფრანგი მე-  
ცნიერები, — არ გამოუწვევიათ ასეთი ცვლილებანი სამეურნეო ცხოვრებაში, როგორც  
ეს თურქთა ბატონობის პერიოდს მოჰყვა“. ყველაზე ღიდი ზიანი გამოიწვია სოფლის-  
მოსახლეობის ემიგრაციამ. П. Бури и Ж. Дерш. დასახ. ნაშრ. გვ. 58.

გამოხატული ფორმა, რომელიც ასევე განვითარებულ ტერასულ სისტე-  
მებზე იყო აგებული, სავლედ აქუშაობის შედეგად თრიალეთშიც დამოწმ-  
და.

ვახუშტის დახასიათებით „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად მშუენი-  
ერი, ბალახოვანი, ყუავილოვანი. წყაროინი, არა არს აქა ტყე, არამედ  
ზადავენ ერჭევიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა; მოსავლით ვითარცა  
ცაჲოი, გარნა ესე უმჯობესი მისი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი  
არს აქა, და მთის ხილნი შრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარბიდაჲ, ჩაასხა-  
მენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოინი“.<sup>93</sup> მაშასადამე, თრია-  
ლეთი, ვახუშტის ზონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ბარი არ არის,  
რადგან, უვენახო და უხილოა. ამასთან, შრავლად ყოფილა მთის ხილი,  
ირკვევა ისიც, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ტკბილი ბარიდან მოჰქონ-  
და, სოფელში ჰქონდა ჭურ-მარანი, ტკბილს აქ დააღვინებდა და ინახავდა.  
გამოდის, რომ მთის სოფლები ბარის მოსახლეობისაგან გაცვლით თუ ყი-  
დვით იძენდა ტკბილს და გადაჰქონდა თავის ადგილსამყოფელზე. თავის-  
თავად მსგავსი სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობა მთისა და ბარის  
სოფლებს შორის იატორიულად ცნობილია და ეთნოგრაფიის თვალსაზრი-  
სითაც ინტერესს მოკლებული როდია. მაგრამ ვახუშტი სხვა გარემოებას  
გულისხმობდა. აქ მთისა და ბარის ზონაში ერთდროულად მოსახლეობის  
მიერ წარმოებულ სამეურნეო ცხოვრების წესზეა საუბარი და არა ბარი-  
სა და მთის სოფლებს შორის ეკონომიურ ურთიერთობაზე.

ალგეთის ხეობაში ჩხიკვათა, ფარცხისი, ასურეთი, ჯორჯიაშვილი, ბო-  
რბალო, ბოგვი, ენაგეთი, ტბიჩი და სხვ. ბარის სოფლებია და ამდენად აქ  
მიწათმოქმედების ზონალურობა არ ვლინდება.

მიწათმოქმედების ორგანიზაციის მთა-ბარული ფორმა დიდსა და პა-  
ტარა გომარეთის სოფლებში დადასტურდა. ამ სოფლების მოსახლეობა  
ადგილზე მემინდვრობასა და მესაქონლეობას მისდევდა. მოჰყავდათ პუ-  
რი, ქერი, კარტოფილი და სხვ. ადგილის სიმალის გამო მიწათმოქმედე-  
ბის სხვა დარგებს განვითარების პირობები არ გააჩნდათ. ამიტომ ბალ-  
ბოშტანი და ვენახი მოსახლეობას მდ. ხრამის ხეობის ძირში, მთის ფერ-  
დობებზე ჰქონდა მოშენებული, რომელიც სოფლიდან 6-8 კმ-ით იყო  
დაშორებული. ადგილზე დაგვიდასტურეს, რომ ძველად ბარიდან, ე. ი.  
ხრამის მაჰულებიდან ამოტანილ ტკბილს ქვევრებში ასხაჰდნენ და სო-  
ფელში აღვინებდნენ.

ეთნოგრაფიული მონაცემები, როგორც ამას კონკრეტული მაგალი-  
თებიდან დავინახავთ, სავსებით ნათელ სურათს გვაძლევს სამიწათმოქმე-  
დო ყოფის იმ ორიგინალურ ფორმებზე, რომელიც ტრადიციული იყო

<sup>93</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

არიალეთში. ესაა მიწათმოქმედების მთა-ბარული სისტემა, რომლის მართვაში მონაწილეობდა არა მთისა და ბარის ცალკეული სოფლები მეურნეობის საკუთარი პროფილებით, არამედ ერთი და იმავე სოფლის მოსახლეობა, რომლებისთვისაც ბარის მამულებს ისეთივე ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მთის სახნავ-სათესება.

ბალ-ბოსტან-ვენახის გაშენების ამ ტიპს, რომელიც ძირითადად მთის მოსახლეობის მიერ არის შემუშავებული, აკად. ნ. კეცხოველი საშუაზრნო კულტურის იშვიათ მონაპოვრად მიიჩნევს.<sup>94</sup>

სოფელ დიდი გომარეთის სახნავ-სათესება შეადგენდა: „მინდორი“, რომელიც სოფელს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან — საერთო სარგებლობის ტყე. ტყეში ნაკვეთები მიჯნებით იყო გამოყოფილი ცალკეული ოჯახების მიხედვით და ყველას თავისი წილი ჰქონდა. ტყის ნაწილი სამხრეთის ფერდობს წარმოადგენდა. თოვლი მცირე იცოდა, ამიტომ სოფლის ზოგიერთი ოჯახს: ზეპირდგომასა და გაზაფხულზე იქ კვებავდა საქონელს.

სოფელ დიდი გომარეთის ხრამის მიწებს შეადგენდა: „პანტაანი“, „საღორებისველი“, „კაკლიანი“, „დიდველი“, „ჩათახი“, „თეთრაკლდეები“, „გარეულანთ ხრამი“ და „სალარაძო“. ყველა ოჯახს თავის ნაკვეთში ჰქონდა მიწურბანიანი ქვითნაგები ბინა საცხოვრებლად და საქონლის სადგომად. იქვე იყო გამართული საწნახელი, სადაც წურავდნენ ღვინოს, მაგრამ წვენი სოფელში აჰქონდათ, იქ ადუღებდნენ და ინახავდნენ ქვევრებში.

ხრამში ბალ-ბოსტან-ვენახი ჰქონდათ აგრეთვე სხვა სოფლებსაც: პატარა გომარეთს, მამულოს, ქართულაკალიანს და სხვ.

ხრამში მიწის ნაკვეთება ერთმანეთისაგან „ნაღარებით“<sup>95</sup> გამოიყოფოდა. ნაღარი ნაკვეთს განივად ჰყოფდა, სიგრძეზე კი მას საქცევი მიჯნავდა.<sup>96</sup> საქცევი ამავე დროს წარმოადგენდა გასასვლელ გზას. ყველა ნაკვეთს თავში ჰქონდა წყლის ასაქცევი თავთაკვალი, რომელაც გუთნით გაიჭრებოდა 30-40 სმ სიღრმეზე. თავთაკვალი ყველა ნაკვეთს უკეთებოდა, რომ წვიმისა და თოვლის დამდნარ წყალს დამუშავებული მიწა არ წაეღეკა. თავთაკვალს მცირე დაქანება გააჩნდა წყლის დინებისათვის და ბალ-ბოსტანის გარეთ გზაზე ან ხევში გადადიოდა. მეზობელი მამულები ანუ, როგორც ადგილობრივად უწოდებენ ამგალები,<sup>97</sup> ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო ქვის სვეტებით, ე. წ. „ქვაჯვარებით“.

94 ნ. კეცხოველი, ადამიანი და ბუნება, თბ., 1974. გვ. 79-80.

95 ნაღარი—ხნელთა შუა დარჩენილი კორდი. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. თბ., 1949.

96 საქცევად ითქმის საყანურთა დასასრული, სულხან-საბა ორბელიანი

97 ამგალი — სამწესო მეზობლად ღვარი, სულხან-საბა ორბელიანი.

სოფელ დიდი გომარეთის ხრამის მამულები ირწყევბოდა როსტის-წყლით, რომელიც მახლობელ ხევში გამოდის. სოფელ ჩახათის მიწების სარწყავად კი იყენებდნენ აკოფაველისა და ხიზანთ წყალს.

მდ. ხრამის ქალები და ხეობის საზოგადოების თუ აღმოსავლეთის ფერდობები საზამთრო საძოვრად გამოიყენებოდა. საქონელს, განსაკუთრებით წვრილფეხა პირუტყვის, ხრამის მამულებში ერეკებოდნენ. ხრამის ღრმა კანიონში მდებარე მიწები დაცული იყო ცივი ქარებისაგან, ხოლო საზხრეთისა და აღმოსავლეთის თბილ კალთებზე თოვლა ადვილად ვერ იკიდებდა ფეხს. ტყის სიახლოვეც აადვილებდა უხეში საკვების მოპოვებას და პირუტყვის დაზამთრებას. ამასთან, ხრამის მიწებში საკმაო რაოდენობის თივაც მოპყავდათ. ყოველივე ეს თრიალეთის პირობებში დიდ ეკონომიურ როლს ანიჭებდა ხრამის მამულებს. ამას ნათლად წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეურნეობრივი დანიშნულების თვალაზრით ხრამის მიწები ძირითადად მიწათმოქმედების ინტერესებს ენსახურებოდა. ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი გაზაფხულიდან შემოდგომამდე „ხრამში“ იწყობებოდა, მამულს უვლიდა, შობავალს იღებდა. ზამთარში მათ ოჯახის სხვა წევრები ცვლიდნენ და წვრილფეხა საქონელს აზამთრებდნენ. მიწათმოქმედების დარგები, თუ იგივე ეთნოგრაფიულ მასალებს მოვიშველიებთ, განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა და ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ფერდობების გამოყენება და მიწათმოქმედების სარწყავ-ტერასული სისტემა.

მესხეთში გავრცელებული ვაზის აბორიგენული ჯიშები (სამაჩიობო, ბუდეშური, ხარისთვალა, ცხენის ძუძუ, შავი და სხვ.) მაღალი მთის კლიმატურ პირობებს იყო შეგუებული. მაღალი მთის იპიტომ ვამბობთ, რომ ზოგჯერ იხვეწამდე მოღწეული ეგზემპლარი საკმაოდ მაღალ ზონაშია ნაპოვნი. ასე მაგალითად, 1954 წელს ურავლეს ხეობაში, ულრან ტყეში ნაპოვნი ანწლოვანი ვაზის იშვიათი ეგზემპლარი შესანიშნავად ხარობს ზღვის დონიდან 1-650 მეტრის სიმაღლეზე. იგი ადგილობრივი ვაზის ჯიშს მიეკუთვნება. მას სპეციალისტებმა კ ა ფ ა რ უ ლ ა შეარქვეს, ვინაიდან მისი ძველი სახელი უცნობია.<sup>98</sup> ეს ვაზები მეტწილად მაღლარის სახისა იყო, რომელსაც მესხეთში ბ ა რ ნ ა ვ ე ნ ა ხ ს უწოდებდნენ, დაბლარს კი, რომელიც შედარებით გვიანაა გაჩენილი, ფ ე ხ ი ს ვ ა ზ ა ეძახდნენ.<sup>99</sup>

98 შ. წიქვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

99 შ. წიქვაძის ვარაუდით დაბლარი ვაზის მოშენება მესხეთში მე-16 საუკუნიდან უნდა იწყებოდეს. (იხ. შ. წიქვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 181).

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ხეობებში მდებარე ბალ-ვენახები მთის სოფლებიდან საშუალოდ 3-5 კმ-ით იყო დაშორებული, ხოლო მათ შორის არსებული სიმაღლის სხვაობა 300-დან 600 მეტრამდე აღწევდა. ხეობებში მთის ფერდობები გამოყენებული იყო როგორც ჰორიზონტალური გაერცობით (ე. ი. ხეობის შეყოლებით), ასევე მალღივი მიმართულებით (მაშასადამე, ფერდის შეყოლებით). ანუ მაგალითად, თუ მთიან და ბარან დაახლოებულ პუნქტებს შორის სიმაღლის სხვაობა 500 მეტრს შეადგენდა, აქედან ბალ-ვენახისათვის შეიძლებოდა გამოყენებულიყო 100-200 მეტრის სიმაღლის სივრცე.<sup>100</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბალ-ვენახი ხეობის ძირიდან მთის ფერდობებზე ვერტიკალური სიმაღლით 100-200 მეტრს არ სცილდებოდა. ეს გამოწვეული იყო არამარტო კლიმატის თანდათანობითი გამკაცრებით, არამედ სხვა ფაქტორებითაც.

მხედველობაში მისაღებია რელიეფის ხანიათი, რომელიც მტკვრისა და ფარავნის ხეობაში (ასპინძის რ-ნი, ხერთვისის მიდამოები) 100-200 მეტრის ზევით მკვეთრ დაქანებაში გადადის, ამიტომ სიჩრთლეს წარმოადგენდა მისი ხელოვნურ ვაკისებად გარდაქმნა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ რა სიმაღლემდე აღწევდა ხელოვნურ მორწყვას დაქვემდებარებული ტერიტორია, რადგან ყოველთვის არ ხერხდებოდა საჩუყავი წყლის მიწოდება საჭურველ სიმაღლეზე. ავიღოთ აოფელ თოჯის მაგალითი. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, ფარავნის ხეობის მარჯვენა მხარის ჯაფანეთის გაშლილ ზეგანზე მდებარეობს და ბალ-ვენახისათვის იყენებდა იმავე ხლობაში საკმაოდ დაქანებულ მონასტრის ფერდობს. სოფელი თოჯი ზღვის დონიდან დაახლოებით 1400-1500 მეტრზეა განლაგებული. ხოლო მისი ბალ-ვენახი საშუალოდ 1100-1300 მეტრის სიმაღლე-

---

100 კლამპოტოვსკის ცნობით ხიზაბაჯრა — საროს ტერასები 50-მდე საფეხურს შეიცავს და „კიბის“ მთელი ტერიტორიის სიმაღლე 200 მეტრს აღწევს. კ. კლამპოტოვსკი, მესხეთის მევენახეობის ზონის ნიადაგები, ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, 1, 1948, გვ. 65. ამ ცნობის პირველი ნაწილი უზუსტოა. ტერასების საფეხურები გაცილებით მეტია. ერთ-ერთ უბანზე ოთხმოცზე მეტი საფეხური დავადგინეთ. იმავე კლამპოტოვსკის მონაცემებით, თუ ხიზაბაჯრასა და საროს ბალებში 50 ტერასი 200 მეტრის სიმაღლეს ქმნის, მაშინ თითოეული ტერასის სიმაღლე 4 მეტრი ყოფილა, რაც ამ უბანზე არ დასტურდება. ჩვენი ანაზომებით ტერასების სიმაღლე ამ ობიექტებზე საშუალოდ 150-250 სმ. აღწევს.

ზე ზღვიან ღონიდან.<sup>101</sup> ამ სიჭრეტეში სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგდებოდა ვაზი და ხეხილი. მაგალითად, მდინარის პირის ვაკე ადგილები ეკავა ვაშლს, მსხალს. თუთას, ციკი ქაუბრისაგან დაცული მთის შუა ფერდი სითბოთი გაჰოიარჩევდა. ამიტომაც ვენახსაც აქ აშენებდნენ. თუმცა აქ სხვა ხილის მოშენებაც არ იყო გავრავებული.<sup>102</sup> ხილის ბალებში (სოფლებში: ხარმანი, ტოლოში, ხერთვისი) კულტივირებული იყო მალღარი-ვაზი, ხოლო სამხრეთის ფერდობების ტერასებზე კი, როგორცაა სოფლებში: ხიზაბაკრას, საროს, ხერთვისის მამულები, დასლარი ვაზი.

ტერასებზე ვაზისა და ხეხილის ცალკე მოშენება მეურნეობის სპეციალიზირებული ხასიათის მაუწყებელია, მაგრამ გვხვდება განაშენიანების შერეული პრინციპიც, რომელიც გულისხმობდა ფერდობზე სხვადასხვა მცენარისათვის სივრცის იარუსულ გამოყენებას. დასლარ ზეგანებში სხვა მცენარეებიდან მესხეთში დასამშენებლად მიაჩნდათ მხოლოდ ატაპი. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ თავისებურებას იჩენს ბაქნებზე ვაზის მოშენების და ტერასების ექსპლუატაციის მესხური წესები. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაეყვას იმ გარეშობას, რომ მესხეთ-ქავახეთში ვაზისათვის უპირატესობა ეძლეოდა ქვისკედლიან ტერასებს, დარეკება. ვენახს ქვის კედელთან ახლოს, მის გაყოლებაზე რგავდნენ, ვაზიკ თავისი ტოტებით დარეჩის კედელზე იყო მიფენილი. კედლის სიახლოვეს ვაზის დარგვას მესხები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სამხრეთისაკენ მიმართული ქვის კედელი დღის განმავლობაში ძლიერ ხურდებოდა, ოს-გაპოც ვაზის რიგებში სითბოს მომეტებული აკუმულაცია ხდებოდა. მზის პირდაპირი სხივური ენერჯის გარდა, ვაზი დამატებით ღებულობდა ქვას კედლებთან დაგროვილ სითბოს. ეს იყო ტერასებზე ვაზის გაშენების პრაქტიკით შემუშავებული წესი, რომელიც ხალხური აგროტექნიკის შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს. ფაროო ვაკისთან ტერასებზე ვაზს 2-3 რიგად რგავდნენ. ასეთ შემთხვევაში კედელს მოცილებული ნარგავები ჩვეულებრივად ჭიგოებზე იყო ასარული.

101 კლოპოტოვსკის გამოკვლევით, მევენახეობა მესხეთში შესაძლებელია ზღვის ღონიდან 1300 მეტრის სიმაღლემდე, (ცალკეულ ნიკორაიონებში კი 1400-1500 მეტრამდე. ამასთან, იგი გამოყოფს ვაზის კულტურის სამ ზონას. პირველი ქვედა ზონა მესხეთში 1000 მეტრამდე ვრცელდება, მეორე საშუალო 1000-1200 მეტრამდე და მესამე მაღალი ზონა 1200-1400 მეტრამდე (კ. კლოპოტოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 65). ვაზის გავრცელების იგივე სქემას იძლევა შ. წიქვაძე. მევენახეობის აგროტექნიკა მესხეთში, თბ., 1967, გვ. 23-25.

102 ვაზისათვის ამ ზონის შერჩევა მრავალწლიან დაკვირვებას ემყარებოდა, ამიტომაც ადგილობრივი ვაზი ყინვისაგან ადვილად არ ზიანდებოდა. დადგენილია, რომ ზამთარსა და გაზაფხულზე ხეობის ძირში ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე ფერდობის შუა და ზემო ნაწილში, ხოლო ზაფხულში ზედა ზონა ქვედა და შუა ზონასთან შედარებით გრილია. შ. წიქვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ხეხილით მოშენებული ტერასები ვაკისების სიფართოთ გამოირჩეოდა და ხეებიც ორ ან სამ-სამ რიგად ირგვებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში მაღალ მზარდ ხეებს (თუთა, მსხალი, ვაშლი) ტერასთა ბოლო ეკავა, ბაქნის პირთან. მის პერიფერიებზე მოშენებული იყო ქლიავი, კანკური, ქერაპი, ალუბალი და სხვ. მესხეთში განსაკუთრებით ფართოდ მისდევდნენ თუთის კულტურას. მას მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. ნაყოფს აჭაობდნენ, აზხადებდნენ ბაქმასს, ტყლასს, ჩურჩხელას, ხდიდნენ არაყს. ხარგავთა შორის, ხეხილის მოშენების მომენტიდან, ვიდრე ისინი ნაყოფის მოცემა დაიწყებდნენ, ბოსტნეული და ერთწლიანი კულტურები მოჰყავდათ. შემდეგ კი ეს ინტერვალები ითიბებოდა, ნარგავები კი 2-3 მეტრის რადიუსზე იბარებოდა და ითოხნებოდა. ამრიგად; სხვადასხვა კულტურათა იარუსული გაშენებით ბაქნები მაქსიმალური ინტენსივობით გამოიყენებოდა. ფერდობებზე ნარგავთა სივრცობრივი განლაგების ანალოგიური ხალხური წესი დამოწმდა სოფელ გომარეთის „ხრამის“ მაპულებში. ერთ-ერთი ობიექტის (გარეულანთ ხრამის) ადგილზე შესწავლით გაირკვა, რომ აქაც ქვით ნაგებ ბაქნებზე ხეხილი და მალღარი ვაზი ჰქონიათ მოშენებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ტერასებზე ნარგავების სართულებრივი პრინციპი იყო გამოყენებული. ტანმალ ხეებს, მაგალითად, მსხალს, ვაშლს, ტერასებზე უკანა მხარე ეკავათ, მათ წინ ე. ი. მზის მხარეზე მოშენებული იყო შედარებით დაბალი ხეები: ქლიავი, კანკური და სხვ. ეს ხეხილი თავის ატამთან, ქერაპთან, შინდთან შეფარდებით უკანა რიგს ქმნიდა. მაშულის განაპირა ჩახრამულჩავარდნილი ადგილები კაკალს ეკავა.<sup>103</sup> იმავე ტერასებზე, ნარგავთა შორის, ითვისებოდა ბოსტნეული: ლობიო, კომბოსტო, კიტრი, გოგრა და სხვ. თუ ახლა ამას ვერტიკალურ ქრილში წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ხეთა დგომა დატერასებულ ფერდობზე მცენარეთა სიმაღლის შეაბამისად დაბლიდან მაღლა თანდათანობით გადასვლით იყო გადაწყვეტილი.

დიდ ტერასებზე, სადაც ხეხილი არ მოჰყავდათ, მარცვლეულსაც თესავდნენ: პურს, სიმინდს; ეს იმიტომ, რომ ხრამში მეტი რაოდენობით მოგროვებინათ პირუტყვის საზამთრო საკვები. ხილის ნარგავთა შორის ინტერვალები დრო და დრო სათიბად გამოიყენებოდა. ასე რომ, არც ერთი

<sup>103</sup> დაახლოებით ასეთივე თანამიმდევრობა აქვს დადასტურებული ნ. კეცხოველს, რომლის მიხედვით, პირველი სართული ეკირა მაღალ მზარდ ხეხილს (ვაშლი, მსხალი), რომელზედაც უშვებდნენ ვაზს — ბაბილოს. მეორე სართული ქლიავს, კანკურს. დამასხს და მისთანათა. ამათ ქვემოთ ატამი და დაბლარი ვაზი, შემდეგ ითვისებოდა ბოსტნეული. ხეები და ვაზი იმდაგვარად იყო განაწილებული, რომ ნიადაგს მზე საქმაოდ მოხედებოდა. ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრ., გვ. 79-80.



გოჭი მიწა არ რჩებოდა გამოყენების გარეშე. ამრიგად, ტერასის პირველი იარუსი სივრცობრივად ეკავა ბოსტნეულს, მეორე იარუსი — დაბალ ვარჯიან და მეჩხერფოთლოვან, ნეირე განშტოების ჭქონე ხილს: ატამს და მისთანას. შენდევ მოდიოდა ქეჩამი, ქლიავი, კონში. ამათ მოყვებოდა უფრო მაღალმხარდი ხეები: ვაშლი, მსხალი, თუთა. ამათზე იყო მიძვებული მაღლარი ვენახი. საქართველოში კაცალი ყოველთვის კლდე-ღრეში, სავსებით უვარგან, გამოუყენებელ ადგილებზე თავრით იზრდებოდა და არც განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვდა, მაგრამ მას ხშირად საჩრდილებლად და სილამაზისათვის ეზოებში რგავდნენ.

საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილის შერჩევას კულტურისათვის ქვეყნის მხარეების, მთის, მდინარის, ზღვისა და სხვა ნაკვეთი ობიექტების მიხედვით. ამ გარემოებათა შესაბამისად ხდებოდა ამა თუ იმ კულტურისათვის ადგილის გამოყენება.

საქართველოსა და კავკასიაში საერთოდ, როგორც მთაგორიან ქვეყნებში, თუ ვერტიკალურ-ზონალური ფაქტორი გავლენას ახდენდა მიწათმოქმედების ტიპის ჩამოყალიბებაზე, ეთნოგრაფიული დაკვირვებებით ვლინდება, რომ მზის ექსპოზიციაც მთაგორიანობის პირობებში ასეთავე გავლენას ახდენდა ბალ-ვენახების მოშენებასა და მის ფორმირებაზე. ამიტომაც მაშინ, როდესაც ხეხილის მოშენებას არ ჰქონდა სპეციალიზირებული, სასაქონლო ხასიათი, როდესაც ჭერ კიდევ არ არსებობდა ერთდანივე ნაკვეთზე ერთი სახის და ჭიშის ხეხილის მასიურად მოშენების აუცილებლობა, ბაღში ნარგავები შერეული და გაფანტული იყო. მაგრამ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ასეთ ვითარებაში ყოველთვის იკავდნენ იარუსული განლაგების პრინციპს. ცხადია, დიდ როლს თამაშობდა სახმარი მიწის რაოდენობა. მიწის სიმცირის გამო ნაკვეთი ხშირად გადატვირთული გამოიყურებოდა ხილის ნარგავებით. მაგრამ სხვადასხვა სახის ხეხილით შერეული მოშენების დროს გათვალისწინებული იყო მცენარეთა მოთხოვნილება სივრცის, სინათლის, სითბოს მიმართ და ყველა ხეს სათანადო ადგილი ჰქონდა მიჩნეული. ეთნოგრაფიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხილს კულტურათა შერეული მოშენება გამოკდილებითა და დაკვირვებით მიღებულ მყარ ცოდნას ეყარებოდა. ასე მაგალითად, ქართლში, ახალნარგავ ვაშლის ბაღში, ნარგავთა შორის ატამსაც აშენებდნენ ხოლმე, რადგან ვაშლი 6-7 წლას შემდეგ იწყებდა მოსხმას, ატამი კი — მესამე წელს. ამას გარდა, იმ დროისათვის, როდესაც „ვაშლის ნაშენი ბაღად დადგებოდა“, ატამის ნარგავები გახმობას იწყებდა. ატამის ხე საერთოდ დიდხანს არ ხარობს და ამ ხნის განმავლობაში ვაშლის ბაღში მიწაცა და სივრცეც გამოყენებული იყო. ატამს ხშირად იმავე თვისებათა გამო ზერებშიც გაუჩრევდნენ ხოლმე. ვაშლის ბაღებში აღუბლიან შერევაიც იცოდნენ, რადგან მას მცირე ჩრდილი უყვარს, მზის პირდაპირად რადი-

ცია კი ვნებს. ქანჭური, ლენკრუტი, დამასხი, ორქლიავა, არახილი, ლოდნოშო და სხვა მისთანა ხილეული მამულის ნაპირებზე იყო გატანილი. როგორც ამბობენ, „გამოსავალი ამ ხილს ნაკლები ჰქონდა“ და აპიტომაც მამულს მისთვის არ მოაცდენდნენ. მამული აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარეზე თავისუფალი უნდა ყოფილიყო მაღალმზარდი (კაკალი, მახალი, ბალი და სხვ.) ხეხილისაგან.

მესხეთში ზვრებიცა და ბალებიც გაზაფხულზე იბარებოდა. ვენახში შექქონდათ ნაყელი. ზამთრობით იქ აძოვებდნენ და აყენებდნენ ცხვარს, ხოლო დაგროვილ სასუქს (ხ უ შ კ ი) ვენახის ძირებში ყრიდნენ. ზაფხულის განმავლობაში ბალ-ვენახი ორჯერ ითონებოდა.

ვაზი აღრე გაზაფხულზე (მარტში) უნდა გაესხლათ, ლერწებს სამ კვირტზე გადაჭრიდნენ, გასხვლის შემდეგ, დაახლოებით აპრილში, საჭირო იყო „ვაზის გაკანკა“. იგი გულისხმობდა ახალნაყარი ზედმეტი ყლორტების გაკლას და მთავარის, მოსავლის მომცემის შენარჩუნებას (ვაზს მარტო ხ ვ ე დ ა რ ს დაუტოვებდით, დანარჩენს მოვაცილებდით).<sup>104</sup>

მესხური აბორიგენული ჭიშის ვაზები დაუმყენელი იყო და, როგორც გლეხები ამბობდნენ, ამიტომაც სოკოვანი დაავადება არ უჩნდებოდათ. ვაზის გამრავლება გადაწინდვის საშუალებით ხდებოდა. აპრილში წინა წლის ნაზარდს გადააწვედნენ. ნიდაჯს ორი ბარის პირზე ამოიღებდნენ. რქას ჩააწვენდნენ და მიწას დააყრიდნენ, ისე რომ ჰაერზე ორ კვირტს დაუტოვებდნენ. გადაწინდულ ლერწს მეორე წელს ძველ ძირთან გადაჭრიდნენ და ახალ ადგილზე გადაგავდნენ. იცოდნენ აგრეთვე ლერწით ვაჭრავლება. ერთწლიან ლერწებს მარტში ორი მტკაველის სიმალლეზე გადაჭრიდნენ, კონებად შეკრავდნენ და გამდინარე წყლის გუბეში ჩადებდნენ, სადაც მაის-ივნისამდე ტოვებდნენ, შემდეგ თითოეულ ლერწს საგანგებოდ მომზადებულ ორმოში ღრმად ჩარგავდნენ და (2-3 სმ.) მიწით ოდნავ დაფარავდნენ. ამ წესით გამრავლებული ვაზი სამი წლის შემდეგ იძლეოდა ნაყოფს. ნერგიც უფრო მძლავრი იყო, ვინაიდან მისი დაფესვიანება იმავე ადგილზევე ხდებოდა. გადაწინდვით გამოყვანილი ნერგი მეორე წელსვე იწყებდა მოსხმას.

ვაზის გასაშენებელ ადგილზე მიწას ორი ბარის პირზე აბრუნებდნენ, რგავდნენ დაახლოებით 1-1,5 მეტრის ინტერვალით. დარეჯებზე ნარგავების მორწყვისათვის აკეთებენ 1,5-2 მ. სიგრძე-სიგანის გობებს, ჩაღრმავებას; გობებს შორის იქმნებოდა მიწის ზვინულები ე. წ. „ფაფრები“. ახალ ნერგს სწორედ გობის გვერდზე ფაფრის ძირში რგა-

<sup>104</sup> ალექსანდრე ზაქროს ძე შეშაბერიძე, 70 წლის, სოფელი ვარგავი, 1973, ეთნოგრაფიული მივლინების დღიური.

ვდნენ. გობი ფაქტიურად წარმოადგენდა 25-30 სმ სიღრმის წყლის მცირე საგუბარს, რისი საშუალებითაც ხდებოდა ნიადაგის მორწყვა დატბორების წესით.

ესენთში ზოგჯერ ადრე გაზაფხულზე ვაზისა და ხეხილისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები იქმნებოდა. წლის ამ პერიოდში ნაადრევი დათბობა იცოდა, რის გამოც მცენარეებს ადრე ეწყებოდათ ვეგეტაცია და ყვავილობა, გაზაფხულის სითბოს კი ხშირად სუსხიანი ამინდები ცვლიდა. იცოდა რთვილი, რომელიც აზიანებდა გაღვივებულ კვირტებსა და ყვავილს. ამის თავიდან ასაცილებლად მესხებს შემუშავებული ჰქონდათ ორიგინალური აგროტექნიკური წესი, რომელიც ადრეულ ვეგეტაციას ხელოვნურად ამუხრუჭებდა. ზამთრის დასაწყისში ან უფრო გვიან, ზვრებსა და ბაღებში ტერასებზე მიუშვებდნენ წყალს და გობებში დაატბორებდნენ. წყალი იყინებოდა და ნარგავთა შორის ასე ხელოვნურად შექმნიდა ყინულოვან ფენას. გაზაფხულზე ყინულით დაფარულ ადგილებზე ნიადაგს ერთხანს უნარჩუნდებოდა დაბალი ტემპერატურა, რას გამოც მცენარე 8-10 დღით აგვიანებდა კვირტის გამოღებას. ეს დრო კი სავსებით საკმარისი იყო, რათა აეცდინათ მცენარისათვის არახელსაყრელი პერიოდი — ადრეული ვეგეტაცია. მაგრამ თუ კიდევ რამდენიმე დღით დაჰყოფდა წარმოადგენდა, ნიადაგისათვის დაბალი ტემპერატურის შენარჩუნება, მას შემდეგ, რაც ყინული გალხვებოდა, ტერასებზე მთის ცივი ლანჭკარიანი წყლით რწყავდნენ და ასე მიწა ერთხანს კიდევ ცივად ინახავდა თავს. ზამთრობით, ძლიერი ყინვების დროს იცოდნენ ვენახის შებოღვა.

ზოგიერთ რაიონში მკაცრი კლიმატური პირობების გამო დასახლების ზონა უვენახო და უხილო იყო. მათი კულტივირებისათვის სოფელი „ხრამის“ მიწებს იყენებდა. აქედან წარმოიშვა ტერმინი „ხრამის მამული“, რომელიც, ისე როგორც „მთის მამული“ აღმოსავლეთ საქართველოში მთიანეთში მეურნეობის ზონალურ ხასიათზე მიუთითებს.

მევენახეობის მესხური კულტურა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ერთი მხრივ, ამ თავისებურებათა მაჩვენებელია ვაზის გაშენება ტერასებზე, ხოლო, მეორე მხრივ, საღვინე თუ სუფრის ყურძნის ჯიშების აბორიგენული ხასიათი. ღვინის დაყენების ტრადიციული წესების დადგენა დღეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ხიზაბავრასა და საროში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობამ 20-იან წლებამდე მოაღწია. მესხეთში, იქ, სადაც ძველად ვაზის მოშენებას მისდევდნენ, ყველგანაა შემონახული მეღვინეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ნაშთები, მარნები, საწინახლები, ქვევრები და სხვ.

## ტერასული მიწათმოქმედების განვითარების ძირითადი ფაქტორები საქართველოში

ტერასული მიწათმოქმედება, როგორც დავინახეთ, მიწის ინტენსიურ და რაციონალურ გამოყენებას გულისხმობს. მას, ისევე როგორც მიწათმოქმედების სხვა ფორმებს, აქვს თავისი ხანგრძლივი ისტორია, ჩასახვითა და გახვითარების სტადიები. სოციალურ-ეკონომიურ და ისტორიულ მოვლენათა შეაწავლა მათ ქრონოლოგიურ აპექტში განხილვას და დათარიღებას გულჯახმობს, რომელიც წერილობით წყაროს ან მატერიალურ ძეგლს ეყარება, მაგრამ აქვს ვერ ვიტყვიტ ტერასულ მიწათმოქმედებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვეგულება წერილობითი წყარო ან სხვა სახის დოკუმენტური მონაცემი, რომელიც ზოგადად მაინც წარმოგვიდგენს მის საწყის ეტაპს. არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომლის თანახმად, რაც უფრო ძველია მიწათმოქმედების კულტურა და მაღალია მოსახლეობის სიმკრძროვე, მით უფრო ფართოდ არის გავრცელებული ტერასები.<sup>1</sup> ხაზგასმულია დაბლობში სახმარი მიწის სიმკირე და აქედან გამომდინარე, მთის ფერდობების სამეურნეოდ ათვისების აუცილებლობა<sup>2</sup>. ეს დებულებები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პირდაპირ პააუხს ვერ გვაძლევს. ცხადია, მიწათმოქმედების კულტურის სიძველე და მოსახლეობის სიმკრძროვე, ასევე დაბლობებში აგრარული სივიწროვე, დიდ ბიძგს იძლეოდა მთის ზონის ათვისებისა და იქ ბინადარი ცხოვრების დამკვიდრებისათვის, მაგრამ შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი მთიანი ქვეყნები და კუთხეებიც, სადაც სამეურნეო კულტურის მაღალი დონის მიუხედავად ტერასული მიწათმოქმედება არ არსებობდა. აქ, უპირველეს ყოვლისა, ხაზ უნდა გავესვას იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ტერასები და, მასალაძამე, ტერასული მიწათმოქმედება დამახასიათებელი იყო, როგორც მთის, ასევე ბარის ზონისათვის. ამის მაგალითს, სხვას რომ თავი დავა-

<sup>1</sup> А. А. Черкасов. Мелнорация и сельскохозяйственное подоснабженно. М., 1954, стр. 337.

<sup>2</sup> А. И. Костяков. Основы мелнорации. М., 1954, стр. 737.

ნებოთ, ქართული სამეურნეო ყოფა გვაძლევს. მაშასადამე, ტერასების აღ-  
მოცენებისათვის მარტო რელიეფის მთავორიანობა არ იყო საკმარისი. მის-  
გაჩენას სხვა აუცილებელი ფაქტორებიც უნდა ხლებოდა. ისტორიულ-  
ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, სპეციალური და სხვა მომიჯნავე დარ-  
გების მონაცემებიდან ირკვევა, რომ ასეთ ფაქტორებს შეადგენდა მაღალი  
ნალექიანობა, რომლის დროსაც გარდუვალი იყო ეროზიური პროცესი  
ან ჰავის ზომიერად, ეს კი განაპირობებდა ხელოვნური მორწყვის აუც-  
ლებლობას.

როგორც ეროზიასთან ბრძოლას, ასევე ფერდობების მორწყვის გან-  
ხორციელებას უძველეს დროში უნდა დაეხედა ფერდობზე მიწის დაც-  
ვისა და მისი ხელოვნურად გარდაქმნის იდეა. ამ დასკვნამდე მივყავართ  
არა ფორმალურ ლოგიკურ მსჯელობას, არამედ იმ უტყუარ მონაცე-  
მებს, რომელსაც ქართული სამეურნეო ყოფა უხვად გვაწვდის.

საქართველოს ცალკეულ რეგიონებში წარმოებული სავსე ეთნოგ-  
რაფიული ძიებანი გვიჩვენებს, რომ განსხვავებული ბუნებრივ-მეურნეო-  
ბრივი ზონებისათვის დამახასიათებელი იყო ტერასული მეურნეობის ჩა-  
სახვისა და განვითარების საკუთარი, სპეციფიური თავისებურებანი.

დასავლეთ საქართველოში, როგორც ტენიან სუბტროპიკულ და  
პლუვიალურ ზონაში, ტერასული მიწათმოქმედების ჩასახვის იდეა მიწის-  
დარეცხვის მავნე შედეგებიდან მომდინარე ჩანს. ამას მთავორიანი რელი-  
ეფის პირობებში მაღალი ნალექიანობა იწვევდა. დარეცხვის ტენდენცია  
დაუყოვნებლივ ვლინდებოდა, როგორც კი ხდებოდა ფერდის გაწმენდა  
მცენარეული საფარისაგან. ასეთი ეროზია ანტროპოგენურ ფორმად არა-  
პირველი. მისი ელემენტებია ატმოსფერული ნალექები, რელიეფის და-  
ფერდებულობა, ნიადაგის ხასიათი და ადამიანის არასწორი მეურნეობრი-  
ვი საქმიანობა.<sup>3</sup> მაშასადამე, იგი ისტორიული ხასიათის მატარებელია,  
აქედან გამომდინარე, სავსებით თამამად შეიძლება იმის ვარაუდი, რომ  
ჯერ კიდევ მიწათმოქმედების ადრეულ ეტაპებზე მსგავს სიძნელეთა წინა-  
შე უნდა აღმოჩენილიყვნენ მიწათმოქმედების მიმდევარი კოლხური ტო-  
მები, რომლებიც გორაკ-ბორცვებზე და მთის ფერდობებზე იყვნენ და-  
სახლებული. ცხადია, იმ პერიოდში მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი  
მიწის სიმცირე არ იგრძნობოდა, რაც მიწის ნაკვეთების ჩქარი ცვლის სა-  
შუალებას იძლეოდა. პირველყოფილი მიწათმოქმედებისათვის დამახასია-  
თებელი ეს უნივერსალური მოვლენა კარგად ცნობილია ზოგად ისტო-

3. М. П. Заславский. Эрозия почв и земледелие на склонах.  
Книг., 1966. стр. 8.

რიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით<sup>4</sup> და ცხადია, მას ჩვენშიც ჰქონდა ადგილი. მაგრამ მიწის შეუზღუდავად გამოყენება დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ასეც რომ არ იყო, იგი ვერ გამორიცხავდა მიწის დაცვის იმ იდეას, რომელიც მიწათმოქმედების განვითარების მოცემულ ეტაპს შეესაბამებოდა. ბუნებრივი ფაქტორები უცვლელი რჩებოდა. რეალური ვითარება კი ადამიანს კარნახობდა მიწის დაცვიანთვის რაიმე საშუალება გამოეებნა.

ძლიერი წვიმები ზაანს აყენებდა ნიადაგებსაც და ნათესებსაც. ამასთან, აგრარული საქმიანობის მკაცრად რეგლამენტირებული კალენდარი, დაღვარული, წალეკილი მინდვრების განმეორებით დათესვას ჩვენს პირობებში გამორიცხავდა. ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ტერასული მიწათმოქმედების გაჩენის საფუძველი იყო ნალექების სიჭარბე. ძირითადი ამოცანა იყო ზედმეტი წყლის აცილება და ხელმისაწვდომი ნატურალური საშუალებებით მიწისა და ნათესების დაცვა დაღვარვისაგან, ამიტომაც მას ცალკე გამოყოფთ და ტერასული მიწათმოქმედების პლურალურ ტიპს ვუწოდებთ.

ბრინჯაოს იარაღის გაჩენის შემდეგ შესაძლებელი გახდა ტყის უფრო დიდი ნაკვეთების გამოყენება მემინდვრობაში. გაუმჯობესდა მიწის დამუშავების ტექნოლოგია, გაადვილდა სარეველა მცენარეებთან ბრძოლა. ამის მაჩვენებელია ბრინჯაოს კოლხური ცულებისა და თოხების დიდი ნაირსახეობა.<sup>5</sup> ასეთ პირობებში გარკვეული ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო ნიადაგის დაცვის პირველყოფილ სისტემაშიც. ნაკვეთის შემოზღუდვა საღვარულებით, ნიადაგის დასაცავად ნაკაფი ხეების გამოყენება, გერონის, კაღახის, ბეკის თუ მათ მსგავს მარტივ ტერასულ ნაშენობათა აღმოცენება თამაზად დასაშვებია ბრინჯაოს გაჩენის პირობებში, როდესაც მიწათმოქმედებას მძლავრი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული.

აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურმა პირობებმა და კულტურათა თავისებურებებმა ისტორიულად განაპირობა როგორც ურწყავი, ისე სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება. ვახუშტი დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და ხეო-

4. К. Бухер. Воинственно народное хозяйство. М., 1923; И. П. Зинбер. Очерки первобытной экономической культуры. М., 1937; И. П. Третьяков. Подсечно земледелие в Восточной Европе. ИГАНМН. XIV, в. 1. М.-Л., 1939; Д. Кларк. Доисторическая Европа. М., 1953; М. О. Косвен. Очерки истории первобытной культуры. М., 1957.

5 ასეთივე როლი ითამაშა რკინის იარაღის გაჩენამ. მან უფრო დიდი ბიძგი მისცა მემინდვრობის განვითარებას. ტყის გაკაფვა, ხეების ამოძირკვა, მიწის დამუშავება სახნისანი კავით უფრო იოლი გახდა (ვ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, 1950, გვ. 216).

ბების შესახებ. ამ მონაცემებში დახასიათებულია არამარტო ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავებული ხასიათი, არამედ ქვეყნის ნაყოფიერება, მიწათმოქმედების კულტურები, ბუნებრივ და მეურნეობრივ პირობათა თავისებურებანი. არათანაბარი იყო ნალექების განაწილება წლის განმავლობაში. გვალვა არ იყო ხანგრძლივი, მაგრამ იგი დიდ ზიანს აყენებდა ზოგიერთ კულტურას, განსაკუთრებით ვენახსა და ხეხილს.

შემოდგომისა და ზამთრის პერიოდი თავისი ტენიანობით საკმარისი იყო ზამთრის პერიოდის სათვისად. აპიტომაც მიწის დამუშავება ორგანოს ხენით იფარგლებოდა. არც საგაზაფხულო ნათესები ირწყვებოდა. მცენარის განვითარებისათვის ნიადაგში საკმარის რაოდენობით ტენის შენარჩუნებას აღწევდნენ რიგი აგროტექნიკური ღონისძიებებით, რომელთაგან, მაგალითად, მესხეთში და ქართლის ცალკეულ უბნებზეც მიმართავდნენ მიწის სამგზის ხენას. მესხეთში იგი ცნობილია გათერძვის, ჩაღარვისა და თესვის წინა ხენით. მიწის საჩქარადი ხენა ურწყავი მიწათმოქმედების ტიპს განეკუთვნება. მესხეთსა და ქართლში შემინდვრება ურწყავ მიწათმოქმედებას ემყარებოდა, მაშინ როდესაც საჩქარადი მიწათმოქმედება მოიცავდა მებღებობას, მევენახეობასა და მებოსტნეობას. მაგრამ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სათესი მინდვრები არასდროს არ ირწყვებოდა. გაბმული გვალვების შემთხვევაში, სადაც კი საჩქარადი წყალი არსებობდა, მას არც ნათესებს ვიაკლებდნენ ხოლმე.

საქართველოს სამეურნეო ცხოვრების სინამდვილემ გვიჩვენა, რომ მიწათმოქმედების ტერასულმა სისტემამ ისტორიულად განვითარება კპოვა როგორც დასავლეთის სუბტროპიკულ ზოლში, რომელიც მაღალი ნალექიანობით ხასიათდება და დარეცხვის ინტენსიურობით გამოირჩევა, ასევე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მის ცენტრალურ და სამხრეთ პროვინციებში: ქართლში, მესხეთში, ჯავახეთში, შავშეთში, ტაო-კლარჯეთში; მტკვრისა და ქოროხის შენაკად ხეობებში. ამ რეგიონში შავი ზღვის გავლენა სუსტია, ჰავა კონტრხენტური და რაც მთავარია, ნალექების განაწილება წლის განმავლობაში არათანაბარია. ეს ბუნებრივი ფაქტორები ისტორიულად აპირობებდნენ ხელოვნური მორწყვის აუცილებლობას. აღნიშნულ კუთხეთა სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაში ხელოვნური მორწყვა ძალზე დიდ როლს თამაშობდა. ასეთ პირობებში თუნდაც ყველაზე მარტივი სახის საირიგაციო სისტემის გაჩენა გადაუდებლად მოითხოვდა ფერდის ზედაპირის, ქანობის პროფილის ხელოვნურად შეცვლას. იქ სადაც კლიმატურ პირობათა თავისებურების გამო მორწყვა მიწათმოქმედების შემადგენელ ნაწილად იფიქრებოდა, მისი დამკვიდრება და, მითუმეტეს, ეფექტურობა დამოკიდებული იყო ფერდობის დაბაქნებაზე, ე. ი. იმაზე, თუ წყლის ათვისების რამდენად მაღალი უნარი ექნებოდა ნიადაგს. სხვა შემთხვევაში,

ფერდის ბუნებრივი პროფილის ხელოვნურად შეცვლის გარეშე მორწყვა-პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერასული მიწათმოქმედება უნდა განვასხვაოთ დასავლურ-ქართულისაგან და გამოვყოთ ცალკე, როგორც ირიგაციული ტიპი.

ქართულ ეთნოგრაფიულ მონაცემებში არაერთგან აღნიშნულია ფერდობების დატერასების პრინციპული კავშირი წყლის სამეურნეო გამოყენებასთან. მოვიყვანთ მესხეთში ჩაწერილ ერთ საგულისხმო მაგალითს. ადგილობრივი გლეხები ტერასების მოწყობის საჭიროებას მრავალი მიზეზით ხსნიან. „აქაურ ქვეყანაში მიწა იმნაირია, რომ თუ წყალი იქნა, ყველაფერი იქნება. მთავარია წყალი ხილისათვის. ამ ადგილებში უწყლო ხილი არ ივარგებს, თუ არ მოიარწყვა, გადაიწვება. წყლის მოყვანა გვერდად ადგილზე უფრო ხერხდება. მაგრამ თუ გვერდში ხილის ჩაყრა გვირდა, ისე უნდა ვაკეთდეს, რომ კარგადაც მოიარწყვას, ამიტომ სჭირდება გვერდის გავაკება, რომ ხილს წყალი ჩაუდგეს. დავაკებულ ადგილს კარგად მორწყავ, თუ დაფენება იქნება, შენი წყალიცა და სხვისიც იმას ჩამორეცხამს, აქ ღვარები იცის, გვერდზე ღვარი ძალიან ცუდია. თუ ბაქნები მოუწყვეს იმდენი ძალა აღარა აქ. მოწყობილ დარეჯებზე აღარც ქვა გორამს, ხეხალის ნაყოფიც რო ჩამოცვივდება, ადგილობრივ დარჩება. დარეჯი იმიტაც კარგია, რომ მიწა შენს გემოზეა დამუშავებული, გამოწმენდილი, გაპატიებული, გვერდაზე ამაებს ვერ გააკეთებ.“<sup>6</sup>

ამ დახასიათებაში ტერასების მრავალი მნიშვნელობიდან, უპირველეს ყოვლისა, არაერთგან აღნიშნულია მათი აუცილებლობა მორწყვისათვის.

სხვა რეგიონებში ჩაწერილ მასალებშიც ტერასების სამეურნეო დანიშნულების დახასიათებისას იგივე ტენდენცია ვლინდება: „ჩვენში მიწა კარგია. ხელუკულმა გადაჯდებული თესლი წალმა ამოვა, მაგრამ ვაზისათვის ვაკე არ ვარგა, ფერდი ადგილი კარგია. ხილისათვისაც ის ჯობია. ვენახს ბევრი შრომა უნდა, ტახტი უნდა აუშენო. ტახტებს იმიტომ ვაშენებდით, რომ ხილი და ვენახი მოგვერწყო. თუ არ მორწყავ, გვალვა გაანმობს. მიწა მშრალია, რბილი, ადვილად ღვარამს წვიმა“.<sup>7</sup> ანალოგიურაზრს გამოთქვამენ სოფ. ერთაწმინდელი (ქასპის რაიონი) გლეხები. „ნათრთვეი ერთ ხვნაზე ოთხ ვერმოკზე დასწევდა მიწას. დიდი ფერდის დაბაქნებას მეტი დრო უნდოდა. ზოგი ადგილი დღესაც სრულად არ არის დაბაქნებული. იქ კვლებს ვაკეთებდით, რომ მიწა არ დაეხრამა. ბაქნებს იმიტომ ვაკეთებდით, რომ წყალი მიგვეყვანა ვენახამდე და ბაღში წყალი

6 მ. გ. გ. შ. ი. ქ. ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 92.

7 გოლა კონას ძე ოგანოვი, 91 წლის, სოფელი ბოგვი (თეთრიწყაროს რაიონი) 1975, ეთნოგრაფიული მასალების დღიური.



ვაგვეშვა. ვაზისათვის გვერდს ბაქან-ბაქანად ვაყენებდით, ისე არ შეიძლებოდა, მიწას როგორა მოარწყყა.<sup>8</sup>

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში ტერასების კავშირი მორწყვისთან უდაო ხდება. ეს საფუძველს გვაძლევს მას ტერასული მიწათმოქმედების ირიგაციული ტიპი ვეუოდოთ და გავვიჩნოთ იგი დასავლურ-ქართული პლუვიალური ტიპისაგან. მეორეს მხრივ ფაქტობრივი მონაცემები საფუძველს გვაძლევს ტერასული მიწათმოქმედების გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში ადრებრინჯაოს ხანიდან ვივარაუდოთ. ამ დებულებას მხარს უჭერს მთის სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების ისტორია. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის მოსაზრებები და დამკვნები, რომელიც მეურნეობის ამ დარგის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგადაა მიღებული. დადგენილია, რომ საქართველოში მორწყვა, როგორც მიწათმოქმედების შემადგენელი ნაწილი, ძირითად თავისებურებას ავლენდა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ბარის (დაბლობის) მთისწინა და მთის ზოლში არსებული სარწყავი ტრადიციების სახით. მთისწინა და მთის ზოლში იგი სამთო ირიგაციის ტიპურ ხასიათს ატარებდა,<sup>9</sup> ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით მ. გეგეშიძემ წამოაყენა საგულისხმო მოსაზრება, რომლის თანახმად სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში ურწყავ მიწათმოქმედებაზე ადრეა გაჩენილი.<sup>10</sup> ამასთან, ირიგაციის განვითარების ზოგადი კანონზომიერების თვალსაზრისით, მისი ჩასახვის თავდაპირველ გარემოდ მთის წინა ზონაა მიჩნეული, სადაც იგი წყარო-ნაკადულურ რესურსებს ეყარებოდა, ხოლო ბარის დიდი საირიგაციო სისტემები სარწყავი მიწათმოქმედების შექმნაში განვითარების ეტაპს წარმოადგენდა.<sup>11</sup> სამთო სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოს ამ ზონაში მობინადრე ქართველ ტომთა სამეურნეო ცხოვრების უძველესი ტრადიცია იყო. ამრიგად, საკუთრივ ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ ტერასული მიწათმოქმედება, რომელიც ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამთო ირიგაციულ სისტემებთან, ისეთივე ძველია, როგორც თვით მორწყვა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთისწინა ზონაში სარწყავი მიწათმოქმედების გავრცელების არე ემთხვევა საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების ისტორიულად ცნობილ რაიონებს.<sup>12</sup>

8 დიმიტრი სიმონის ძე ხუციშვილი, 84 წლის, სოფელი ერთაწმინდა, კასპის რაიონი, 1975, ეთნოგრაფიული მასალების დღიური.

9 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 228, ნ. ჩიჭავაძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან აქარაში, თბ., 1971, გვ. 38.

10 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

11 იქვე, გვ. 226.

12 იქვე, გვ. 195.

ამრიგად ჩანს, რომ ფერდობების ვაკისებად გარდაქმნა, როგორც მთის მიწათმოქმედების განუყოფელი ნაწილი და მისი ძირითადი აგროტექნიკური ელემენტი, უკავშირდებოდა წყარო-ნაკადულებრივი მორწყვის საწყისებს.

საქართველოში წყარო-ნაკადულებრივი მორწყვის დადასტურებამ საფუძველი მიატოვა მოსაზრებას, მკვიდრი ბინადარი ცხოვრებისა და მკვიდრი საწყისი მეურნეობის არსებობის შესახებ მცირე ხევებისა და წყარო-ნაკადულების მახლობლად, სადაც წყალი ადამიანს პირვანდელ მარტივ ფორმებში სარწყავადაც უნდა გამოეყენებინა. ამ საფეხურზე და შემდგომაც, როგორც ფიქრობენ, ცხოვრებისა და სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის ხელსაყრელი იყო ხევის პირობები, მთისძირი, მთის კალთები,<sup>13</sup> შედარებით გვიან კი მოზარდილი მდინარეების ქალის პირები. ასეთივე მარტივი, საწყისი ფორმები გააჩნდა უთუოდ ფერდობებზე ტერასების შექმნას, რომელიც თავისი ფორმითა და სიძლიერით შეესაბამებოდა მთური მორწყვისა და მიწათმოქმედების იმ დროინდელ მასშტაბებს.

მთის წინა ზოლის მიწათმოქმედების პირველადობასა და წყარო-ნაკადულებრივი მორწყვის არქაულობას ზოგადი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა მონაცემები უმაგრებს მხარს.

ი. კიკვიძე ბარის სარწყავი მიწათმოქმედების არსებობას აღმოსავლეთ საქართველოში შეაბრინჯაოს ხანიდან ვარაუდობს და თავის მოსაზრებას ამყარებს იმ არქეოლოგიურ მონაცემებზე, რომლის თანახმად ამ პერიოდში შეიმჩნევა ბარის მოსახლეობის შედარებით ინტენსიური ზრდა. ბარის ასეთი დასახლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ხელოვნური მორწყვაა ნავარაუდები.<sup>14</sup> მაგრამ შეაბრინჯაოს ხანაში მორწყვაზე დამყარებული მიწათმოქმედების განვითარების პროცესი იმის საბაბააც გვაძლევს, რომ ირიგაციის დასაბამი უფრო ადრე პერიოდიდან ვივარაუდოთ ბარში და, მითუმეტეს, მთისწინა ზონაში.<sup>15</sup> ამ მხრივ სავსებით დამაჯერებლად გვეჩვენება ეთნოგრაფთა მოსაზრებანი.

საქართველოში აღრეული პერიოდის სარწყავ მიწათმოქმედებაზე წარმოდგენას გვაძლევს მთისძირისა და წყარო-ხევის წყლებთან არსებული უძველესი დასახლებანი. წყლის ნაპირების, ზოგიერთი გორანააახლარის არქეოლოგიური მასალა გვიანბრინჯაოს-ადრე რკინის ხანისაა, თუმცა.

13 იქვე, გვ. 144.

14 ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში თბ., 1963, გვ. 20.

15 კავკასიის მცირენალექიან რეგიონებში დადგენილი ადრებრინჯაოს ხანის დასახლებანი ძალადრი მეურნეობის მაჩვენებლებით სავარაუდოს ხდიან ამ პერიოდში ხელოვნური მორწყვის არსებობას. К. Х. Кушперова, Т. Н. Чупанова и др., Древние культуры Южного Кавказа, XI, 1970, стр. 108.

დასახლება ასეთ გორებზე უფრო ადრე პერიოდშიც აჩვენებდა. შიდა ქართლში მორწყვა ამ პერიოდში დაწინაურებული ჩანს, მაგარამ როგორც ვარაუდობენ, იგი წყარო-ნაკადულურ სისტემას არ სცილდება.<sup>16</sup> რაც შეეხება დიდ სარწყავ სისტემებს, მათი შექმნა საქართველოში საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს განეკუთვნება. მათი მშენებლობა გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სოციალური ურთიერთობის განვითარებას.<sup>17</sup>

ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, სარწყავი მიწათმოქმედება აგრარული კულტურის გვიანდელი მონაპოვარია. იგი წარმოადგენს სეზონურ ნაღებებზე დაყარებულ მიწათმოქმედების უფრო დაწინაურებულ და სახეშეცვლილ ფორმას.<sup>18</sup> ადრე გავრცელებული იყო აზრი, რომ საირიგაციო ტექნიკას პირველად ეგვიპტეში ჩაეყარა საფუძველი. ბოლოდროინდელი მონაპოვარი მეცნიერების სხვადასხვა დარგში (არქეოლოგიური, პალეობოტანიკური) მხარს უჭერს ეთნოგრაფთა მოსაზრებას, რომ კულტურულ მცენარეთა მოშენება თავის პირველ ეტაპებზეც კი დაკავშირებული იყო მორწყვასთან. თავდაპირველად იგი გულისხმობდა მდინარეთა აღიდების დროს სანაპიროს მოლექვას, ხოლო შემდგომ საფეხურზე ხელოვნურ მორწყვას. ჭერ კიდევ ოციან წლებში დ. დ. ბუკინიჩმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შუა აზიაში, კოპეტდაღის მთისწინა ზოლში, სადაც პურისა და ქერის გარეული სახეებია დადასტურებული, პირველყოფილი მრწათმოქმედება ლიმანურ მორწყვას ემყარებოდა.<sup>19</sup> შუა აზიის აღნიშნულ რეგიონში ხელოვნური მორწყვის ადრეული ეტაპები არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება.

ბ. ვ. ანდრიანოვი იხილავს რა შუა აზიის არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს. გამოპყოფს სარწყავი მიწათმოქმედების სამ ტიპს. რომლებიც განსხვავებულ ლანდშაფტურ ზონაში აჩვენებდა და ვითარდებოდა.<sup>20</sup> ესაა ბარის, მთისწინისა და მთის ტიპი. მთისწინის ირიგაციის დასაწყისი დაყარებული იყო ლიმანურ და ნაკადულური მორწყვის წესებთან. როგორც ბ. ვ. ანდრიანოვი ფიქრობს, იქ მთის ხეობების ზონაში

16 ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

17 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის კრებული, 1, თბ., 1960, გვ. 169.

18. В. Р. Вильямс. Почвоведение. Земледелие с основами почвоведения, М., 1939, стр. 301.

19. Д. Д. Буквич. История первобытного орошаемого земледелия и скотоводства. Хлопковое дело, № 3-4, 1924, стр. 110.

20 В. В. Андрианов. К вопросу о классификации форм орошаемого земледелия в Средней Азии. Очерки по истории хозяйства народов Средней Азии и Казахстана, 1973, стр. 11.

ნაკადულურმა მორწყვამ ადამიანი ჯერ კიდევ უძველეს ხანაში მთის ტერასული მიწათმოქმედების შექმნამდე მიიყვანა.<sup>21</sup>

მთის ზონის სარწყავი და ტერასული მიწათმოქმედების ერთობლივი აღმოცენება-განვითარების კანონზომიერება ზოგად-ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება. გერმანელი მეცნიერი ვ. ლიდკე, გამოდის რა აზიისა და აფრიკის მთიან ქვეყნებში არსებული ვითარებიდან, აღნიშნავს, რომ მთაგორიან ადგილებში მორწყვა ტერასების მშენებლობასთანაა დაკავშირებული. ტერასები იგება იმ განზრახვით, რომ რაც შეიძლება რაციონალურად იქნას გამოყენებული წყლის მცირე მარაგიც კი. ძირითადად ამ ღონისძიებათა გატარებით შესაძლებელი ხდება მთის ფერდობების გამოყენება კულტურების მოსაშენებლად. მიუხედავად ამისა, თუ სარწყავი წყლის რა მარაგი არსებობს — მცირე თუ დიდი, დატერასება ფერდის მორწყვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.<sup>22</sup> ამრიგად, თუ ისტორიულად სამთო ირიგაციისა და ტერასული მეურნეობის ურთიერთკავშირი, მათი განპირობებულობა ექვს არ იწვევს, მაშინ, ვიჰეორებთ, ეს ორივე აგროტექნიკური ღონისძიება თავისი აღმოცენება-განვითარებით ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. განვიხილოთ ანალოგიური მონაცემები სხვა ხალხთა სამეურნეო ყოფიდან. როგორც ამას ადრეული კულტურის ცნობილი სპეციალისტი ს. ა. სემიონოვი აღნიშნავს, მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის ისტორია იმ ქვეყნებში, სადაც ატმოსფერული ნალექები მცირე იყო ან არარეგულარულად მოდიოდა, იგივეა, რაც მორწყვის წესების ისტორია. ს. სემიონოვი ხაზს უსვამს სარწყავი მიწათმოქმედების ძირძველობას და მის მომდინარეობას მიწათმოქმედების საწყისი ეტაპიდან.<sup>23</sup>

ფერდობებზე ტერასულ-სარწყავი მიწათმოქმედების აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მორწყვის ტექნიკური გადაწყვეტის სიადვილე ჩანს. ერთი შეხედვით, მსგავსი გარემოება თითქოს უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ ძველი თუ ახალი ქვეყნების მთელი რიგი მონაცემები მეტყველებს, რომ მიწათმოქმედების ადრეულ საფეხურებზე მეტად მარტივი საწარმოო საშუალებათა არსებობის პირობებშიც კი მორწყვის ორგანიზაცია მთის ფერდობებზე წყარო-ნაკადულების გამოყენებით შედარებით იოლად იყო მიღწეული. განვითარების იმავე ეტაპზე ბარში თუ ხეობების ძირში გორაკ-ბორცვების მორწყვა

21 Б. В. Андрианов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 14.

22 W. Liedtke. *Formen der wirtschaft Die Badenbauer völkerkunde für Jederman*. Leipzig, 1967, s. 86-87.

23 С. А. Семенов. *Происхождение земледелия*, Л., 1974, стр. 156.

დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან არ იცნობდნენ მდინარიდან წყლის მალა აწევის ტექნიკას.

მთის ნაკადულებიდან, ამ ბუნებრივი არხების ნებისმიერი ადგილიდან, უმარტივესი ხერხით (ღია რუების საშუალებით) ხდებოდა წყლას დაშვება ფერდობის ნაკვეთებზე. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ირიგაციული მიწათმოქმედება მთის იმ ზონაში აღმოცენდა, სადაც შედარებით ადვილდებოდა ფერდობის დატერასება, კულტურების მოშენება და ადგილობრივი წყლების თუ გაზაფხულზე თოვლის გამდნარი წყლების გამოყენება სარწყავად.

მიწათმოქმედების ასეთი ტიპი განვითარებული იყო ავღანეთის მთიან რაიონში. იქ მიწის მცირე ნაკვეთებიც კი, რომლებიც ხელსაყრელი იყო კულტურების მოსაშენებლად, ხელოვნურ ბაქნებად ჰქონდათ გადაქცეული და მთის ნაკადულებით ირწყვებოდა.<sup>24</sup> საზოგადოდ, ავღანეთში მორწყვის სამი ტიპია დადგენილი. ნაკადულური — მთაში, კარიზული — მთის ძირის ზოლში და სამდინარო — ბარში. ამასთან, მცირესარწყავ სისტემებში შემუშავებული ჰქონდათ მორწყვის მრავალი ფორმა, რომელთა გამოყენება დამოკიდებული იყო ნიადაგურ-რელიეფურ პირობებზე.<sup>25</sup>

აღრე, მიწათმოქმედების წარმოშობას მკვლევართა დიდი ნაწილი შუამდინარეთს, ეგვიპტეს და ინდოეთს უკავშირებდა, ხოლო მის შემდეგ განვითარებას და დაწინაურებას ევროპის ქვეყნებს მიაწერდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ველურ მცენარეთა გარკვეული სახეობანი ამერიკელი ინდიელების მიერაა გაკულტურებული.

ჩრდილო ამერიკის ინდიელები უვლიდნენ და საკვებად იყენებდნენ ველურად მზარდ მცენარეთა ათასზე მეტ სახეობას.<sup>26</sup>

დღეს არავისთვის სადაო არაა, რომ ამერიკის კონტინენტზე მიწათმოქმედებას საფუძველი მექსიკაში, ცენტრალურ ამერიკაში და ანდებში ჩაეყარა.<sup>27</sup> ველურად მზარდი მცენარის მოვლა-პატრონობა სხვა არაფერია, თუ არა პირველყოფილი მიწათმოქმედების საწყისი. მექსიკასა და ანდებში მიწათმოქმედება მარგილისა და ნიჩბისპავეარ ხის საშუალო იარაღს (თაკლი) ემყარებოდა, რომელსაც ზოგჯერ პირზე წამოვებული ჰქონდა ბრინჯაოს ბუნიკი. იგივე ითქმის მაიას ტომზე. იქაც მიწის დასამუშავებელი მთავარი იარაღი იყო წამახული ჯოხი, რომლის წვერს

24 Н. Н. Вавилов и Д. Д. Букниц. Земледельческий Афганистан, Л., 1929, стр. 139.

25 იქვე, გვ. 162.

26 Н. Н. Вавилов. Великие земледельческие культуры доколумбовской Америки и их взаимоотношения. Избранные труды. т. II, 1960, стр. 167.

27 Л. А. Файнберг. Вклад американских индейцев в мировое земледелие. Культура индейцев, М., 1963, стр. 16.

ცეცხლზე აწითობდნენ. თუ ამერიკის ინდიელებში, საერთოდ, საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სიპინდის კულტურა იყო, მაიას ტომმა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და პირველ რიგში, სიპინდის სელექციის ფართო განვითარებას მიაღწია.<sup>28</sup>

უ. ფოსტერის ცნობით, სიპინდი, რომელიც ამერიკის აბორიგენთა ძირითად საკვებ მარცვლეულს შეადგენდა, ინდიელების მიერ სხვა მცენარეებზე აღრე იქნა გაკულტურებული.<sup>29</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის ინდიელები კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში არ იცნობდნენ რკინას და არც გაწევი ძალის გამოყენებას მიწათმოქმედებაში. მაგრამ პერუს მიწათმოქმედმა ტომებმა ინკების ეპოქაში და მათზე აღრე ბრწყინვალე ცივილიზაცია შექმნეს.<sup>30</sup> განვითარების მაღალ საფეხურს მიწათმოქმედებამ სწორედ პერუსა და ბოლივიის მთის ზოლში მიაღწია. პერუელ ინდიელთა წინაპრებმა ხელოვნურად გარდაქმნეს ციკაბო ფერდობები და კლდოვან ადგილებზე სარწყავი სისტემებით მრავალიარუსიანი ტერასული მინდვრები შექმნეს. ამ ტერასებს აშენებდა არა ერთი თაობა ასეული წლების განმავლობაში,<sup>31</sup> ამათთან. ბაქნებზე ნიადაგურ ფენას მოზიდული მიწა შეადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, გარეული ფრინველის ნაკელით ნოყიერდებოდა.<sup>32</sup>

ანდების მცხოვრებლებს ესპანელებმა მოსვლამდე თავისი ქალაქები და ტაძრები ჰქონდათ 2-3 ათას მეტრზე ზღვის დონიდან და უფრო მაღლა. მიუხედავად იმისა, რომ ხის თოხის გარდა სხვა იარაღს არ იცნობდნენ, ეჩუასა და ჩიბრას ტომები მიწათმოქმედებაში მრავალ აგროტექნიკურ ხერხს იყენებდა.<sup>33</sup>

წვიმების პერიოდში წყლის ნაკადები რეცხავდა ანდების ფერდობების მიწებს, ხოლო გვალვების პერიოდში გამოწარმოებული მიწა მორწყვას ნორთხვავდა. სწორედ ამ ორმა გარემოებამ განაპირობა ფერდობების დატერასება და მათი გაშავება ქვის კედლებით.

ტერასული მიწათმოქმედების განუყოფელი კავშირი მორწყვასთან ყველაზე თვალსაჩინოდ ბრინჯის კულტურაში ჩანს. ამის მაგალითს გვაძლევს სოფლიოს არაერთი უძველესი მიწათმოქმედების ქვეყანა, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნები: ირანი, ავღანისტანი, პაკისტანი, ინდოეთი, ინდონეზია, ჩინეთი და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყ-

28 В. В. Книжалов. Культура древних Майя. М., 1971, стр. 75.

29 У. Фостер. Очерк политической истории Америки, М., 1953, стр. 35.

30 К. С. Тарасов. Перу. М., 1974, стр. 23-24.

31 С. А. Семенов. Дасახ. ნაშრ., გვ. 161.

32 Г. Кунов. Всеобщая история хозяйства. М-П, 1929, стр. 257-258.

33 В. В. Книжалов, Дасახ. ნაშრ., გვ. 22.

ნები. შევინდვრობის ძირითადი კულტურა, რომელიც ამ ქვეყნებში მო-  
წათმოქმედების პროფილს განაზღვრავდა, იყო ბრინჯი. ამიტომაც საბ-  
რინჯე მიწის დამუშავების ხალხური ტექნოლოგია და ბრინჯის მოვლა-  
მოყვანის წესები საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ავღანეთში ბრინჯის ყა-  
ნებში შემუშავებული ჰქონდათ მორწყვის ყველაზე სრულყოფილი ინ-  
ფილტრაციული ფორმა, რომელიც წყლის დატბორებით ხდებოდა.<sup>34</sup>

საბრინჯე ყანები წყლის დიდ მარაგს მოითხოვს, ისინი განლაგებული  
იყო მდინარეთა სანაპიროებთან და ასევე მთის საგულდაგულოდ დატე-  
რაქებულ ფერდობებზე. მცირე დაქანების ადგილებზე კი, სადაც ბრინჯი  
მოჰყავდათ, შენდებოდა საკმაოდ დიდი ზომის ტერასები. ტერასული ნაკ-  
ვეთები ერთმანეთისაგან გამოყოფილი და შემოზღუდული იყო ბელტის  
კედლებით, სარწყავად მიშვებული წყალი უნდა დაგუბებულიყო ცალ-  
კეულ უჯრედებში და მიწა გაეონეით მოერწყა. ირანში ბრინჯის ასეთი  
ყანები გაზაფხულიდან შემოდგომაამდე წარმოადგენდა უშველებელ და-  
ქაობებულ ტერიტორიას, რომელიც ხელოვნურად დანაწევრდებოდა მი-  
წის შემაღლებული ზვინულებით.<sup>35</sup>

მორწყვის ამ ფორმის თავისებურება იმაში გამოიხატებოდა, რომ  
იგი, როგორც უკვე ვთქვით, რელიეფის მცირე დაქანებასაც ვერ ითმენდა.  
და მის სრულყოფილად მოსწორებას მოითხოვდა. ჩინეთში, როგორც  
ერთ-ერთ უძველეს და მაღალი აგარული კულტურის ქვეყანაში, სარწყ-  
ვავ-ტერასულ მოწათმოქმედებას ძველთაგანვე მნიშვნელოვანი ადგილი  
ეკიბა.<sup>36</sup>

იაპონიაში, თუმცა მაღალია ნალექების რაოდენობა, სოფლის მეურ-  
ნობაში ხელოვნური მორწყვა მაინც ტრადიციულია. ეს ძირითადად  
ბრინჯის კულტურას შეეხება, რომელიც დიდი რაოდენობით საჭიროებს  
წყალს. აქან ემატება ისიც, რომ ზაფხულის განმავლობაში დატბორებუ-  
ლი ნაკვეთებიდან მაღალია წყლის აორთქლება.

ბრინჯის ყანები ხელოვნურ ტერასებზეა შექმნილი და ერთმანეთისა-  
გან დაკორდებული კედლებითაა გამიჯნული.<sup>37</sup> დატბორებით მორწყვის

34. И. И. Вавилов и Д. Д. Букинш. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 160.

35. Н. А. Кисляков. *Персы (Иранцы). Народы Передней Азии*. М., 1957, стр. 228.

36. М. Н. З а с л а в с к и й. Организация борьбы с эрозией в Народном Китае. Земледелие и животноводство Молдавии. № 2, Киш. 1959, стр. 28.

37. А. Гред. *Земли и крестьянин в Японии*. М., 1959, стр. 153-157.

უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ იგი სავსებით გამორიცხავს ირი-  
გაციულ ეროზიას.<sup>38</sup>

ტერასულმა მიწათმოქმედებამ განსაკუთრებულ განვითარებას მიაღ-  
წია ფილიპინების კუნძულ ლუსონაზე, ბანაეისა და ბატალას პროვინცი-  
ებში. მათ გრანდიოზულ მასშტაბებზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ  
თვით ტერასის ელემენტების განზომილებებიდან. ასე მაგალითად, ტერა-  
სის კედლები, რომლებიც ქვის ჩვეულებრივი წყობითაა აყორილი, სიმაღ-  
ლით ალაგ-ალაგ ოც მეტრამდე აღწევს, საშუალოდ კი მათი სიმაღლე 6  
მეტრია.<sup>39</sup> ასეთი მაღალი კედლების შენება გამოწვეული იყო დიდი დაბ-  
რჩილობის ფერდობებზე ვაკისის გაფართოვების ტენდენციით, რასაც გა-  
ნსაკუთრებით ბრინჯის კულტურა მოითხოვს. მარტო იფუგაოს ტომის  
ტერასული ნაკვეთების საერთო სიგრძე 19000 კმ.-ს აღწევს.<sup>40</sup> ეს ციფრე-  
ბი თავისთავად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორი ტიტანური შრომის და-  
ხარჯვა უხდებოდა სხვადასხვა თაობებს ამ ტერასების აშენებისათვის.  
ლუსონაზე მთის ფერდობებზე ტერასები სპირალის მსგავსადაა გარ-  
სემორტყმული. სარწყავ მიწაზე ბრინჯის მოსავალი ბევრად მაღალია,  
ამიტომაც ხელოვნურ მორწყვაზე დამყარებული მიწათმოქმედების ეს  
დარგი ფილიპინის კუნძულების მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელო-  
ვანი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი გლეხები ძალზე დიდ მნიშე-  
ნელობას ანიჭებდნენ არამარტო ნიადაგს, არამედ ქვენიადაგის თვისებას.  
საქმე იმაშია, რომ წყალგამტარი ქვენიადაგი უვარჯისად ითვლება, რად-  
გან წყალი ტერასებზე განუწყვეტლად უნდა იყოს დატბორებული, რომ  
მცენარეს ნორმალური ზრდის საშუალება ჰქონდეს. ტერასების აგებისას  
წყალგაუმტარ თიხა მიწას ვაკისის ქვედა ფენაში აქცევდნენ. დიდი ყუ-  
რადლება ექცეოდა ნიადაგის ხელოვნურად გაკულტურებას, ამისათვის მას  
ნოყიერი ნიადაგით ავსებდნენ. ამ ტიპის ტერასებზე წყლის დაკარგვა  
მხოლოდ აორთქლებით და მცენარის მიერ შეთვისებით თუ ხდებოდა.<sup>41</sup>

38 იაპონელ მეცნიერებს (პროფ. იასურო კონდო) გამოთვლილი აქვთ, რომ ერთ  
ჰექტარ დატბორილ ბრინჯის ყანიდან მცენარის ზრდის პერიოდში ყოველდღიურად  
იხარჯება 133 კუბ. მეტრი წყალი. ამასთან 41 კუბ. მეტრი წყალი იკარგება მცენარის  
ფოთლების მიერ წყლის ტრანსპირაციის შედეგად. 41 კუბ. მეტრი აორთქლების მიზე-  
ზით და 50 კუბ. მეტრი ნიადაგში წყლის გაფონვის გამო. А. Г р е д. დასახ. ნაშრ.

39 Д. И. Тихонов. Земледельческие орудия и культура земледелия  
у горных народов Юсона. Культура народов зарубежной Азии и Океании.  
М., 1969, стр. 309.

40 იქვე, გვ. 310.

41 იქვე, გვ. 311.



ტერასულ მიწათმოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს აფრიკის კონტინენტზეც. ატლასის მთების ცენტრალურ ნაწილში ზღვის დონიდან 1.700 მეტრზე ბერბერებს მიწათმოქმედება გრანდიოზულ კიბისებურ ტერასებზე აქვთ გაშართული. ამ მიწებზე ზაფხულში ხელოვნური მორწყვის წყალობით მოჰყავთ სიმინდი. ზამთარში, წვიმების სეზონში კი სთესენ ქერს.<sup>42</sup>

დედამიწის სხვადასხვა კონტინენტისა და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, რომელთა მცირე მიზონილვა ჩვენ აქ წარმოადგინეთ, სავსებით ნათლად შეტყვევებს ირიგაციის მკიდრო კავშირს ტერასულ მეურნეობასთან და უდაოს ხდის მთის ოლქების მკვიდრ მოსახლეობაში მის ადრეულ ეპოქაში გაჩენას. ამრიგად, ზოგად ეთნოგრაფიული და ისტორიული მონაცემები, მხარს უჭერენ ტერასული მიწათმოქმედების მთური ირიგაციასთან ერთად აღმოცენების მოსაზრებას, რომელმაც ჩვენ ქართული სამიწათმოქმედო კულტურის სისტემატური შესწავლის შედეგად საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა აღნიშნული მოსაზრება.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ტერასული მიწათმოქმედების ისტორიას საუკუნეობრივი ფესვები აქვს კავკასიაშიც. მან განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოკავკასიაში, განსაკუთრებით კი დაღესტანში.

თუ თვალს გავადევნებთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, შუა და სამხრეთაღმოსავლეთ აზიის, აფრიკის, სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის ზემოთ მოტანილ მაგალითებს, რომელიც სარწყავ-ტერასული მიწათმოქმედების ჩასახვა-აღმოცენებას მთის ზონის პირობებში გულისხმობს, დავინახავთ, რომ ეს რეგიონები ემთხვევა ნ. ი. ვავილოვის მიერ დადგენილ კულტურულ მცენარეთა მთური წარმოშობის მსოფლიოს უძველეს კერებს. ასეთ ერთ-ერთ კერას, როგორც ცნობილია, წინა აზია და კავკასიაც წარმოადგენდა. ამრიგად, ამ უძველეს კერების ჩარჩოებში თავსდება მსოფლიოს ძველი ტერასული მიწათმოქმედებისა და მთური ირიგაციის გავრცელების არეები.

42 X. Меншинг. Между Рифом и Дра. М., 1957, стр. 81.

Н. Ш. Чиджавадзе

## ТЕРРАСНОЕ ЗЕМЛЕДЕЛИЕ В ГРУЗИИ

### Резюме

В основу труда легли полевые этнографические материалы, добытые автором в 1967-1975 годах в различных уголках Грузии.

Террасное земледелие, как и другие отрасли хозяйства, имеет свою историю возникновения и развития.

Грузинский этнографический материал позволил выделить два различных типа данной системы земледелия. В Западной Грузии, которая отличается повышенной атмосферных осадков, исторически сложился особый тип террасного земледелия, в основе которого лежала защита почвы на склонах от поверхностного смыва. Условно мы его назвали плувбиальным типом.

Примером наиболее простых террас и почвозащитных устройств можно считать создаваемые поперек ската заграждения из дерева, конструкция состоящая из бревен и кольев (кадони) и земляные валики (герони). Эти формы террасного земледелия очень рано сложились в горно-лесной зоне Колхиды. Они, как правило, сосуществовали мотыжной культуре и до начала XX столетия сохранились в подсечном земледелии.

В Западной Грузии нами засвидетельствованы несколько вариантов герони и кадони. Установлено также наличие сравнительно развитых форм террас и террасоукрепительных конструкций (боркили, нашени, ангари).

Наиболее высокого развития террасное земледелие достигло в Восточной и Южной Грузии, особенно в предгорьях бассейнов рек Куры и Чорохи. Здесь главным образом, существовали террасы двух видов: ступенчатые, укрепленные камнями (дарежди, секви, тахти) и пахотные террасовые поля с неукрепленными, задерненными стенами (лари).

В указанном регионе террасовое земледелие теснейшим образом было связано с искусственным орошением. Сравнительно сухой климат и неравномерное распределение осадков требовали искусственного увлажнения земли, особенно, на-

ходящейся под виноградниками и садами. В условиях горного рельефа даже самая скромная ирригационная система требовала искусственного преобразования склона — создания ступенчатых террасных полей. Учитывая эти особенности террасное земледелие Восточной Грузии можно выделить в самостоятельный тип, называя его ирригационным.

Зарождение террасного земледелия в Грузии хронологически связывается с возникновением горно-ручьевого орошения (эпоха ранней бронзы).

Взаимная связь и взаимообусловленность террасного земледелия и горной ирригации, столь наглядно прослеживающиеся на примерах Грузии и Кавказа, подтверждаются примерами из многих стран мира. (С. А. Семенов; Б. В. Андрианов; В. Лидке и др.).

В труде рассмотрены также вопросы техники сооружения различных видов террас, форма организации земледелия, размещение культуры на террасах, орошение и ряд других агротехнических приемов в связи с особенностями отдельных районов Грузии.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	
თავი I	
ტერასული მიწათმოქმედების თავისებურებანი დასავლეთ საქართველოში	1
თავი II	
ტერასული მიწათმოქმედების თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოში	34
თავი III	
ტერასული მიწათმოქმედების განვითარების ძირითადი ფაქტორები საქართველოში	77
რეზიუმე	111

*Чиджавидзе Неджад Шахбазович*

*ТЕРРАСНОЕ ЗЕМЛЕДЕЛИЕ В ГРУЗИИ*

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Аджара»

Батуми, Гогобашвили, 24,

1976

გამომცემლობის რედაქტორი ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვ. რედაქტორი  
ქ. მიქელაძე, ტექნორედაქტორი ნ. კყონია, კორექტორი ნ. ჩიჭაეაძე,  
გამომწვეები ქ. ხოფერიია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.9.76, ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, პირობითი ნაბე-  
ჭდი თაბახი 7,75, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8, შეკვ. № 3641, ემ 00589,  
ტირაჟი 1000.

ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბკოთა აქარა“, ბათუმი, გოგებაშვილის 24.


---

საქ. სსრ ზინსტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის  
საქმეთა საჯეროწიფო კომიტეტის აქარს პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება. ბა-  
თუმი, ლუკსემბურგისა. 20.

Аджарское полиграфическое производственное объединение, Госкомитета  
СМ Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной  
торговли, Батуми, ул. Р. Люксембург, 20.



ტბ. 1. სურ. ბეკები ასოში (სოფელი შუა-ტეხები, ჩხოტაურის რაიონი).



სურ. 2. ბეკები ბალ-ვენახში (სოფელი შუასურები).



ტ.ბ.

სეზმი (სოფელი)


ქვემოთაღორ





სერ. 2 პერსონი ეკლესია (სოფელი ინჟინერები, ქედის რაიონი).



ტაბ. 3. სურ. 1. შიწის შემცარება ნარგავებით (სოფელი კრებალო, ამბროლაურის რაიონი).




სურ 2 ჩელტი (სოფელი ცივაძეები, შუახევის რაიონი).




ტაბ. 4. სტრ. 1-2. ქეთონაეები ტერასები (სოფელი ღვეთი, ჩელქედის რაიონი).





ბოტანიკური ბაღის ტერასები (სოფლის მეურნეობის მუზეუმი)



სურსათის ტერასები (სოფლის მეურნეობის მუზეუმი)



ტაბ. 6. სურ. ღარები (სამხ. იმეტი)



სურ. 2. სოფელ სიხაბაგას ძველი ტერა-ები (ღარეები, ასპინძის რაიონი).



ტაბ 7. სურ. 1. სამიჯნო სეეტრ. „ქაქავარი“ (სოფელი ზემო თმოგვი, ასპინძის რაიონი).




სურ. 2. ლარები (სოფელი ზემო თმოგვი).




ტაბ. 8. პილანგის ტერაქები (საპილანგო რაიონი).




ტაბ. 9. ელდში ნაკვეთი სანახლები (სოფელი კაქყარი, ასპინძის რაიონი).



ტაბ. 10 სურ. ხრამის ნაპლები, რეკონსტრუქციის (სოფელი დიდიკომარეთი, ღვინის რაიონი).



სურ. 2. ბაქნების კარმიჯაჲ (სოფელი ვრთაშვილი, ყაპის რაიონი).



ტაბ. 11. სურ. პერუ, ინდიელთა ძველი ქუთაჯები ტერასები. ანდებში.



ტაბ. 12. სურ. 1. ჩინეთი, მდ. ხუანხეს აუზი.



სურ. 2. ბრინჯის ტერასების მორწყვა დატბორებით (ავღანისტანი).

ტაბ. 1 — სურ. I-II, ტაბ. III — სურ. I, ტაბ. X — სურ. — I-II-ს შესრულება  
 აკუთვნის ყ. ვიქტორიას; ტაბ. IV — სურ. I-II — ა. ჯაველიძეს; ტაბ. VIII — ზ. ხაბა-  
 ძეს; ტაბ. III — სურ. I-II — ვ. პოპლავსკიას; ტაბ. II — სურ. I-II, ტაბ. V —  
 სურ. I-II, ტაბ. VI — სურ. I-II, ტაბ. VII — სურ. I-II, ტაბ. IX — სურ. I-II, ნ. ჩი-  
 ჯავაძეს; ტაბ. XI — სურ. I-II პორტანოლია ვ. კენოვის დასახ. წიგნიდან; ტაბ. XII  
 — სურ. I — მ. ზასლავსკის დასახ. წიგნიდან, სურ. II — ე. ლილეს დასახ. წიგნიდან.